პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 14 აგვისტო 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 184 (1929)

დღიური

- ოსმალეთში დაიწყო მეჯლისის არჩევნები.
- რკინისგზელების გაფიცვა ოსმალეთში.
- ვეიმარის (გერმანია) პროფკავშირთა გაერთიანება დელეგაციას გზავნის საბჭ. კავშირში.
- ლიტვის სახელმწიფო ბანკის გაკოტრება.
- ბუდაპეშტის (უნგრეთი) მუშების ბრძოლა ფაშისტებთან.
- სამხრეთ - სლავიის მთავრობამ დაარბია „ადამიანის უფლებათა ლიგა".
- ქალთა საერთაშორისო კოოპ. კონგრესის გახსნა სტოკჰოლმში. — საბჭოთა დელეგატების გამოსვლა.
- პორტუგალიაში იფეთქა აჯანყებამ, რომელიც ჩააქრეს.
- დიდი გრიგალი შვეიცარიაში.

ჩვენი სამეურნეო მიღწევები და ოპოზიცია

მიმდინარე სამეურნეო წელი, როგორც ამას მოწმობს უკვე შეკრებილი ცნობები ერთი ისეთი წელთაგანია, რომელიც განირჩევა დანარჩენებისაგან შედარებით დაუბრკოლებელ სამეურნეო განვითარებით. ეს გარემოება განსაკუთრებით აღსანიშნავია პარტიულ ოპოზიციის ისედაც ყალბი შეხედულებების გამოსამჟღავნებლად. ოპოზიციას მთავარი იერიში მიჰქონდა პარტიის ეკონომიურ პოლიტიკის წინააღმდეგ. მისი აზრით ცეკას სამეურნეო ხაზს ქვეყანა მიჰყავდა მრეწველობის პროდუქციის, შრომის ხელფასის და მუშა-ხელის შემცირების გზით. ცეკას პოლიტიკა ოპოზიციის წარმოდგენით ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის მეურნეობაში კაპიტალისტური სექტორის ზრდას, ამ პოლიტიკას პირდაპირი გზით თითქოს მივყავდით ინფლიაციისაკენ, ფინანსების დეზორგანიზაციისაკენ და აქედან გამომდინარე მთელი რიგ სამეურნეო გართულებებისაკენ ოპოზიციის სიტყვით ცეკას სამეურნეო პოლიტიკა მოასწავებდა პურის რეალიზაციის საქმის ჩაშლას და ჩვენს საგარეო ვაჭრობის დეფიციტიანობას.

სინამდვილემ, როგორც სხვა შემთხვევაში, ისე აქაც მწარედ დასცინა ცეკას სამეურნეო პოლიტიკის „შორსმჭვრეტელ" კრიტიკოსებს. ამას ყველაზე უფრო თვალსაჩინოთ მოწმობს ის ოფიციალური, უკვე საბოლოოდ შემოწმებული ცნობები ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ, რომელნიც მოყვანილია ამხ. რიკოვის მოხსენებაში ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე. ამასვე მოწმობს საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს მოხსენება შრომის და თავდაცვის საბჭოში.

რას გვეუბნებიან ეს ცნობები?

ირკვევა, რომ სამეურნეო პროგრამა 1926—27 წლის პირველ ნახევრის განმავლობაში ჩვენ გადამეტებით შეგვისრულებია. როგორც ეს სჩანს წინასწარი ცნობებიდან, ამდენადვე წარმატებით იქნება შესრულებული მიმდინარე წლის მეორე ნახევრის სამეურნეო პროგრამა. ციფრების ენაზე ეს მიღწევები შემდეგნაირათ გამოიხატება. მრეწველობის პროდუქციამ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 17 პროცენტისა სამეურნეო წლის პირველ ნახევარში მოიმატა 21,2 პროცენტით. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროდუქციის ზრდა მძიმე ინდუსტრიაში. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენს მრეწველობაში დაბანდებული მუშა-ხელის რაოდენობამ მოიმატა 5,4 პროცენტით.

მანეთის სყიდვითი უნარი გაიზარდა 5,4 პროცენტით. პურის რეალიზაციის წარმატებით ჩატარებამ და სხვა სამეურნეო მიღწევებმა მნიშვნელოვანი ეფექტი მოგვცეს საგარეო ვაჭრობაში. ჩვენ უკვე გვაქვს საგარეო ვაჭრობის აქტიური ბალანსი. საიმპორტო - საექსპორტო ოპერაციები იძლევა განსხვავებას ას ოთხმოც მილიონ მანეთამდე ჩვენს სასარგებლოდ.

ამ საერთო სამეურნეო აღორძინების ნიადაგზე და ფასების დაკლების კამპანიის გამო 7,2 პროცენტით გაიზარდა მუშა-მოსამსახურის ხელფასი.

ასეთ პირობებში თავისთავად ცხადია უაზრობა იქნებოდა იმაზე ლაპარაკი, თითქოს სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორი თანდათან ადგილს უთმობს კაპიტალისტურს და თითქოს არსებულ სამეურნეო პოლიტიკას ოქტომბრის მონაპოვარის ლიკვიდაციისაკენ მივყავდართ. ამასვე მოწმობენ ის ციფრები, რომელიც შეეხებიან კერძო კაპიტალის მონაწილეობას ჩვენს მეურნეობაში. 1923—24 წელში კერძო კაპიტალის ხვედრითი წონა მრეწველობაში უდრიდა 5,2 პროცენტს. მიმდინარე წლის დასაწყისში ის დაეცა 3,6 პროცენტამდე. საცალო ვაჭრობაში ამავე ხნის განმავლობაში კერძო კაპიტალი შეიკვეცა 60 პროცენტიდან 35 პროცენტამდე. ამდენადვე მცირე იყო მიმდინარე წელს წინანდელთან შედარებით კერძო კაპიტალის მონაწილეობა პურის დამზადების საქმეში.

ამნაირად მიმდინარე წელი მეურნეობის თითქმის ყველა ძირითად დარგში სოციალისტური აღმშენებლობის მნიშვნელოვანი გამარჯვებით აღინიშნება. ეს ფაქტი ყოველგვარ „ზეპირ სიტყვაობაზე" უფრო მჭერმეტყველურად ცხადჰყოფს რამდენად სწორია პარტიის სამეურნეო პოლიტიკა.

მაგრამ ჩვენ ამ მიღწევებით ვერ დავკმაყოფილდებით. არის მთელი რიგი დეფექტები, რომელნიც საგრძნობლად აფერხებენ საბჭოთა მეურნეობის ნორმალურ განვითარებას. კერძოდ სამეურნეო აღმშენებლობის უახლოეს და პირველხარისხოვან ამოცანათ ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმმა დასახა ბრძოლა წარმოების პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად მის ხარისხოვან გაუმჯობესებასთან ერთად. ამ ამოცანაში იყრის თავს მთელი რიგი სამეურნეო საკითხებისა, როგორიცაა წარმოების რაციონალიზაცია, შრომის დისციპლინის განმტკიცება, ნედლეულის დამზადება, მუშათა პროფ-ტეხნიკური მომზადების გაძლიერება და სხვა. აქეთკენ უნდა იქნას მიპყრობილი პარტიისა და პროფკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების ყურადღება.

ჩვენ მივიწევთ წინ სოციალისტური აღმშენებლობის შეუჩერებელი განვითარების გზით. ჩვენი ნაბიჯი ამ მიმართულებით იმის მიხედვით, რაც უფრო იზრდება სოციალისტური დოვლათი, რაც მეტ გამოცდილებას ღებულობს მშრომელი მასები, უფრო მტკიცე და მნიშვნელოვანი ხდება. პარტია კვლავაც ასეთივე ურყევი ნებით და ლენინურ შორსმჭვრეტელობით წაიყვანს ქვეყანას წინ სოციალისტური აღმშენებლობის გზით. მას ვერ გადაახვევინებს ამ სწორ გზიდან ვერც პროლეტარიატის მოსისხლე მტრების შეუჩერებელი სისინი და ვერც ოპოზიციის ლაყბობა ჩვენი გადაგვარების შესახებ.

ომის საფრთხე და ჩვენი ამოცანები

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი არ არის იმპერიალიზმის უკანასკნელი ომი. მის მსვლელობაში პროლეტარიატმა ვერ მოახერხა ძალა-უფლების დაპყრობა საერთაშორისო მასშტაბით. ამ ომმა საკმაოდ შეარყია კაპიტალიზმი, მაგრამ უკანასკნელს მაინც შერჩა დროებით განმტკიცებისა და განვითარების უნარი, ეგრედ წოდებული სტაბილიზაციის სახით. კაპიტალისტური წარმოება მსხვილ ქვეყნებში აჭარბებს ომის წინადროინდელ დონეს და ნაწილობრივ გადადის კიდეც უმაღლეს ტეხნიკურ ბაზაზე.

ყველა ქვეყნის რეფორმისტები ხოტბას ასხამენ „გამოცოცხლების გზაზე დამდგარ" კაპიტალიზმს და სიზმრად ხედავენ „მშვიდობიანი" კაპიტალისტური გაფურჩქვნის ახალ ეპოქას, რომელიც გვირგვინდება თანდათანი და უმტკივნეულო „შეზრდით სოციალიზმში". მაგრამ კაპიტალისტური სტაბილიზაციის ფაქტი ნამდვილად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმი პირველი მსოფლიო ომიდან გადავიდა ახალი ომების გზაზე.

კაპიტალისტურ განვითარებას ახასიათებს საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგობათა განახლება უფრო ფართე სახით და ახალ საფუძვლებზე. მომავალი ომი წარსულ ომზე უფრო განმანადგურებელი იქნება. ამასთან ერთად იმპერიალიზმი იძულებულია ანგარიში გაუწიოს პროლეტარულ სახელმწიფოს, რომელიც აღმოცენდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და რომლის წინააღმდეგაც ის ლესავს იარაღს.

საბჭოთა კავშირი, თვით თავისი არსებობის ფაქტით, თავისი სამშვიდობო პოლიტიკით გზას ულობავს კაპიტალისტურ განვითარებას და ააშკარავებს იმპერიალისტების მტაცებლურ ზრახვებს.

საბჭოთა კავშირს იმედის თვალით შეჰყურებენ კაპიტალისტური საზოგადოების ყველა ანტი-იმპერიალისტური ძალები. საერთაშორისო პროლეტარიატი პოულობს აქ უძლიერეს დასაყრდენს თავის ბრძოლაში ახალ იმპერიალისტურ ომებისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

აქ პოულობენ თავის მფარველს და მოკავშირეს კოლონიალური ერები, რომლებსაც აღარ სურთ, რომ თავის ხარჯზე ასუქონ მეტროპოლიები და იყონ საზარბაზნო ხორცი იმპერიალისტურ სამხედრო ავანტიურებისათვის.

პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც „სოლივით" არის შეჭრილი კაპიტალისტურ სახელმწიფოების სისტემაში, „უფუჭებს" „მთელ სურათს" მსოფლიო იმპერიალიზმს, არსებითად სცვლის მსოფლიო ომის წინადროინდელ პოლიტიკურ გეოგრაფიას.

ბუნებრივია, რომ ამ მხრივ მსოფლიო იმპერიალიზმი მისწრაფვის „ომის წინადროინდელ დონისაკენ", რომ ის სცდილობს საბჭოთა კავშირის განადგურებას, რადგან ის წარმოადგენს უმთავრეს შეფერხებას კაპიტალისტური ექსპლოატაციის, უპასუხისმგებლობის და მტაცებლობის „ნორმალური" განვითარებისათვის.

და აი სწორედ ეხლა, 1926 წელს განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ურთიერთობამ საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ეს სრულიადაც არ წარმოადგენს უბრალო შემთხვევას ან და ჩვენს საკუთარ პოლიტიკაში მომხდარ რაიმე „გადახრის" ნაყოფს, როგორც ამის მტკიცებას სცდილობდა ოპოზიცია. ეს არის—მთელ რიგ ობიექტიურ ფაქტების სრულიად აუცილებელი შედეგი, შედეგი, რომელსაც ჩვენ დიდი ხანია ვხედავდით და ვწინასწარმეტყველებდით. ერთის მხრივ იმდენად მომაგრდა კაპიტალიზმი, რომ ის უკვე მზად არის ახალი დიდი ომისათვის, რომელიც მის აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა. მეორე მხრივ იმდენად გაძლიერდა საბჭოთა კავშირი, რომ სამუდამოდ ქრება კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის ჩვენი „მშვიდობიანი გზით" დამორჩილების, ჩვენი „გადაგვარების" ან და იმპერიალისტების კოლონიად გადაქცევის ილიუზიები. ჩვენს ოპოზიციას აქაც წაუხდა ნახტომი, როდესაც გაჰყვიროდა საკ. კომ. პარ. (ბ) გადაგვარების შესახებ. (დამახინჯებულია).

ჩვენ არა ვართ დაზღვეული იმისაგან, რომ ახლო ხანში არ მოხდება ომი. რასაკვირველია, ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს ომი გვემუქრება უახლოეს თვეებში, მაგრამ რომ გვემუქრება უახლოეს წლებში, ეს კი მართალია. რა ამოცანებს გვაკისრებს ახალი ომის საფრთხე?

პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია იმით, რომ რაც შეიძლება დაგვიანდეს ომი. ხოლო თუ თავს დაგვესხმიან კაპიტალისტები, ჩვენ დაინტერესებული ვართ იმით, რომ ეს თავდასხმა დიდხანს არ გაგრძელდეს.

მხოლოდ იმპერიალისტებს, თავის ყაჩაღურ ზრახვების დასაფარავად, და მათ ლაქია სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ ყვირილი, რომ საბჭოთა კავშირი აწარმოებს „ომის პოლიტიკას". პროლეტარულ სახელმწიფოს სურს მშვიდობიანობა და ეს არ არის ლიტონი სიტყვები. სულ უბრალო დაკვირვებას ფაქტებზე შეუძლია დაარწმუნოს ამაში ყოველი ადამიანი, მტრულადაც, რომ იყვეს ის განწყობილი საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების მიმართ. ჩვენ უფრო სწრაფად ვიზრდებით, ვიდრე კაპიტალისტური მსოფლიო. მარტო ამ ფაქტიდან სჩანს, რომ ჩვენთვის ძვირფასია ყოველი წელი, ყოველი ახალი მშვიდობიანი ხუთი წელი, რომელიც ახალ-ახალ ძალას გვმატებს.

ჩვენ არ გვაშინებს მშვიდობიანი შეჯიბრი კაპიტალისტურ ქვეყნებთან, პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ შეჯიბრიდან გამარჯვებული გამოვალთ. ჩვენ შედარებით მნიშვნელოვნად გადავაბიჯეთ ომის წინადროინდელ დონეს, ბურჟუაზიულ ქვეყნებთან შედარებით, ჩვენ უფრო ადრე მივაღწიეთ ამას, თუმცა უფრო გვიან დავაღწიეთ ომს თავი.

ამიტომ სამშვიდობო პოლიტიკას, სამხედრო კონფლიქტისაგან თავის არიდების პოლიტიკას რამდენადაც შესაძლებელია ვიცავდით და ვიცავთ დღესაც. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იმპერიალისტების ბანაკში არსებული წინააღმდეგობები, რომლებიც ხელს უშლიან ერთიანი ფრონტის შექმნას ჩვენს წინააღმდეგ ჩვენ ისეთივე სიმშვიდეს და თავდაჭერას გამოვიჩენთ ახალ პროვოკაციულ გამოსვლების დროს ჩვენს წინააღმდეგ, როგორც წინად. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ დავიცავთ პროლეტარულ დიქტატურას და ჩვენი ეკონომიკის სოციალისტურ საფუძვლებს.

მშვიდობიანობის პოლიტიკასთან ერთად, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა სახელმწიფო, ჩვენი პარტია და კომინტერნის ყველა ძმური კომუნისტური პარტიები გააკეთებენ ყველაფერს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ დააბრკოლონ იმპერიალისტების თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგი გახდა ბურჟუაზიულ ქვეყნებში კომუნისტურ პროპაგანდის და აგიტაციის ცენტრალურ ლოზუნგად. კომუნისტები აწარმოებდენ და მომავალშიაც აწარმოებენ გააფთრებულ ბრძოლას საბჭოთა კავშირის საზიზღარ გამცემლობის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების და ყველა ჯურის ულტრა-მემარცხენე გამცემლების მხრივ, რომლებიც გამუდმებით სვრიან საბჭოთა კავშირის სახელს ცილისწამების სიბინძურეში.

კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაცია სრულებითაც არ მოასწავებს მუშათა მოძრაობის საერთო „გამემარჯვენებას", როგორც ამის მტკიცებას სცდილობდენ ჩვენი ოპოზიციის ლიდერები. პირიქით, არა მარტო ინგლისში, სადაც კაპიტალიზმი ორივე ფეხით კოჭლობს, არამედ გერმანიაშიაც, სადაც კაპიტალიზმი სწრაფად სწორდება და მტკიცდება, ავსტრიაში, საფრანგეთში, ყველგან შესამჩნევი ხდება მასების მნიშვნელოვანი გამემარცხენების პროცესი. თუ კი ასეა საქმე სტაბილიზაციის ხანაში, ეს ნიშნავს იმას, რომ კრიტიკულ მომენტში ჩვენ შეუდარებლად მეტი ძალები გვეყოლება კაპიტალისტურ ქვეყნების შიგნით. ამ ძალების დაძლევა კაპიტალიზმს ამჟამად ბევრად უფრო გაუჭირდება, ვიდრე 1914 წელში; ეს უდავო ფაქტია.

კოლონიალურ ქვეყნების კომუნისტური პარტიები უკვე აქტიურ მონაწილეობის მიღებას იწყებენ იმ ნაციონალურ-გამანთავისუფლებელ რევოლიუციებში, რომლებიც ვითარდება აღმოსავლეთში (ჩინეთი). თავისთავად ცხადია, ეს კომპარტიები აღმოსავლეთის მუშათა და გლეხთა მასებში პოულობენ ნოყიერ ნიადაგს თანაგრძნობისათვის საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელიც აწარმოებს იმპერიალიზმთან ბრძოლის პოლიტიკას.

ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტებმა დაიწყეს ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, შესაძლოა შეიქნეს საბჭოთა კავშირის მთლიანი ფრონტი კოლონიალურ რევოლიუციონურ მოძრაობასთან. კომინტერნი ენერგიულად ამზადებს წინასწარ პირობებს ამ ფრონტის განხორციელებისათვის.

საბჭოთა კავშირის შიგნით ჩვენ დავიწყეთ და შეურყევლად განვაგრძობთ, გავძლიერებთ, განვავითარებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საქმეს. ჩვენ განვამტკიცებთ ჩვენს შვენებას და სიამაყეს—წითელ არმიას, გავამრავლებთ იარაღისა და მოწყობილობათა მარაგს. გავაძლიერებთ საზღვაო და საჰაერო ფლოტს, განვავითარებთ ქიმიურ თავდაცვის საშუალებებს. კაპიტალისტურმა მსოფლიომ თავისი თარეშისათვის გამოიმუშავა იეზუიტური წესი: „თუ გსურს მშვიდობიანობა, ემზადე ომისათვის". ჩვენს ქვეყანას მართლაც სურს მშვიდობიანობა; მაგრამ იგი იმყოფება მძარცველთა და მტაცებელთა გარემოცვაში. ამიტომ მშვიდობიანობის დასაცავად იგი უნდა ემზადოს თავდაცვისათვის: რაც უფრო ძლიერი იქნება ჩვენი ქვეყანა, მით უფრო მეტად „დაფიქრდებიან" იმპერიალისტები, სანამ თავს დაგვესხმიან.

ამავე დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა ჩვენს ხანაში ემყარება ჩვენი ქვეყნის საერთო სამეურნეო ძლიერებას. ჩვენ ერთი წუთითაც არ უპირდაპირებთ თავდაცვის საქმეს მეურნ. განვითარების საქმეს. პირიქით, თავდაცვის გულისათვის ჩვენ გავაძლიერებთ მუშაობას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, სასოფლო მეურნეობის ტეხნიკური დონის აწევისა ფასებისა და ზედნადები ხარჯების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გაძლიერებისათვის. ეს სამეურნეო აღმშენებლობა ჩვენთვის აუცილებელია არა მარტო ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის უშუალო გაძლიერების თვალსაზრისით. ომის წარმოების თანამედროვე პირობებში, იგი არა პირდაპირი გზით გვაშორებს ომს იმით, რომ სოციალიზმის აღმშენებლობის წარმატებანი ჩვენში იზიდავს მშრომელთა სულ ახალ და ახალ ფენებს ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ასეთი „თავდაცვის საშუალება" ცხადია, რომ არა აქვს არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას.

თუ კი იმპერიალისტები მიუხედავად ჩვენი ყოველგვარი ცდისა ავიცილოთ თავიდან ომი, მაინც მოგვახვევენ თავზე ომს. მაშინ მათ წინ გადაეღობება ძლიერი ნებისყოფა საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა, რომლებმაც უკვე ერთხელ დაამტკიცეს, თუ როგორ უძნელეს პირობებში, როგორ გმირულად შეუძლიათ მათ იარაღით ხელში ბრძოლა ფაბრიკებისა და მიწის—ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად. ეს იქნება პროლეტარული სოციალისტური თავდაცვითი ომი. იგი იქნება მთელი რევოლიუციონური საერთაშორისო პროლეტარიატის საქმე, მიუხედავად რეფორმისტების ცილისწამებისა, მიუხედავად ურწმუნოთა ლაყბობისა ჩვენი „გადაგვარების" შესახებ. ეს იქნება სახალხო ომი იმიტომ, რომ მას აწარმოებს პროლეტარიატი, ჰეგემონი, რომელიც მეთაურობს გლეხობას და საბჭოთა კავშირის მთელ მშრომელ მოსახლეობას. იგი იქნება აგრეთვე ომი, რომელიც გამოიწვევს მსოფლიო იმპერიალისტების მიერ ჩაგრული კოლონიალური მოსახლეობის მრავალი მილიონი მასების თანაგრძნობას და დახმარებას.

ამ ომს, თუ კი მას მოგვახვევენ თავზე, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი აწარმოებს მჭიდრო დარაზმული ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელმაც სძლია ყოველგვარი ლიკვიდატორული გადახრანი და ნახევრად პორაჟენცული მერყეობანი თავის რიგებში.

„პრავდა"
მოსკოვი, 13 ავგისტო.

საუბარი კუკთან

(ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

შეუძლებელია ოდესმე იმ ზიანის გაზომვა, რომელიც მემაღაროების საქმეს ნაციონალურ და ინტერნაციონალურ მასშტაბში ფრანკ ჰოჯესმა მიაყენა, მითხრა კუკმა. როგორც მემაღაროების ინტერნაციონალის მდივანი, ის თითქოს იმისათვის იყო გაჩენილი, რომ ეს ორგანიზაცია დაესუსტებია. უმთავრესად მან შეუშალა ხელი საბჭოთა კავშირის მემაღაროების შესვლას ინტერნაციონალში. მემაღაროეთა ინტერნაციონალის მდივნათ ყოფნის დროს ჰოჯესი ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობდა სპენსერთან და ჰაველოკ ვილსონთან, რათა მემაღაროების მოძრაობა მოედრიკა და ნაციონალური ფედერაცია დაემხო. მას შემდეგ, რაც მისი გადაყენება მოვახერხეთ, მან გააორკეცა მუშაობა მემაღაროების გასათიშავათ და სპენსერის ყვითელი ორგანიზაციის განსამტკიცებლად. მემაღაროების ინტერნაციონალი მისი დღევანდელი სახით სრულიად მოკლებულია მნიშვნელობას. ის მოითხოვს უშუალო რეკონსტრუქციას, მან მთელი მსოფლიოს სამთამადნო ინდუსტრიის პროლეტარიატი უნდა მოიცვას. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ მემაღაროეთა ინტერნაციონალის მდივნის პოსტი არ იყოს შემთხვევითი პოსტი, არამედ ჯამაგირიანმა მდივანმა მთელი თავისი დრო ამ საქმეს უნდა შესწიროს.

მე ეჭვი არ მაქვს, რომ ყველანი ინგლისის მემაღაროეთა მოძრაობაში ემხრობიან გაერთიანებული ინტერნაციონალის იდეას, რომელშიც მოექცევიან რუსი, ინდოელი და სამხრეთ-აფრიკელი მემაღაროები.

პირადათ დაბეჯითებული მომხრე ვარ ინგლის-რუსეთის მემაღაროების კომიტეტისა. მასში ვხედავ გზას ერთი ინტერნაციონალის ასაშენებლად.

აგრეთვე ვემხრობი კომუნისტური პარტიის შეყვანას მუშათა პარტიაში. კომუნისტების მიღებისა და ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხები, რომ „რწმუნებულთათვის" წარედგინად გადასაწყვეტად, მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მნიშვნელოვან უმრავლესობას მიიღებდენ. შეუძლებელია ეჭვის ქონა ამის შესახებ. გაიხსენეთ, რომ ლანკაშირში, სამხრეთ და შოტლანდიაში, სადაც „რწმუნებულებს" მოუწოდეს ამ საკითხებისათვის ხმა მიეცათ, უმრავლესობამ დადებითი პასუხი მისცა. პირიქით, დიურჰეიმში, ნორტჰუმბერლანდში და იორკშირში, სადაც მხოლოდ აღმასრულებელმა კომიტეტმა მისცეს ხმა, უმრავლესობამ უარყოფითი პასუხი გასცა. ეს იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ კომიტეტი აღარ წარმოადგენს მოძრაობას. და ეს ნაკლი იხატება ჩვენს კონგრესშიც. დელეგატები რომ პირდაპირ მასების მიერ ყოფილიყვენ არჩეულნი, უეჭველია, რომ მემარცხენეებს დიდი უმრავლესობა ეყოლებოდათ.

ინგლისის ქვა-ნახშირის მრეწველობის მდგომარეობა საშინელია იმ გიჟური პოლიტიკის წყალობით, რომელსაც მაღაროების მეპატრონეები აწარმოებენ. დღეს-დღეობით 300.000 კაცზე მეტი უმუშევარია. საშუალოდ 3--4 დღეს მუშაობენ კვირაში, ხოლო საშუალო ხელფასი 2 გივან. სტერლინგია. კონგრესმა ერთხმად რეზოლიუცია მიიღო 5 დღის სასარგებლოდ კვირაში. ჩვენ უნდა ბრძოლა დავიწყოთ მინიმალურ ხელფასის დასაწესებლად.

ასეთ პირობებში **კონფლიქტი აუცილებელი გახდა. მე მას ველი ამა წლის სექტემბრისა ან ოქტომბრისათვის.** როცა დიურჰეიმში დადებულ შეთანხმებას ვადა გაუვა, მაღაროების პატრონები ხელფასის ხელახალ შემცირებას მოითხოვენ. მუშებისათვის პირიქთ, ხელფასის მომატებაა საჭირო. ეს კონფლიქტი მთელ ინგლისს მოედება, მიტომ, რომ მდგომარეობა ყველა რაიონებში ერთი და იგივეა. ის განსაკუთრებით მწვავეა იმ ადგილებში, რომელნიც ქვანახშირს საექსპორტოდ აწარმოებენ.

ფედერაცია ძლიერი უნდა იყოს და ამიტომ მე ვემხრობი მის გარდაქმნას გაერთიანებულ კავშირად. მე იმედი არ მაქვს, რომ მუშათა პარტია და ტრედ-უნიონების კონგრესი რასმე გააკეთებენ მომავალი კონფლიქტის დროს. მაგრამ ნაციონალურ ფედერაციამ საბედნიეროდ, ჩქარა აღადგინა თავისი ძალები".

ასე მელაპარაკა კუკი, რომელიც ცოტა არ იყოს, დაღლილია, მაგრამ მაინც მზათაა ახალი ბრძოლებისათვის.

კ. დავიდ.

სუტპორტი, ივლისი.

ჩან-ძო-ლინის ჯარების შეტევა შეჩერებულია

ფინ-იუი-სიანის არმია ზურგში თავდასხმით ემუქრება ჩან-ძო-ლინის ჯარებს

გაზეთების ცნობები ცზინანისა და ტეჯოუს აღების შესახებ ფინ-იუი-სიანის მიერ

ხმები ფინ-იუი-სიანის, ჩან-კაი-შის და ენ-სი-შანის შეთანხმების შესახებ ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ

სპარსეთის მთავრობამ გააუქმა პრივილეგიები, რომლებითაც უცხოელები სარგებლობდნენ

ჩინეთის ფრონტებზე

ჩან-ძო-ლინმა შეაჩერა შეტევა

პეკინი, 12 აგვისტო. ჩან-ძო-ლინმა უბრძანა ჩან-ძუნ-ჩანისა და სუნ-ჩუან-ფანის ჯარებს შეაჩერონ შეტევა პენპუზე. ეს ბრძანება გამოწვეულია პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის შეცვლით სამხრეთ ჩინეთში და, აგრეთვე, ფინ-იუი-სიანის ცდებით, რომ ზურგში მოექცეს შანდუნის არმიას.

ფინ-იუი-სიანის ჯარების შეტევა

შანხაი, 12 აგვისტო. როგორც ხენანიდან იუწყებიან, ფინ-იუი-სიანმა თავი მოუყარა ჯარებს ჩენ-ჩჟოუში და მნიშვნელოვანი ნაწილები დასძრა შანდუნის პროვინციისაკენ.

პეკინიდან და ნანკინიდან მოდის ცნობები, რომ ფინ-იუი-სიანის ჯარებმა აიღეს ცზინანი შანდუნის პროვინციის სამხრეთით. ფინ-იუი-სიანის ჯარები უტევენ ტეჩჟოუს (დიდი ციხე-სიმაგრე შანდუნის პროვინციის ჩრდილოეთში). ზოგიერთ წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, ფინ-იუი-სიანმა თითქოს უკვე აიღო ტეჩჟოუ (ადს).

შეთანხმება მუკდენელების წინააღმდეგ

პეკინი, 12 აგვისტო. „შუნ-ტიან-შიბაოს" ცნობით, ენ-სი-შანსა, ფინ-იუი-სიანსა და ჩან-კაი-შის შორის მიღწეულია შეთანხმება. გაზეთი აღნიშნავს, რომ შეთანხმება დადებულია შემდეგი პირობებით: ჩან-კაი-შის არმია გადადის კონტრ-შეტევაზე შანდუნის ჯარების წინააღმდეგ, ფინ-იუი-სიანის არმია ეხმარება ნანკინის ჯარებს, გზავნის ცხენოსან რაზმებს ენ-ჯოუსი და ცზინანის რაიონებში და მიიწევს ჩჟილის პროვინციის სამხრეთისაკენ იმ მიზნით, რომ შანდუნის ჯარებს ზურგში გაურთულოს მდგომარეობა, ხოლო ენ-სი-შანის ჯარები აჩერებენ მუკდენის არმიის წინსვლას სამხრეთისაკენ პეკინ-ხანკოუს რკინისგზის ხაზით (ადს).

მექრთამეთა დასჯა სიკვდილით

შანხაი, 12 აგვისტო. რადგან ნანკინის მთავრობის ტერიტორიაზე გახშირდა მექრთამეობა, რომელსაც ეწევიან სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებისა და გომინდანის წარმომადგენელნი, ნანკინის მთავრობა იძულებული გახდა სიკვდილით დაესაჯა არმიის პოლიტგანყოფილების ერთ-ერთი ცნობილი მოხელე, რომელსაც მექრთამეობა ბრალდებოდა (ადს).

ყუმბარის აფეთქება

შანხაი, 12 აგვისტო. ვამპუს სამხედრო აკადემიის თოფის წამლის საწყობში შეისროლეს ყუმბარა, რომლის აფეთქების დროს მოკლული და დაჭრილია რამოდენიმე კაცი და დანგრეულია ბევრი ბარაკი (ადს).

ევგენი ჩენის საიდუმლო გამგზავრება

შანხაი, 12 აგვისტო. შანხაის ინგლისურ გაზეთების ცნობით ევგენი ჩენი საიდუმლოდ გაემგზავრა ხანკოუდან, ვითომ იმ მიზეზით, რომ ის უკმაყოფილოა მეთოდებით, რომლებსაც მიმართავს სამხედრო ხელისუფლება უხანის მთავრობის ტერიტორიაზე.

გაზეთები იუწყებიან, რომ **უხანის მთავრობის გარეშე საქმეთა სამინისტროს მთელი პერსონალიც გადადგომით იმუქრება.** (ადს).

კანტონში იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა

შანხაი, 12 აგვისტო. ჰონკონგის გაზეთ „ჰონკონგ დეილი პრეს"-ის ცნობით, კანტონში ხშირ მოვლენად გადაიქცა ქუჩაში შეტაკება და სროლა. ოხრანკა და ჟანდარმერია სჩხრეკს ყველა სასტუმროებს და ეძებს „კრამოლნიკებს". ჟანდარმებმა თავდასხმა მოახდინეს ერთ-ერთ რესტორანზე და დააპატიმრეს რამოდენიმე კაცი. 5 აგვისტოს კანტონში დააპატიმრეს მრავალი სტუდენტი.

„ქალაქში გამოსთქვამენ შიშს,—სწერს გაზეთი,—რომ **ხშირი თავდასხმა ლიტი-სინზე არასასიამოვნო შედეგებს გამოიწვევს და ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ თუ ერთ-ერთი თავდასხმა წარმატებით დაგვირგვინდა, მაშინ კანტონში აუცილებლად მოხდება დიდი შეტაკება**" (ადს).

შანხაის ფაშისტურ ორგანიზაციის მიზნები

შანხაი, 12 აგვისტო. ხმები შანხაიში აშკარა ფაშისტურ ორგანიზაციის შესაქმნელად მზადების შესახებ „შანხაის უცხოელ მცხოვრებთა უფლებების დაცვის მიზნით ჩინელთა თავდასხმებისაგან", დადასტურდა ინგლისურ პრესაში გამოქვეყნებულ წინასწარ ცნობით ახალი ორგანიზაციის მიზნების შესახებ. ცნობა მოუწოდებს უცხოეთის რეზიდენტებს შანხაიში შევიდენ ფაშისტურ ორგანიზაციის რიგებში „ადმინისტრაციის დასახმარებლად და საკუთარ ნტერესების დასაცავად". ცნობაში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ ახალი ორგანიზაციის მიზნებს შეადგენს საერთაშორისო სეტლმენტის კონსტიტუციის დაცვა, ხელისუფლებისათვის ხელის შეწყობა კანონიერების და წესრიგის დაცვაში, სეტლმენტის საზღვრების შიგნით ყოველგვარ პოლიტიკურ ჯგუფების მოღვაწეობისათვის წინააღმდეგობის გაწევა და სეტლმენტიდან კომუნისტ მუშების და აგიტატორების გაძევება ყოველივე საშუალების მიღებით და სხვა.

საბაჟო ავტონომიისათვის

შანხაი, 12 აგვისტო. ჩინეთის პრესა და ჩინეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციები აწარმოებენ გაძლიერებულ აგიტაციას ნანკინის მთავრობისათვის მხარის დაჭერის სასარგებლოდ საბაჟო ავტონომიის საკითხში. შანხაის სავაჭრო პალატამ მიმართა ყველა თავის წევრებს ცირკულიარული წერილით, რომელიც თავდება მოწოდებით, რომ მხარი დაუჭირონ ნანკინის მთავრობას საბაჟო ავტონომიის განსახორციელებლად და წამქეზებელ ტარიფის შემოსაღებად ჩინეთის ნაციონალურ მრეწველობის განვითარების მიზნით. (ადს).

ურბანს—რუტ ფიშერი პოლიციას სთხოვს დახმარებას

ბერლინი, 12 აგვისტო. მასლოვის, რუტ ფიშერის და ურბანსის ჯგუფმა აახენში მოაწყო ღია კრება, რომელზედაც **რუტ ფიშერს** უნდა გაეკეთებინა მოხსენება ჩინეთის მდგომარეობისა და ვენის ამბების შესახებ. მაგრამ რუტ ფიშერის მაგიერ, რომელიც კრებაზე არ გამოცხადდა, იმავე თემებზე მოხსენების გაკეთება განიზრახა **ურბანსმა**. კრების გახსნისთანავე, დარბაზში მყოფმა გერმანიის კომპარტიის წევრებმა შეიტანეს მთელი რიგი წინადადებები კრების ჩატარების წესრიგისათვის. ამ წინადადებების განხილვას მოჰყვა მთელი რიგი მღელვარე სცენები. არგუმენტების მაგიერ, **ულტრა-მემარცხენეები ბოლოს და ბოლოს გადავიდნენ მუშტი-კრივზე. ულტრა-მემარცხენების მიერ გამოწვეულმა პოლიციამ გაანთავისუფლა დარბაზი შეკრებილთაგან** (ადს).

მელითონეთა საერთაშორისო კონგრესზე

პარიზი, 12 აგვისტო. მელითონეთა საერთაშორისო გაერთიანების ღია კონგრესზე გააფთრებული პოლიტიკური დისკუსია გაჩაღდა, როცა ფინეთის დელეგაციამ მოითხოვა საკითხის განხილვა ომის საფრთხის შესახებ. ფინეთის დელეგაციის საპასუხო სიტყვით გამოვიდა გაერთიანების მდივანი **ილში**, რომელმაც განაცხადა, რომ ფინეთის დელეგატები „მოსკოვის აგენტებია", რის დასამტკიცებლადაც მან გაერთიანების მემარცხენე ფრთის მიერ მოწყობილ პროპაგანდის კომიტეტის მიმართვაზე მიუთითა. ილშის სიტყვით ეს მიმართვა გაერთიანების რევოლიუციონურ ელემენტებს აძლევს „ინსტრუქციებს" კონგრესთან დაკავშირებით (ადს).

უცხოეთის პრესა

ამერიკა - ინგლისის ბრძოლა ნავთის გარშემო

დავა, ატეხილი ნავთის გარშემო ამერიკელებსა და ინგლისელებს შორის, კიდევ არ დამცხრალა. ნავთის წყაროებისა და ნავთის პროდუქტების გასასაღებელი ბაზრების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლა განსაზღვრავს არა მარტო დაინტერესებულ უზარმაზარ კომპანიების ურთიერთ დამოკიდებულებას. ნავთის საკითხი სარჩულად უდევს უკანასკნელი ხანების ორ დიდ მოვლენას საერთაშორისო პოლიტიკაში: მას ინტიმური კავშირი აქვს ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის ჩაშლასთან, რაც, როგორც დღეს ირკვევა, დააჩქარა ამ მომენტმა; გარდა ამისა სამ სახელმწიფოთა თათბირის ჩაშლასაც ჟენევაში საფუძვლიანად უკავშირებენ ისევ ნავთის საკითხს. ცნობილია, რომ ნავთის უდიდესი მომხმარებლები თვით სახელმწიფოები, რომელნიც მას ხარჯავენ აგრეთვე თავიანთი ფლოტისათვის და **ყოველი შეზღუდვა ფლოტის მშენებლობაში** (რომელ მიზანსაც თითქოს ისახავდენ ჟენევაში შეკრებილი სამი სახელმწიფო) **იქნებოდა დიდი ზარალი იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ამ ნავთს აწოდებენ სახელმწიფოებს** და ამნაირად დიდ მოგებას პოულობენ. ამ შემთხვევაში ორი მოწინააღმდეგე (ამერიკისა და ინგლისის) **ნავთის კომპანიების ინტერესი მოითხოვდა ჟენევის კონფერენციის ჩაშლას** და ეჭვს გარეშეა (ამაზე უკვე ხმამაღლა ლაპარაკობს პრესაში), რომ ერთ-ერთ მთავარ თუ არა უმთავრეს მიზეზად ამ კონფერენციის ჩაშლისა შეიქნა ნავთის დიდი კომპანიების გავლენა ამერიკისა და ინგლისის მთავრობებზე. ერთხელ კიდევ. ანაცვალეს ამ მთავრობებმა „თავიანთ" ქვეყნების გადასახადის გადამხდელთა ფართო მასების ინტერესები დიდი კომპანიების ინტერესებს. რადგან, თუ თვით ლლოიდ - ჯორჯი ყვირის ახლა ვენის **„ნოიე ფრაიე პრესე"-ში**, რომ მარინიზმის ხარჯები გამანადგურებელ ტვირთად აწევს ინგლისელ გადამხდელს, რომელიც დაბოლოს უარს იტყვის თავის „ვალდებულების" შესრულებაზეო — ცხადია მართლა მძიმე ყოფილა ეს ხარჯები და აგიტაცია მათ წინააღმდეგ პოპულიარული.

კერძოთ ორ კომპანიის შორის ატეხილი დავის შესახებ ინგლისელების მხრიდან უკანასკნელ ხანებში ის აზრი გამოითქვა, თითქოს დეტერდინგი, ინგლის-ჰოლანდიური ნავთის კომპანიის „როიალ დეჩ შელ-ის მეთაური, აღწევს მიზანს და ის დაითანხმებს როკფელერის კომპანიის (სტანდარტ ოილის) ჯგუფებს (ნიუ-იორკის, ნიუ-იერსის და ვაკუმ ოილის), რომ ჩაშალონ მათი სავაჭრო დამოკიდებულება საბჭოთა ნავთის სინდიკატთანო. საინტერესო ცნობებს იძლევა ამის წინააღმდეგ გაზ. **„ბერლინერ ტაგებლატ"**-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი, რომელიც სწერს თავის გაზეთს (27 ივლისი) შემდეგს:

„სარწმუნო წყაროებიდან მე შემიძლია დაგაჯეროთ იმაში, რომ დეტერდინგის აგიტაციის შესახებ არ არის ერთსულოვანება ნიუ-იერსის ჯგუფში (ხოლო უმთავრესად მისი იმედი ჰქონდა დეტერდინგს. **მეპრესე**). **პირიქით ამ ჯგუფში ის აზრი იმარჯვებს**, რომ ითანამშრომლოს ნიუ-იორკის ჯგუფთან (რომელმაც ხელშეკრულება დასდო საბჭოთა ნავთის სინდიკატთან). ასე, რომ მოსალოდნელია ყოველგვარი კავშირი გაწყდეს დეტერდინგსა და ნიუ-იერსის ჯგუფს შორის. ყოველ შემთხვევაში ნიუ-იორკის სტანდარტოილს და ვაკუმ-ოილს **გადაწყვეტილი აქვთ** (sind etschlossen) **გადავიდენ შეტევაზე დეტერდინგის წინააღმდეგ**, თუ ეს უკანასკნელი გააგრძელებს აქტიურათ თავის პოლიტიკას მათ წინააღმდეგ".

ამნაირად დეტერდინგის კომპანია საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ წააწყდა დაინტერესებული ამერიკული კომპანიების სასტიკ წინააღმდეგობას და ის ჯერჯერობით ჩაშლილად უნდა ჩაითვალოს.

სპარსეთი აუქმებს უთანასწორო ხელშეკრულებებს

უცხოელები გათანასწორებული არიან სპარსელებთან

თეირანი, 12 აგვისტო. მთავრობამ დაუგზავნა პროვინციის გუბერნატორებს ცირკულიარი საკონსულო სასამართლოების გაუქმების შესახებ და მათი ფუნქციების გუბერნატორებისათვის გადაცემის შესახებ. ცირკულიარში აღნიშნულია, რომ თანახმად მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა, **ყველა უცხოელები უფლებრივად გათანასწორებული არიან სპარსელებთან** (ადს).

ხოლერასთან ბრძოლა

თეირანი, 12 აგვისტო. სპარსეთის მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ზომები ხოლერის ეპიდემიის წინააღმდეგ გუზისტანში, სადაც ის შემოტანილი იქნა ირაქიდან. ყველა ნავთსადგურები სპარსეთის ყურის სპარსეთის ნაპირებზე დახურულია, გარდა ორისა, სადაც მოსულ გემებისათვის დაწესებულია კარანტინი. მთავრობამ შეუკვეთა გერმანიას ხოლერის საწინააღმდეგო შრატი, რომელიც გადმოგზავნილი იქნება სპარსეთში ჰაეროპლანით (ადს).

ირლანდიის პარლამენტში

რესპუბლიკანური პარტიის დადგენილება

ლონდონი, 12 აგვისტო. დუბლინში (ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს დედა-ქალაქი) შესდგა რესპუბლიკანური პარტიის კონფერენცია. (აღნიშნული პარტიის ბელადია **დე-ვალერა**) კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად წინადადება ეძლევა ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს პარლამენტის რესპუბლიკანელ დეპუტატებს მიიღონ ინგლისის მეფისადმი და სახელმწიფოს კონსტიტუციისადმი ერთგულების ფიცი, რომ შეძლება მიეცესთ მონაწილეობა მიიღონ პარლამენტის მუშაობაში. (დღემდე რესპუბლიკანელები ფიცის მიღებაზე უარს აცხადებდნენ და ამიტომ პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობას არ ღებულობდნენ)

რესპუბლიკანური პარტიის ამ დადგენილებასთან დაკავშირებით, კოსგრევის მთავრობა კარგავს პარლამენტში უმრავლესობას, რომელიც ამიერიდან ექნება რესპუბლიკანური და მუშათა პარტიის კოალიციას. ფიქრობენ, რომ კოსგრევი წამოაყენებს წინადადებას მთავრობის გადადგომისა და პარლამენტის დათხოვნის შესახებ. (ადს).

გერმანიის კომპარტიის ცეკას განცხადება

საკავშირო კომპარტიის ოპოზიციის განცხადების შესახებ

ბერლინი, 12 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა ვრცელი განცხადება ოპოზიციის განცხადების გამო საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაფართოებულ პლენუმზე. ამ განცხადებაში სხვათა შორის ნათქვამია:

„საკავშირო კომპარტიის ოპოზიცია თავის განცხადებაში ლაპარაკობს გერმანიის კომპარტიის გათიშვისა და ახალი პარტიის დაარსების საფრთხის შესახებ გერმანიაში. განცხადებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ თვით მისი ავტორები ეკუთვნიან ასეთი საფრთხის არსებობის დამნაშავეთა რიცხვს. თუ ეს საფრთხე, მიუხედავათ საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის გაზვიადებული მტკიცებისა, უმნიშვნელოა,—ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ გერმანიის კომპარტიის დიდმა უმრავლესობამ მეტად მკაცრად გაილაშქრა როგორც გერმანულ, ისე რუსული ოპოზიციის წინააღმდეგ. ჩვენ არავითარი იმედი არა გვაქვს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიცია შეასრულებს თავის ახალ დაპირებებს.

მისი ხელმოწერა უკანასკნელ განცხადებაზე იმდენივე ღირს, რამდენიც რუტ ფიშერის ხელმოწერა ღია წერილზე. გერმანიის კომპარტია მასლოვ-რუტ ფიშერის ჯგუფს უყურებს არა როგორც რევოლიუციონური მუშების გაერთიანებას, რომელსაც შეიძლება წაუყენოთ პირობები კომპარტიაში მისაღებად, არამედ როგორც ობიექტიურად (ხოლო მისი ხელმძღვანელებისათვის სუბიექტიურადაც მუშათა მოძრაობის მტრების და პოლიტიკური ავანტიურისტების კონტრ-რევოლიუციონურ ხროვას. ამ ელემენტებსა და გერმანიის კომპარტიას შორის არც ეხლა და არც მომავალში არ შეიძლება გადებულ იქნეს ხიდი. **გერმანიის კომპარტია ამ რენეგატული ჯგუფის ხელახლად პარტიაში მიღების ყოველგვარ წინადადებას უყურებს როგორც პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებისა და პარტიის შიგნით კონტრ-რევოლიუციონური გავლენის გავრცელების შეგნებულ ცდას. რუსული ოპოზიციის მტკიცება, რომ მასლოვ-ურბანსის ჯგუფი დაკავშირებულია მუშათა მასებთან,—სიყალბეა.** გერმანიის კომპარტიის კარები ღია იყო და იქნება მომავალშიაც ყოველი პროლეტარისათვის, რომელიც სცნობს და მზადაა შეასრულოს კომინტერნისა და გერმანიის კომპარტიის დადგენილებები. მაგრამ საკავშირო კომპარტიის (ბ) ოპოზიციის წინადადება გაკოტრებულ ბელადების უკანვე პარტიაში მიღების შესახებ და მათი ანტიკომუნისტური პროპაგანდის დაცვა არამც თუ რაიმე რწმენას შემატებს გერმანელ მუშებს, არამედ კიდევ უფრო მეტად გაუტეხს სახელს საკავშირო კომპარტიის ოპოზიციას". (ადს).

ქალთა კოოპერატიული კონგრესი

სტოკჰოლმი, 12 აგვისტო. 12 აგვისტოს სტოკჰოლმში გაიხსნა ქალთა კოოპერატიულ გილდიების საერთაშორისო კონგრესი. გახსნის დღეს უნდა გამოსულიყო კომინტერნის წარმომადგენელი-ქალი, რომელიც წინასწარ იყო მიწვეული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კონგრესის თავმჯდომარემ **ემმა ფრეინდლიხმა**—ავსტრიის ქალთა კოოპერატიული გილდიის თავმჯდომარემ—**აკრძალა ეს გამოსვლა.**

ქალთა კოოპერატიული მოძრაობის შესახებ მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდენ მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტი დელეგატი-ქალები. მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარე ხშირად აწყვეტინებდა მათ სიტყვას, **ორივე კომუნისტ დელეგატებმა მაინც მოახერხეს თავისი თვალსაზრისის განმარტება.**

ქალთა კოოპერატიული გილდიების საერთაშორისო გაერთიანების წესდების განხილვის შემდეგ, კონგრესმა დაადგინა, რომ გაერთიანებაში დაშვებულ იქნას ყოველ ქვეყნიდან თითო-თითო წარმომადგენელი. საბჭოთა კავშირს უარი განუცხადეს წარმომადგენლობაზე, იმის მომიზეზებით, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობენ ქალთა კოოპერატიული გილდიები.

კამათის დროს შვეციის დელეგატ-ქალმა გამოსთქვა სიმპატიები საბჭოთა კავშირისადმი და ხაზი გაუსვა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის საჭიროებას სხვა ქვეყნებშიაც.

კენჭის ყრის დროს თავმჯდომარემ არ მიიღო საბჭოთა კავშირის დელეგატ-ქალების შესწორებები რეზოლიუციაში ფასების და მოგების განაწილების შესახებ. ხმების დიდი უმრავლესობით სამის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეფორმისტული რეზოლიუცია. მიუხედავად ფრეიდლიხის დიქტატორული ქცევისა, **კომუნისტ დელეგატ-ქალების სიტყვებს მქუხარე ტაშით ეგებებოდენ** (ადს).

„ტან"-ი აღშფოთებულია

„ლონდონის ბრძანებით"

პარიზი, 12 აგვისტო. მილიერანის ორგანო „ავენირი" აქვეყნებს წერილს სათაურით „ლონდონის ბრძანებით", **საფრანგეთის მთავრობის დადგენილებას რეინის ოლქში საოკუპაციო ჯარების რაოდენობის შემცირების შესახებ უწოდებს „სკანდალურ" დადგენილებას.**

გაზეთი აცხადებს, რომ საფრანგეთი არ აწარმოებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას. „ბრიანმა,—სწერს გაზეთი,—ვერ გამოიყენა ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი იმ კავშირის გასამტკიცებლად, რომელიც არსებობს ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ბრიანი ენდობა შტრეზემანს და ვერ დააყენა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო, რომელიც უბრუნდება ლოიდ-ჯორჯის გერმანოფილურ პოლიტიკას, ჭეშმარიტად რეალურ პოლიტიკის გზაზე, დიდი ანტანტის, მცირე ანტანტის და პოლონეთის კავშირის გზაზე. (ადს).

რადომირ ვუიოვიჩის ბედი

ვენა, 12 აგვისტო. მთელ რიგ პროტესტების გამო როგორც სამხრეთ-სლავიაში ისე საზღვარგარეთ, ბელგრადის პოლიციამ დაბოლოს დართო რადომირ ვუიოვიჩის ნათესავებს და დამცველებს დაპატიმრებულის ნახვის ნება. **ვუიოვიჩი დიდი ხნის შიმშილობის გამო ძლიერ დასუსტებულია.**

ბელგრადის გაზეთ „ნოვოსტი"-ს ცნობით რადომირ ვუიოვიჩის ბრალდება განისაზღვრება იმით, რომ ის არის კომინტერნის აღმასკომის **წევრ ვუიოვიჩის ძმა.**

გაზეთი „პრავდა" ამტკიცებს, რომ რადომირ ვუიოვიჩს ბრალს სდებენ იმაში, რომ ის აწარმოებდა კომუნისტურ პროპაგანდას და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა არალეგალურ კომუნისტურ მუშაობაში ბელგრადში. მაგრამ გაზეთი სცნობს, რომ პოლიციამ ვერ იპოვა რაიმე მასალები ბრალდების დასამტკიცებლად (ადს).

მორიგი აჯანყება

პორტუგალიაში

პარიზი, 12 აგვისტო. ჰავასის სააგენტოს ცნობით ლისაბონში (პორტუგალია) იფეთქა აჯანყებამ, რომელიც ჩაქრობილია. მთავრობა ამტკიცებს, რომ ის მდგომარეობის ბატონ-პატრონია.

„საშიში" ლექსი

ბერლინი, 12 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის ორგანოს ყოფილ პასუხისმგებელ რედაქტორ **გაისვერტს** მიუსაჯეს 9 თვის ციხე იმის გამო, რომ მან „როტე ფანე"-ში დაბეჭდა ლექსი, „რომელიც ემუქრებოდა საზოგადოებრივ წესრიგს" (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღამის ცნობები

ირლანდია ინგლისთან ომისათვის ემზადება

ლონდონი, 13 აგვისტო. ირლანდიის რესპუბლიკანურმა არმიამ (ეს არმია მოწყობილია ირლანდიელ ნაციონალისტების შეურიგებელი ფრთის მიერ, რომელსაც მეთაურობს ინგლისელების მიერ დაპატიმრებულ ქ. კორკის ქ. თავის ქალიშვილი) გამოაქვეყნა ბრძანება თავისი ნაწილებისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისი ემზადება ირლანდიასთან ომისათვის. ამის გამო ბრძანება წინადადებას აძლევს ყველა სამხედრო ნაწილებს გააძლიერონ სამხედრო სწავლება და მოხალისეთა შეკრება, მიუხედავათ ამისა, თუ რა შედეგები მოჰყვება ამას.

საბჭოთა მოქალაქეების საქმე

პეკინი, 12 აგვისტო. პეკინის საბჭოთა საელჩოზე თავდასხმის დროს დაპატიმრებულ 50 საბჭოთა მოქალაქის საქმის გარჩევა გადადებულია ერთი თვით.

გენერლის დაკარგვა

ვარშავა, 12 აგვისტო. გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა გენ. ზაგურსკის დაკარგვის შესახებ. ზაგურსკი დააპატიმრეს პილსუდსკის მიერ მოხდენილ გადატრიალების დროს და მხოლოდ რამდენიმე ხნის წინათ გაანთავისუფლეს). ჟანდარმებს მიეცა ბრძანება მიიღონ ზომები მის აღმოსაჩენად, რადგან ფიქრობენ, რომ ის უცხოეთში გაიპარა (ადს).

გაფიცვა ვარშავაში

ვარშავა, 12 აგვისტო. ლოძის ყველა პროფკავშირების გამგეობებმა დაადგინეს გამოაცხადონ გაფიცვა ნიშნად თანაგრძნობისა გაფიცულ ტრამვაელებისადმი.

მარტის დაპატიმრება

პარიზი, 12 აგვისტო. დააპატიმრეს მარტი, რომელიც გასამართლებულ იქნა პარლამენტის სესიის დროს და უარი განაცხადა გამოცხადებაზე ხასჯელის მოსახდენათ.

თეთრგვარდიელ ვასილკოვსკის გადასახლება

რეველი, 12 აგვისტო. ყოფ. გენ. ვასილკოვსკიმ, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის წარმომადგენელმა ესტონეთში, მოიხადა სასჯელი ციხეში. ამის შემდეგ ესტონეთის მთავრობამ ის კუნძულ დაგოზე გადაასახლა.

ბრძოლა ნავთისათვის

„როიალ დეტჩ შელი“ ამოქმედდა

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. ამერიკული გაზეთების ცნობით, ნავთის ტრესტი „როიალ დეტჩ შელი“ კლივლენდში (ოგაიოს შტატი) ყიდულობს საწყობებს და ემზადება კამპანიის დასაწყებად „ტრესტ ნიუ-იორკის სტანდარტ ოილის“ წინააღმდეგ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ყიდულობს საბჭოთა ნავთს (ადს).

ბანკის გაკოტრება

რიგა, 12 აგვისტო. ბანკმა „ლატვიჯმა“ იზარალა 750.000 მანეთი. ზარალი გამოწვეულია ადგილობრივ ფირმებისაგან უგარანტიო სესხის მიცემით. ბანკის მმართველი კრაუზე დაპატიმრებულია. ბანკის ყოფილი დირექტორი შვედე თავდებ ქვეშ გაანთავისუფლეს. (ადს).

გერმანიის „რესპუბლიკის“

8 წლის თავი

ბერლინი, 12 აგვისტო. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ 11 აგვისტოს, ვეიმარის კონსტიტუციის მიღების დღიდან 8 წლის შესრულების თავზე, მთელს გერმანიაში გაიმართა საკონსტიტუციო ზეიმი, რომელშიც აუარებელმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა (ადს).

რეპრესიების მიუხედავად

ჩეხო-სლოვაკიაში გაფიცვა გრძელდება

პრაღა, 12 აგვისტო. მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული პრესა აძლიერებს ცილისწამების კამპანიას და ხელისუფლება იღებს რეპრესიულ ზომებს. **ალმშენებელ მუშათა გაფიცვა პრაღაში ფართოვდება. მთელ ქალაქში დაყენებულია პოლიცია. გაძლიერებული რაზმები და გარნიზონი მზათაა ბრძოლისათვის.** (ადს).

საკო სიმშილობს მე-28-ე დღე

ისევ ციხეში

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. საკო და ვანცეტი სიკვდილით დასასჯელთა საკანიდან გადაყვანილი არიან ისევ ციხეში. საკო, რომელიც მე-28 დღეა რაც სიმშილობს ძალიან დასუსტებულია. ციხის ადმინისტრაციას განზრახული აქვს მოაწყოს საკოს იძულებითი კვება.

დამცველები ყოველგვარ შესაძლებლობას იყენებენ იმისათვის, რომ მიაღწიონ საქმის გადასინჯვას. მაგრამ დამცველთა წრეები მეტად პესიმისტურად უყურებენ სიკვდილის დასჯის განაჩენის გაუქმების შესაძლებლობას.

„ნიუიორკ ტაიმსი“ და სხვა რეაქციონური გაზეთები დაჟინებით უარყოფენ იმ გარემოებას, რომ გუბერნატორ ფულერის გადაწყვეტილება სიკვდილით დასჯის გადადების შესახებ გამოტანილ იქნა მუშათა საპროტესტო დემონსტრაციების ზეგავლენით (ადს).

დემონსტრაციების შემდეგ

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. პოლიციამ ბოსტონში დააპატიმრა 39 კაცი. დაპატიმრებულთა შორის არიან კომუნისტები, სოციალისტები, და ლიბერალურ და ინტელიგენტურ წრეების წარმომადგენლები; დაპატიმრებულნი შედიოდენ იმ პიკეტების შემადგენლობაში, რომელნიც წესრიგს იცავდნენ საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯით საწინააღმდეგო დემონსტრაციებში. დაპატიმრებულნი მოსამართლემ დააჯარიმა ხუთ-ხუთი დოლარით და შემდეგ გაანთავისუფლა.

ამავე დროს დაპატიმრებულ იქნა „უორკერს პარტის“ ცეკას წევრი ბერტრან ვოლფი, რომელიც დააჯარიმეს 20 დოლარით და შემდეგ განთავისუფლებულ იქნა.

ჯალათი გოლფს თამაშობს

ნიუიორკი, 12 აგვისტო. მოსამართლე ტელლერმა, რომელმაც სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა საკოსა და ვანცეტის, განაჩენის შესრულებისათვის დანიშნული დღე გაატარა გოლფის თამაშში (ადს).

ვანცეტის წერილი

ამერიკიდან ახლად ჩამოსულმა იტალიის მუშათა გაზეთი „შრომა“-ს რედაქტორმა ამხ. ხორმენტომ, გადასცა რემედასის აღმასკომს ვანცეტის წერილები.

მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ამ წერილებიდან. ამხ. ვანცეტი სწერს:

„ძვირფასო მეგობარო, შენ ჯერ კიდევ იმედი გვაქვს და გჯერა, რომ გამარჯვება ჩვენია... რა თქმა უნდა ძნელია უიმედობა, მაგრამ მე მოველი აუცილებელ დამარცხებას. ვფიქრობ, რომ მოსამართლე ტეიერი უარს იტყვის საქმის ხელმეორე გარჩევაზე. მე ვფიქრობ, რომ მას სათანადო დირექტივაც მიღებული აქვს.

მაგრამ მე სასოწარკვეთილებაში არ ვარდები და ბოლომდი ვიბრძოლებ. თუმცა, მე დარწმუნებული ვარ, რომ ფიზიკურად ჩვენ დაგვამარცხებენ და გაგვანადგურებენ, მაგრამ ამასაც ვგრძნობ, რომ ასეთი სიკვდილით ჩვენ ვუმზადებთ ჩვენს კლასიურ მტერს უფრო სერიოზულ და უფრო დიდ დამარცხებას, რომელთან შედარებით დღევანდელი მისი გამარჯვება ძლიერ მცირე და უმნიშვნელოა.

მე იტალია - ამერიკის დემოკრატიული პრესის დიდი დახმარების იმედი არა მაქვს... რომ ხანგრძლივი და სასტიკი მკვლელობა ეხებოდეს ორ ფაშისტს ან რეაქციონურ პარტიის ხალხს და არა ორ რევოლიუციონერს, მე მწამს, რომ ასეთ შემთხვევაში ეს პრესა სხვანაირად ალაპარაკდებოდა და შედეგიც სხვა იქნებოდა.

იტალიის სენატორმა რიჩიმ ჩვენ უდანაშაულოთ გამოგვაცხადა, იტალიის კონსულმა ბოსტონში რუფფანტიმ განაცხადა, რომ განაჩენი ჩვენ საქმეზე წარმოადგენს პოლიტიკური და რასიული სიძულვილის შედეგს და დაგვპირდენ დახმარება, ფაშისტური პრესაც ჩვენს სასარგებლოთ ალაპარაკდა, იტალიის მთავრობამ კი კონფისკაცია უყო იმ პროტესტებს და მანიფესტებს, რომლებსაც ჩვენი მეგობრები უგზავნიან ამერიკის ელჩს რომში.

თუ ხალხმა არ გაიღვიძა და მისმა რისხვამ არ შეაშინა ჯალათები—ჩვენ ცოცხლად დაგვწვავენ და დაგვასამარებენ.

ამერიკის და ევროპის პროლეტარიატი ჩვენთან ერთად განიცდის ჩვენს წამებას, მაგრამ ჩვენი მტერი ჯერ - კიდევ ძლიერი და ულმობელია და საეჭვოა გავიმარჯვებთ თუ არა.

ბარიკადების გადაღმა ბურჟუაზია ტრაბახობს დროებით და უმნიშვნელო გამარჯვებით, მაგრამ მას მოელის მომავალში სერიოზული დამარცხება. ჩვენ — კი, უკვე შევეჩვიეთ სიცოცხლეს, რომელიც სიკვდილზე უარესია და შევეჩვიეთ სიკვდილის მოლოდინსაც.

რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა იქნეს ჩვენ ერთის ნაბიჯითაც არ დავიხევთ უკან. გულითადი სალამი.

ბარტოლომეო ვანცეტი.

ვენის ამბების შემდეგ

დაპატიმრებულთა სიმშილობა

ვენა, 12 აგვისტო. ვენაში მომხდარ ამბების დროს დაპატიმრებულ 240 კაცისაგან, რომლების საქმე გადაეცა პროვინციალურ სასამართლოს, 117 კაცი გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ უნდა გამოცხადდენ სასამართლოში საქმის გარჩევის დროს.

16 კაცმა გამოაცხადა სიმშილობა, სიმშილობის გამოცხადება გამოწვეულია ციხიდან განთავისუფლების შესახებ აღძრულ შუამდგომლობის უარყოფით.

„ადამიანის უფლებათა ლიგის“ დარბევა

ვენა, 12 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასცა განკარგულება „ადამიანის უფლებათა ლიგის“ ყველა ორგანიზაციების დახურვისა და მათი ქონების კონფისკაციის შესახებ მთელს სამხრეთ-სლავიაში. ეს გამოიწვია პოლიციის მიერ ისეთი მასალების აღმოჩენამ, საიდანაც ჩანს, რომ თითქოს ლიგა ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა სახელით აწარმოებდა კომუნისტურ პროპაგანდას. (ადს).

გაფიცვა უნგრეთში

მდგომარეობა მწვავდება

ვენა, 12 აგვისტო. ბუდაპეშტის მუშების გაფიცვა გამწვავდა. **მოლაპარაკება მწარმოებლებსა და გაფიცულებს შორის შეწყდა,** ვინაიდან მწარმოებლებმა მოსთხოვეს მუშებს წინასწარ მუშაობის განახლება. **გაფიცულებმა მუშაობის განახლებაზე უარი განაცხადეს მანამ, სანამ ყველა სადავო საკითხები არ იქნება მოწესრიგებული გაფიცულთა დელეგატების დასწრებით.** (ადს).

ქარიშხალი შვეიცარიაში

პარიზი, 12 აგვისტო. ჟენევიდან იუწყებიან, რომ დასავლეთ შვეიცარიაში ადგილი ჰქონდა ძლიერ ქარიშხალს, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობას. ხეები ფესვიანათ ამოღებულია მიწიდან, ჟენევის ტბა 5 წუთის განმავლობაში ადიდდა 29 დუიმით. რკინის გზის ხაზის დაზიანების გამო, სიმპლონის ხაზის მატარებლები გაატარეს ბერნის გზით.

ქარიშხალმა დიდი ზარალი მიაყენა აგრეთვე აღმოსავლეთ საფრანგეთსაც.

არჩევნები ოსმალეთში

ანგორა, 12 აგვისტო. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ საარჩევნო კამპანია ოსმალეთში გაცხოველებით მიმდინარეობს.

თითქმის ყველგან ამომრჩევლებათ არჩეული არიან სახალხო პარტიის წევრები. ვინაიდან მრავალ საარჩევნო რაიონში საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობა, გაიზარდა აგრეთვე ასარჩევ დეპუტატთა რიცხვიც (ადს).

რკინისგზელების გაფიცვა ოსმალეთში

ანგორა, 12 აგვისტო. ვინაიდან ენიჯე-ნასიბის რკინისგზის გამგეობამ უარი განაცხადა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მომატებაზე, **რკინისგზაზე გამოცხადებულია გაფიცვა. გაფიცულია 650 კაცი.** სარკინისგზო კავშირი სტამბოლთან შეწყვეტილია. სტამბოლში მოვიდა მხოლოდ ერთი მატარებელი. კავშირი ქალაქთან სწარმოებს საავტომობილო ტრანსპორტის საშუალებით (ადს).

ამხ. რიკოვის სიტყვა

მოსკოვის პარტაქტივის კრებაზე *)

მოსკოვი, 13 აგვისტო. მე დავიწყებ საკითხიდან ომის საფრთხის შესახებ—ამბობს ამხ. რიკოვი. უწინარეს ყოვლისა ანალიზს ვუკეთებ მსოფლიო მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობას. კაპიტალიზმმა სტაბილიზაციის ნიადაგზე საერთოდ და მთლიანად გადააბიჯა ომის წინადროის დონეს. ახლა მის წინაშე უდიდესი სისწრაფით წამოიჭრა გასაღების ბაზრების გაფართოების საკითხი. პოლიტიკურად ეს მდგომარეობა ჰქმნის და აძლიერებს ცალკე ქვეყნების იმპერიალისტურ ტენდენციებს, აღრმავებს წინააღმდეგობებს მათ შორის და გარკვევით აყენებს საკითხს მსოფლიოს ახალი გაყოფის შესახებ, ახალი ომის შესახებ, ამრიგად სტაბილიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც აჩქარებს სამხედრო შეტაკების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ ისეთი იმპერიალისტური ქვეყნები, როგორც ინგლისი, რომელთა აყვავება დამოკიდებულია კოლონიალურ, ნახევრად კოლონიალურ და ჩამორჩენილ ქვეყნების ექსპლოატაციაზე, გამოდიან ახალი ომის მეთაურებად და ორგანიზატორებად, მუშათა კლასის წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლის ორგანიზატორებად. ამრიგად სტაბილიზაცია, აძლიერებს რა იმპერიალისტურ ტენდენციებს, გადადის თავის წინააღმდეგობაში, რამაც აუცილებლად უნდა შექმნას ახალი კრიზისები მსოფლიო მეურნეობაში. კაპიტალიზმის ცდა სტაბილიზაციის მისაღწევად წვევს კლასიურ წინააღმდეგობათა გაძლიერებას და კლასიურ ურთიერთობათა გამწვავებას, იწვევს ერთის მხრივ მუშათა მოძრაობის გამემარცხნებას, მეორეს მხრივ კი—ბურჟუაზიის ცდებს ჩააქროს ყოველივე საშუალებებით მუშათა მოძრაობა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ უახლოეს დროში ვდგევართ ახალ კლასიურ შეტაკებების წინაშე. ჩვენი მიღწევები უკანასკნელ წლებში გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა კავშირი წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ამის გამო კაპიტალიზმის ინტერესების თვალსაზრისით „რუსულ პრობლემის“ გადაჭრა სულ უფრო და უფრო საჭირო ხდება. საჭიროა ანგარიში გაეწიოს იმ გარემოებას, რომ ურთიერთობაში კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირს შორის უკანასკნელ წლებში მოხდა კარდინალური ცვლილებები. ამჟამად მდგომარეობის ცვლილება გამოიხატება იმაში, რომ ორივე მხრით განმტკიცდა და განმტკიცებასთან ერთად იზრდება და მწვავდება ამ ორი სისტემის ერთსა და იმავე დროს არსებობაში ჩამარხული წინააღმდეგობები.

საბჭოთა კავშირი ხდება იმპერიალისტების თავდასხმის მთავარი ობიექტი. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა და შემდეგ ომის მოწყობა — გადაიქცა იმპერიალიზმის პოლიტიკის აქტიურ ამოცანად, რადგან მას იმედი აქვს, რომ მხოლოდ ამ გზით გაიადვილებს ჩინეთის დამორჩილებას, ყველა კოლონიალურ ერთა დამონებას და ბრძოლას მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ამ ერთიანი ფრონტის შექმნას დღევანდელ მომენტამდე აბრკოლებდენ როგორც მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში არსებული შინაგანი წინააღმდეგობები, ისე მშვიდობიანი პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მხრივ. მაგრამ ჩვენ მაინც უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადების გეგმა ხორციელდება ყველა მიმართულებით — დიპლომატიურად, საზოგადოებრივ - პოლიტიკურად და ტეხნიკურად. გვაქვს თუ არა რეალური საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უკვე არ დგას დღის წესრიგში? ამის დასამტკიცებლად საკმარისია უკანასკნელ წლებში მომხდარი ამბების ჩამოთვლა. ასეთი ფაქტების რიცხვს ეკუთვნის თავდასხმა ჩვენს პეკინის საელჩოზე. არკოსზე, ინგლისის მიერ დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა ჩვენთან, ბურჟუაზიული პრესის მტრული კამპანია, ინგლისელების გაძლიერებული დიპლომატიური მუშაობა ერთიანი ფრონტის შესაქმნელად ჩვენს წინააღმდეგ. ამისათვის ეკონომიური ზემოქმედების ზომების გამოყენება და სხ. ომის საკითხთან დაკავშირებით ცეკას პლენუმზე აღიძრა დავა ომის ვადის გარშემო ჩამოყალიბდა ორი უკიდურესი თვალსაზრისი: ერთი, რომელიც წარმოდგენილი იყო ოსინსკის მიერ და მეორე, ზინოვიევის მიერ წარმოდგენილი. ოსინსკი გამოდიოდა იქიდან, რომ ჩვენ ვბერავთ ომის საფრთხეს, რომ უახლოეს წლებში არ იქნება ომი და რომ მისი შანსები ნაკლებ სარწმუნოა. ზინოვიევი კი სხვანაირად ფიქრობდა; ის ამტკიცებდა, რომ ტერმინი „ომის შესაძლებლობა“ უკვე აღარ გამოხატავს ნამდვილ მდგომარეობას, და რომ რეზოლიუციაში მოკლედ და გარკვევით უნდა ითქვას, რომ ომი აუცილებელია. პლენუმმა უარჰყო როგორც ერთი, ისე მეორე თვალსაზრისი. ვერავინ ვერ იტყვის წინასწარ, თუ როდის იქნება ომი, მოკლე თუ დიდი ხნის შემდეგ. მაგრამ ზინოვიევის წინადადება, რომ რეზოლიუციაში აღნიშნულ იქნას ომის „აუცილებლობა“, აშკარად შემცდარი და ზიანის მომტანია. რა საშუალებებია ჩვენს განკარგულებაში იმისათვის, რომ უახლოეს ხანშივე თავიდან ავიცილოთ სამხედრო შეტაკების საფრთხე? მთავარ გამახანგრძლივებელ ფაქტორს წარმოადგენს სოციალური საფრთხე, ე. ი. იმის ფიქრი, რომ უმრავლეს შემთხვევაში ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოიწვევს პროლეტარულ რევოლიუციებს. ეს ფაქტორი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ ყველა დანარჩენი წინააღმდეგობები კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, რადგან ის პირდაპირ სვამს კითხვას ევროპის და, შესაძლებელია, მთელი კაპიტალისტურ მსოფლიოს შემდეგი ბედის შესახებ, საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ იქნება მსოფლიოს ბატონ-პატრონი — მუშათა კლასი თუ კაპიტალისტები. ამ ფაქტორთან ერთად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი შესაძლებლობანი საერთო პოლიტიკის ხაზით. ჩვენს მიმდინარე პოლიტიკაში ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა ეს შესაძლებლობანი — ეკონომიური დარაზმულობის გაძლიერება და სხვ. საბჭოთა სახელმწიფომ ყველა ზომები უნდა მიიღოს იმისათვის, რომ გაიხანგრძლივოს მშვიდობიანი შესვენება და მაქსიმალურად დააგვიანოს სამხედრო შეტაკების შესაძლებლობა.

მაგრამ ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ იქიდან, რომ ამჟამად ომის საფრთხე სავსებით რეალურია და ამასთან შეფარდებით უნდა მივიღოთ ყველა საჭირო ზომები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გასაძლიერებლად.

როგორი იქნება მომავალი ომის ხასიათი და რაში იქნება მისი განსხვავება მომავალი ომებისაგან? მომავალი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პრინციპიალურად იქნება განსხვავებული 1914 წლის იმპერიალისტურ ომისაგან და ყველა სხვა ომებისაგან მით, რომ ის იქნება ნათლად გამოხატულ კლასიურ ხასიათის მატარებელი. აქედან გამომდინარეობენ პროლეტარულ ბრძოლის ახალი ლოზუნგები, თუ ომი დაიწყება. კომინტერნმა, მუშათა კლასის კომპარტიამ ამ მდგომარეობაში უნდა გაიმეორონ ის, რასაც ამბობდა ვლადიმერ ილიჩი, როდესაც თავის „გარეშე რჩევებში“ სწერდა: „ჩააყენეთ ხელისუფლების სათავეში საუკეთესო მუშები თოფებით და ლოზუნგით, რომ დაიღუპონ, მაგრამ მტერს კი არ დანებდენ. ბურჟუაზიულ ქვეყნების პროლეტარიატის ამოცანა იქნება, რომ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადააქციონ სამოქალაქო ომად, ომად თავის ქვეყნების კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშების მიერ ხელისუფლების დასაპყრობად. ახალმა ომმა, რომელსაც ექნება აშკარად გამოხატული კლასიური ხასიათი, უნდა წარმოშვას კიდევ უფრო მძლავრი რევოლიუციონური მოძრაობა, ვიდრე ეს იყო იმპერიალისტურ ომის შემდეგ. ამაში მდგომარეობს ერთ-ერთი წინასწარი პირობა ჩვენი გამარჯვებისა კაპიტალისტურ მსოფლიოსთან მოსალოდნელ შეტაკებაში. ჩვენში, ჩვენი ქვეყნის შიგნით, სოციალისტურ სამშობლოს თავდაცვის ლოზუნგი წარმოადგენს უმთავრეს ლოზუნგს არა მარტო პროლეტარიატისათვის, არამედ ყველა მშრომელ მასებისათვისაც, რომელთა ჰეგემონად ის გამოდის.

---

*) მიღებულია სიტყვის მხოლოდ ერთი ნაწილი. სიტყვის ბოლო არ არის მიღებული. რედ.

ამხ. დავთიანი
საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ვოლხოვში ამუშავეს უკანასკნელი გენერატორი

ლენინგრადი, 13 აგვისტო. „ვოლხოვსტროიზე“ მუშაობა დაიწყო საბჭოთა მეოთხე გენერატორმა. მანქანები კარგად მუშაობენ. ვოლხოვის სადგური მთელი ძალლონით მუშაობს (ადს).

პროფკავშირთა საკ. ცენტრ. საბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 13 აგვისტო. პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა 10 ოქტომბრისათვის მოიწვიოს საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პლენუმი (ადს).

ასანთის ექსპორტი

ლენინგრადი, 13 აგვისტო. ჩრდილო - დასავლეთის ასანთის სალექო ტრესტმა შეკვეთა მიიღო უცხოეთის ფირმებიდან. უცხოეთში უკვე გაგზავნილია 10.000 ყუთი ასანთი.

ფრანგი მფრინავი

ოდესა, 13 აგვისტო. ოდესის ჰაეროდრომზე დაეშვა ფრანგი სამხედრო მფრინავი ვეისი, აღმოსავლეთ ევროპის გარშემო გადასაფრენად, ვეისი 11 აგვისტოს გამოფრინდა პარიზიდან. დღეს მფრინავი ვეისი და მისი თანამგზავრი ასტონი გაფრინდებიან როსტოვისაკენ (ადს).

ამხ. კალინინის სიტყვა

წყლის ტრანსპორტის მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე

მოსკოვი, 13 აგვისტო. წყლის ტრანსპორტზე მომუშავეთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე საკ. კომ. პარ. (ბ) და მთავრობის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. კალინინი, რომელიც შეჩერდა მიმდინარე მომენტის ძირითად ამოცანებზე.

შეეხო რა ომის საფრთხეს, ამხ. კალინინმა მოიყვანა საერთაშორისო მდგომარეობის გარშემო საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკასი და ცენტრალური საკ. კომ. გაერთიანებული პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუცია. „ეს რეზოლიუცია, — სთქვა ამხ. კალინინმა, — გარკვეულად სვამს საკითხს ომის საფრთხის შესახებ. ომის შესაძლებლობა მოსჩანს კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების ხასიათში. ბუნებრივია, რომ ყველას სურს გაიგოს, თუ როდის მოხდება სამხედრო შეტაკება, მაგრამ ამ დროის განსაზღვრა ძალიან ძნელია. ჩვენ მხოლოდ ერთი შეგვიძლია ვსთქვათ: სახელდობრ ის, რომ ბურჟუაზიული ბანაკი ემზადება. ბურჟუაზია ამზადებს საზოგადოებრივ აზრს ენერგიული თავდასხმისათვის საბჭოთა კავშირზე. დღითი დღე იზრდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის ძლიერება. ეს გარემოება აიძულებს ბურჟუაზიას შეადგინოს ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა სახელმწიფო წინანდებურად ადგია სამშვიდობო პოლიტიკის გზას, მაგრამ თვით მისი არსებობისა და განვითარების ფაქტია რევოლიუციონერებს კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა კლასს და იწვევს ბურჟუაზიაში საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილის ზრდას. ომის საფრთხე გვავალებს მთელ რიგ ზომების მიღებას. პირველი ზომაა— საკუთარი რიგების გაძლიერება. მეორე ზომა, რომელმაც უნდა დაიცვას საბჭოთა სახელმწიფო შეიარაღებული თავდასხმისაგან, არის პროლეტარიატის მომზადება შესაძლებელი თავდასხმისათვის და საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების მუშათა კლასის სიფხიზლის გაძლიერება“ (ადს).

რემედასის მოწოდება

მოსკოვი, 13 აგვისტო. რემედასის აღმასკომმა მიმართა მოწოდებით ყველა მშრომელთ ინტელიგენციას და მთელ პატიოსან მოაზროვნე კაცობრიობას. მოწოდებაში ნათქვამია:

„საკოსი და ვანცეტის სიკვდილით დასჯა გადადებულია რამდენიმე დღით მხოლოდ იმისათვის, რომ შეასუსტონ ძლიერი კამპანიის ზეგავლენა და შეასუსტონ უდიდესი აღშფოთების ტალღა. ამ მკაცრ და ცინიკურ გამოწვევას უპასუხეთ უფრო ძლიერი საპროტესტო ტალღით. ყველა საშუალებებით მოითხოვეთ მუშათა კლასის ორი წამებულის განთავისუფლება“.

შავი ზღვის ფლოტი

ოდესა, 13 აგვისტო. დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა შავი ზღვის ესკადრის მეზღვაურებთან ერთად. საზღვაო ძალების უფროსმა ორლოვმა, რომელსაც ოვაციებით შეხვდენ, განაცხადა შემდეგი:

„შავი ზღვის ფლოტის ბედი მჭიდროთ არის დაკავშირებული ოდესის ბედთან, რომელიც მდებარეობს ჩვენი მტრის—რუმინეთის საზღვარზე. მშრომელთა დახმარებით ამჟამად აღდგენილია შავი ზღვის ფლოტი. საზაფხულო სამოსწავლო კამპანიამ დაამტკიცა, რომ საზღვაო ძალები მშვენივრად არიან მომზადებულნი. ფლოტი მოუწოდებს ზურგს გაერთიანებისაკენ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებთან და მის ბრძოლის უნარიანობის გაძლიერებისაკენ.

გამოტანილ რეზოლიუციაში კრება სდებს პირობას, რომ საჭირო შემთხვევაში ოდესა დაეხმარება წითელ ფლოტს მოწინააღმდეგისათვის ღირსეული პასუხის გაცემაში (ადს).

უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებული პლენუმი

შერთდება [illegible]

ხარკოვი, 13 აგვისტო. უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებულმა პლენუმმა მოისმინა კაგანოვიჩის და ჩუბარის მოხ. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებულ პლენუმის მუშაობის შესახებ და მთლიანად შეუერთდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებულ პლენუმის გადაწყვეტილებებს:

„უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმი,—ნათქვამია მიღებულ რეზოლიუციაში,—კმაყოფილებით აღნიშნავს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ლენინურ ხაზის უდავო სისწორეს საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის ყველა საკითხებში და ოპოზიციის ხაზის სრულ გაკოტრებას ყველა ამ საკითხებში. პლენუმი მოუწოდებს უკრაინის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს განავითარონ განსაკუთრებით ენერგიული მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად. პლენუმი მოუწოდებს მუშათა და გლეხთა ფართო მასებს კიდევ უფრო შეკავშირდენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო და გაუწიონ წინააღმდეგობა პოროჟენცულ და ნახევრად პოროჟენცულ ტენდენციებს. პლენუმი გადაჭრით უკუაგდებს ოპოზიციის ცდებს, რომლებიც მიმართულია პარტიის ნაციონალური პოლიტიკის სარევიზიოდ, კერძოდ ზინოვიევის გალაშქრებას უკრაინაში წარმოებულ ნაციონალურ პოლიტიკის წინააღმდეგ. პლენუმს მიაჩნია, რომ ღონისძიებები სამეურნეო დარგში იძლევიან სოციალისტურ მეურნეობის შემდგომი სწრაფი ზრდის გარანტიას ოპოზიციის შავბნელ წინასწარმეტყველებათა წინააღმდეგ. პლენუმი მთლიანად უერთდება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებულ პლენუმის რეზოლიუციას ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობის შესახებ. უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმი გადაჭრით ჰკიცხავს ოპოზიციის მიერ 16 ოქტომბრის განცხადებით თავის თავზე აღებულ ვალდებულებათა დარღვევას. პლენუმს მიაჩნია, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ მიღებული გადაწყვეტილება იძლევა ოპოზიციის მთელი საქმიანობის სრულიად სწორ შეფასებას. პარტიამ გამოიჩინა მოთმინების მაქსიმუმი. ოპოზიციის გამოსვლის შემდეგ კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე, ზინოვიევის გამოსვლის შემდეგ უპარტიო კრებაზე ცილისწამებებით ცეკას მიმართ და განსაკუთრებულ ანტიპარტიულ დემონსტრაციის შემდეგ იაროსლავის სადგურზე, სულელურ და დაუსაბუთებელ განცხადებების შემდეგ ტერმიდორიანულ გადაგვარების შესახებ,—ადგილობრივი ორგანიზაციები, და კერძოდ უკრაინის ორგანიზაცია, იძულებული გახდენ მიემართათ საკ. კ. პ. (ბ) ცეკასა და ცენტ. საკონტროლო კომისიისათვის სრულიად სწორი მოთხოვნილებით, რათა ოპოზიციის წინააღმდეგ მიღებული ყოფილიყო გადამჭრელი ზომები ვიდრე ზინოვიევის და ტროცკის გამორიცხვამდე საკ. კ. პ. (ბ) ცეკას შემადგენლობიდან. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმი სრულიად სწორად მოიქცა, როცა პირველად მიიღო გადაწყვეტილება ზინოვიევის და ტროცკის გამორიცხვის შესახებ ცეკას შემადგენლობიდან, მხოლოდ ამის შემდეგ ოპოზიცია იძულებული გახდა მოეხდინა თუნდაც ნაწილობრივი კაპიტულიაცია და ეცნო მთელი პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე თავისი ხაზის მავნებლობა და სიყალბე.

მიაღწია რა ოპოზიციის ამ თუნდაც ნაწილობრივ და არადამაკმაყოფილებელ კაპიტულიაციას, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებულმა პლენუმმა სრულიად სწორად გააკეთა კიდევ ერთი უკანასკნელი ცდა, დასტოვა რა ზინოვიევი და ტროცკი ცეკას შემადგენლობაში და გამოუცხადა მათ სასტიკი საყვედური გაფრთხილებით, ზომიერებადაკარგულ გამთიშველთა უკანასკნელი გაფრთხილებით. ამით ცეკამ და ცენტრ. საკონტროლო კომისიამ კიდევ ერთხელ მისცეს ოპოზიციას შესაძლებლობა გაასწოროს თავისი შეცდომები დაუყონებლივ პარტიის და დაეხმაროს პარტიას მისი მთლიანობის განმტკიცებაში (ადს).

ტრაქტორები მშრომელთათვის

მოსკოვი, 13 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია, რომ გლეხთა გაერთიანებებისათვის შეღავათიან ფასებში გაცემული ტრაქტორები, გაერთიანებათა ლიკვიდაციის გამო ან ნებაყოფლობითი შეთანხმების გზით კერძო მესაკუთრეებს და კულაკებს უვარდებოდათ ხელში და იქცევიან ღარიბი გლეხობის ექსპლოატაციის საშუალებათ. ამის გამო, საკავშირო სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილების პროექტი ტრაქტორების რეგისტრაციისა და განაწილების შესახებ: პროექტის მიხედვით შეზღუდულია უფლებები ტრაქტორების ყიდვა - გაყიდვის საქმეში. პროექტი დასამტკიცებლად გადაეცა საკავშირო ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს. გლეხთა გაერთიანებისა და კერძო პირების მიერ შეძენილი ტრაქტორები სავალდებულო რეგისტრაციაში უნდა იქნას გატარებული ადგილობრივ მიწადმოქმედების სამმართველოებში. ხელშეკრულებანი ტრაქტორების განთვისების შესახებ რეგისტრაციაში უნდა გატარდეს აგრეთვე ადგილობრივ მიწად - მოქმედების სამმართველოებში (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის დაცვა აორთქლებისაგან

ბაქო, 13 აგვისტო. აზერბეიჯანის ს. ს. რ. ს. მ. უ. ს. გამოგონებათა ბიუროში მიმდინარე წლის დასაწყისიდან შემოსულია 85 განცხადება გამოგონებათა შესახებ. მუშათა გამოგონებები შეადგენენ 45 პროცენტს. აზერბეიჯანის გამოგონებათა კომიტეტმა დღემდე გასცა 25 მოწმობა და 1 პატენტი. პატენტი მიეცა ინჟინერ აფონინს, რომელმაც გამოიგონა ელასტიური მცურავი იზოლიაცია ნავთის დასაცავად აორთქლებისაგან. ნავთის ინსტიტუტში ეს გამოგონება გამოსცადა სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც გამოარკვია, რომ აფონინის გამოგონება არ ჩამოუვარდება ღირსებით საზღვარგარეთის მცურავ სახურავებს და უფრო ხელსაყრელია მათზე თავის სიიაფის გამო, ბიურომ მიმართა ნავთსინდიკატს, აზნავთს და გროზნავთს ცირკულიარული წერილით, რომელშიაც მიაქცევს მათ ყურადღებას აფონინის გამოგონებაზე (ადს).

იტალიის სამხედრო ატაშე ბაქოში

ბაქო, 13 აგვისტო. იტალიის სამხედრო-საზღვაო ატაშემ ხუჯამ, რომელიც ამჟამად იმყოფება ბაქოში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტის თანხლებით დაათვალიერა ქალაქი. ხვალ ის გაეცნობა სარეწაოებსა და ნავთის საქაჩავი ქარხნების მუშაობას, რომლის შემდეგ დაბრუნდება მოსკოვში. (ადს).

საზღვარგარედ მივლინება

ბაქო, 13 აგვისტო. ბაქოს საბჭომ საზღვარგარედ მიავლინა ლუდის ქარხნის დირექტორი გუბერტი. მივლინებას მიზნათ აქვს ახალი ტეხნიკის შესწავლა ლუდის გამოხდის საქმეში და შეკვეთების მიცემა ქარხნის მოწყობილობისათვის (ადს).

ზარალი წყალდიდობისაგან

ბაქო, 13 აგვისტო. ნახიჩევანის რესპუბლიკაში წყალდიდობისაგან დაზარალდა 12 სოფელი. წინასწარი ცნობებით ზარალი უდრის 400.000 მანეთს. აწყობენ დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეს (ადს).

სომხეთი

ემიგრანტების დაბრუნება

ერევანი, 13 აგვისტო. საბ. კომ. საბჭოს ხებართვის თანახმად სექტემბერში სომხეთში დაბრუნდება 1.500 ემიგრანტი ოსმალეთიდან და საბერძნეთიდან. ემიგრანტების უმრავლესობას შეადგენენ მებრეშუმენი და მეთამბაქოენი. ემიგრანტებს დაასახლებენ ლენინაკანის მაზრის სოფლებში (ადს).

პიონერები ბანაკიდან ბრუნდებიან

ერევანი. 13 აგვისტო. ათ აგვისტოს პიონერები დაბრუნდენ ლზაკხადზორის საბანაკოდან ერევანში. საბანაკოებზე მოთავსებული იყო 1100 პიონერი. პიონერების მთლიანად დაბრუნების შემდეგ, პიონერების ხელმძღვანელები ექსპედიციას აწყობენ სევანისა, ლენინაკანისა და ლორი-ბამბაკის რაიონებში.

მოწყობილობანი საზღვარგარეთიდან

ერევანი, 13 აგვისტო. განათლების სახალხო კომისარიატის სამხატვრო-საიუველირო სახელოსნომ საზღვარგარეთიდან მიიღო სხვადასხვა მოწყობილობათა ნიმუშები. შედგენილია სახელოსნოსათვის სპეციალური შენობის აგების პროექტი.

სოფლის ელექტროფიკაციის გეგმა

ერევანი, 13 აგვისტო. სომხეთის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეადგინა კომისია სოფლის ელექტროფიკაციის ხუთწლიანი პერსპექტიულ გეგმის შესამუშავებლად. ორი კვირის ვადაში კომისია შეადგენს იმ ადგილების სიას, სადაც აუცილებლობას წარმოადგენს ელექტრო სადგურების აგება მიმდინარე ხუთ წელში.

სომხური ხალხური სიმღერების შესწავლა

ერევანი, 9 აგვისტო. ჩამოვიდა ლენინგრადის კონსერვატორიის ექსპედიცია კონსერვატორიის პრივატ-დოცენტის კუშნარიოვის მეთაურობით. მათ ჩამოსვლას მიზნად აქვს სომხური სიმღერების შესწავლა.

ექსპედიციას განზრახვა აქვს ცოცხალი კავშირი დაამყაროს ადგილობრივ მუსიკალურ ძალებთან. ხვალ, ექსპედიცია მიემგზავრება ნორ-ბაიაზეთის მაზრაში, სადაც უფრო ნაკლებათაა შესწავლილი ხალხური სიმღერები. (ადს).

განსაზოგადოების პროცესების შესახებ სოფლის მეურნეობაში

მარქსისტულ ლიტერატურაში საკმაოდ არის გარკვეული, რომ კაპიტალიზმის პირობებში მიწათმოქმედება აუცილებლად უნდა ჩამორჩებოდეს მრეწველობას, რომ ის უნდა ვითარდებოდეს ბევრად უფრო ნელი ტემპით, ვიდრე მრეწველობა. მიუხედავათ ამისა მსხვილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ გაიკაფა გზა სამიწადმოქმედო წარმოების სფეროშიაც. შეუძლებელია თანამედროვე სასოფლო მეურნეობის შედარება, მაგალითად, წარსულ საუკუნის ნახევრის სასოფლო მეურნეობასთან. ის იმდენად გარდაიქმნა ქალაქის ინდუსტრიის ზეგავლენით, სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის და ქიმიურ მრეწველობის განვითარებით, რომ ძნელია მისი გარჩევა კაპიტალისტურ მეურნეობის სხვა დარგებიდან.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერება რამდენიმეჯერ გაიზარდა. საკმაოა მოვიყვანოთ აქ რამდენიმე ციფრები ამ დებულების საილიუსტრაციოთ. მოსავლიანობა გერმანიაში იცვლებოდა შემდეგნაირად. *)

1770—1780 წ.	45—50 ფ.
1885—1890 წ.	90 ფ.
1900—1905 წ.	114 ფ.
1905—1910	120 ფ.
1910—1914 წ.	140 ფ.

ქიმიურ მრეწველობის განვითარებამ ააჩქარა სასოფლო-მეურნეობის განვითარების ტემპი წარსულ საუკუნის მე-80 წლებიდან. უიმისოდ წარმოუდგენელი იყო მოსავლიანობის ასეთი ზრდა.

მაგრამ ქიმია არა თუ მხოლოდ დაეხმარა სასოფლო მეურნეობას ხელოვნური სასუქით, არამედ მან წამოაყენა ახალ პრობლემათა მთელი რიგიც. ქიმიურმა მრეწველობამ შესძლო გადაეჭრა მთელ რიგ ისეთ პროდუქტების ხელოვნურად წარმოების პრობლემა, რომელთა წარმოება უწინ შესაძლებელი იყო მხოლოდ **ბუნებრივ ორგანიულ** პროცესების წყალობით.

აქ საკმაოა დავასახელოთ წარმოება მარგარინის—ხელოვნურ კარაქის, რომელიც თავის სიიაფის გამო ბევრ ქვეყნებში გახდა მასიურ მოხმარების საგნად; შემდეგ საჭიროა აღინიშნოს ხელოვნურ აბრეშუმის წარმოებაც, რომელიც ძლიერ განვითარდა ევროპაში; აგრეთვე გადაჭრილია პრობლემა ხელოვნურ კაუჩუკის, მატყლის, საღებავების, ფისის, ცხენის ძუის, ყველის და სხვ. ის რაც ფანტაზიას წარმოადგენდა 50 წლის წინად, ახლა გადაიქცა სინამდვილედ.

ქიმიურ მრეწველობას მომავალში შეუძლია მოგვცეს ბევრად მეტი, ვიდრე მოგვცა. „ჰაერის გვარჯილის“ წარმოება ახალ ბრწყინვალე პერსპექტივებს შლის სასოფლო მეურნეობის წინაშე. ნორვეგიაში, მაგალითად, უკვე 1905 წლიდან მუშაობს „ჰაერის აზოტის სიმჟავის ფაბრიკა, რომელიც ამჟამად ამზადებს 100.000-მდე ტონა კალცის გვარჯილს“. *) ჰაერის გვარჯილის წარმოება მოითხოვს იაფ ელექტრონის ენერგიას, რაც ძნელი მისაღწევია კაპიტალიზმის დროს. კერძო საკუთრება მიწაზე და ელექტრონის ენერგიის წარმოებაში რაციონალობის არ არსებობა უაღრესად აძვირებს მას და უფასო ნედლეულის დროსაც კი არახელსაყრელად ხდის წარმოებას. ამას გარდა კაპიტალიზმის დროს ისიც კი არის შესაძლებელი, რომ უფასო ნედლეული (ჰაერი) ფასიანად გადაიქცეს, შესაძლებელია საადგილმამულო რენტის გადიდება მიწის ყველა იმ ნაკვეთებზე, სადაც ეწყობა ჰაერის გვარჯილის წარმოება.

ნუღარ შევჩერდებით ქიმიის გიგანტურ როლზე სასოფლო მეურნეობაში და გადავიდეთ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკის განვითარების საკითხზე. ჩვენ გვაინტერესებს ტეხნიკური რევოლიუციის საკითხი მიწადმოქმედებაში, მიწადმოქმედებაში მსხვილ წარმოების ორგანიზაციის საკითხი.

ბეჯრს მიაჩნია, რომ ორთქლის მამოძრავებელი ძალა მოახდენს სოფლად ისეთსავე რევოლიუციას, როგორც მრეწველობაში. მართლაც ორთქლის გუთნები გამოყენებულ იქნენ სასოფლო მეურნეობაში, მაგრამ მათ ვერ გამოიწვიეს იქ ის რევოლიუცია, რომელიც მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ფართოდ ვერ გავრცელდენ. ერთგვარი გულგატეხის შემდეგ ორთქლის გუთანზე, რომლის გამოყენებას დიდი სიძნელეები გადაეღობენ, ელექტრონის გუთნები იქნენ გამოცხადებული უდიდეს რევოლიუციონერებად, რომელთაც შეეძლოთ მოეხდინათ სასოფლო მეურნეობის რეორგანიზაცია ახალ საფუძვლებზე. ასე, მაგალითად, კაუტსკი თავის წერილში „ელექტროობა სასოფლო მეურნეობაში“,**) სწერს, რომ ელექტროობა მოწოდებულია მოახდინოს სოფლად ტეხნიკური რევოლიუცია. ცნობილია აგრეთვე, რომ ამხ. ლენინი არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა ელექტროობის უდიდეს როლს სასოფლო მეურნეობაში.

მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ელექტროობამ ჯერ კიდევ ვერ მოახდინა რევოლიუცია სასოფლო მეურნეობაში ელექტროობასაც დაახლოებით ისეთივე ბედი ეწვია, როგორც ორთქლის გუთნებს. დღემდე მიწადმოქმედება რჩება უმთავრესად გლეხურ წარმოებად.

ელექტრონის გუთნების გამოყენებას სასოფლო მეურნეობაში გადაეღობა არა მარტო ტეხნიკური, არამედ ეკონომიურ ხასიათის სიძნელენიც. ამას აღნიშნავენ ბევრი სპეციალისტები. ასე, მაგალითად, ვ. ვ. რიუმინი ამბობს: „რაგინდ გასაკვირალად არ უნდა გვეჩვენოს, სწორედ სასოფლო მეურნეობაში ელექტროტეხნიკამ გამოიღო უმცირესი პრაქტიკული შედეგები. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ვერ პოულობს, ან ვერ ახერხებს იპოვოს ისეთი რაიმე, რაშიაც ის შესძლებდა მიწის მუშის შრომის შემსუბუქებას და მისი შრომის ნაყოფის გაიაფებას. პირიქით, ადამიანის საქმიანობის არცერთ დარგში არ შეიძლება ელექტრო-ტეხნიკურ ცოდნის ისე ფართოდ და მრავალმხრივად გამოყენება, როგორც სასოფლო მეურნეობაში. ასეთ გამოყენების პროექტები და ცდები ბევრია, მაგრამ იმ ცალკე მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც ნაწილობრივად მაინც ანხორციელებდენ მათ, ჯერ კიდევ ძლიერ მცირეა“. *)

ვასილიევმა თავის მოხსენებაში აგრონომიულ ყრილობაზე, განაცხადა, რომ „სასოფლო სამუშაოებში ელექტროობის გამოყენების წარმტაცი იდეა ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული, მას ხვდება სულ მეტი და მეტი ეკონომიური და ტეხნიკური დაბრკოლებები მოძრავ მანქანებისათვის ელდენის მიწოდების საქმეში. ცნობილია, რომ ნახევრად მოძრავმა მავთულის დადგმულობებმა, ავტომატიურად დახვეულ კაბელიანმა მანქანებმა და შვედურმა ხვეულმა სისტემამ, ვერ დასძლიეს მთლიანად ეს დაბრკოლებები და ვერ ჰპოვეს ფართო გავრცელება. მაგრამ ეს ამოცანა არ შეიძლება ჩაითვალოს გადაუჭრელ პრობლემად. კონსტრუქტორთა და გამომგონთა გონება განაგრძობს დაჟინებით მუშაობას ამ მიმართულებით და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს შესძლებს საკითხის დადებითად გადაჭრას“. **)

მართლაც თუ ცხოველურ ან კუნთების ენერგია უფრო იაფია ელექტრონის ენერგიაზე, მაშინ უკანასკნელი ვერ შესცვლის პირველს კაპიტალიზმის დროს. ასეა, მაგალითად დანიაში, სადაც ელექტრონის ენერგია ითვლება ყველაზე უფრო ძვირ ენერგიად. პირიქით, ისეთ ქვეყნებში, სადაც დიდია ჰიდრავლიურ რესურსების მარაგი, (ნორვეგია, ამერიკა), სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაცია აღწევს მნიშვნელოვან წარმატებას კაპიტალიზმის დროსაც კი. თუ მიწადმოქმედებისათვის **უფრო ხელსაყრელია** ცხოველურ ენერგიიდან ელექტრონის ენერგიაზე გადასვლა, ის გადავა ამ ენერგიაზე. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ელექტრონის ენერგია **ხელმისაწვდომი** იყოს მიწადმოქმედთათვის, რომ ეს ენერგია იყოს ყველაზე უფრო **იაფი** ენერგია.

იაფ ენერგიის საკითხი უკავშირდება მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციის საკითხს, ელექტრონის წარმოების განსაზოგადოების საკითხს. მაგრამ ეს საკითხი არ შეიძლება გადაიჭრას კაპიტალიზმის დროს. **კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე წარმოადგენს დაბრკოლებას ელექტრონის ენერგიის განსაზოგადოებისათვის და, მაშასადამე, მისგავრცელებისათვის სასოფლო მეურნეობაში.** საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. დასავლეთში ელექტროფიკაციის საჭიროებისათვის საადგილ-მამულო ტერიტორიების და წიაღების გამოყენების დროს საჭიროა **საადგილ-მამულო რენტის გადახდა,** რაც უაღრესად აძვირებს ენერგიას, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებისათვის.

რაც შეეხება ტეხნიკურ დაბრკოლებებს, იმათი გადაჭრაც შესაძლებელია. მაგრამ კაპიტალიზმის დროს ამ საკითხებს მცირე ყურადღება ექცევა. სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკა აქ აუცილებლად უნდა ჩამორჩეს მრეწველობას. თანამედროვე პირობებში მრეწველობის ელექტროფიკაცია ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაცია კი კუს ნაბიჯით მილოლავს. ეს გარემოება აიხსნება კაპიტალიზმის განვითარების წინააღმდეგობებით აღსავსე ხასიათით.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციის პრობლემის გადაჭრა საერთოდ შეუძლებელია. კაპიტალისტებიც კი იწყებენ ამ ამოცანის განხორციელებას, მაგრამ მათ არ ძალუძთ ბოლომდე მიიყვანონ ეს საქმე. კაპიტალიზმის დროს სამეცნიერო ტეხნიკური აზროვნება უფრო მრეწველობისა და მილიტარიზმის სასარგებლოდ მუშაობს, ვიდრე სასოფლო მეურნეობის სასარგებლოდ. კაპიტალიზმმა შესძლო გადაეჭრა მრეწველობისათვის ელექტროდნობის პრობლემა და მთელი რიგი სხვა რთული პრობლემები, მან აგრეთვე თავბრუდამხვევ წარმატებებს მიაღწია სამხედრო საქმეში. მხოლოდ მიწადმოქმედებას უწერია კაპიტალიზმის დროს მრეწველობასთან შედარებით მთელი საუკუნით უკან ჩამორჩენა.

საქმე სავსებით იცვლება პროლეტარიატის დიქტატურის დროს. **მრეწველობის და მიწის ნაციონალიზაცია** ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის, ელექტრონის ენერგიის გაიაფებისათვის. სავსებით სწორე აღნიშნავს ამხ. კრჟიჟანოვსკი, რომ დასავლეთში ელექტროფიკაცია „ხელფეხ შეკრულია კერძო საკუთრების ბორკილებით. ელექტრონის ენერგიის განსაზოგადოება, წარმოების კონცენტრაცია მეცნიერულ მეთოდის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დატვირთვის დაკავშირება სამრეწველო და სატრანსპორტო დატვირთვასთან, ელექტრონის ენერგიის მოხმარების გადაჭრილი რეგულიაცია, სადგილ-მამულო რენტის მოსპობა, საადგილ-მამულო ტერიტორიების და წიაღების გამოყენების დროს ელექტროფიკაციის საჭიროებისათვის,—ყველაფერი ეს ისეთ პირობებს ჰქმნის ელექტროფიკაციისათვის, რომლებსაც არ იცნობს დასავლეთი. რაკი ეს ასეა, ელექტრონის მეურნეობის მოხერხებული გაძღოლით ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ბევრად უფრო ფართოდ გავავრცელებთ ელექტრო-იარაღებს სასოფლო მეურნეობის დარგში, ვიდრე ამის შესაძლებლობა სჩანს მის დღევანდელ ჩამორჩენილ დონის მიხედვით. არ უნდა გავივიწყოთ, რომ სოფლის მეურნეობაში ელექტრონის ენერგიის მოხმარება ფართოვდება სწორედ ზაფხულში, როდესაც ელექტრონის სადგურებზე თავისუფლდება მანქანების მარაგი, რომელიც საჭიროა გაძლიერებულ განათებისათვის შემოდგომაზე და ზამთარში. *)

ამ ციტატაში აღნიშნული პირობები აადვილებენ ელექტრონის ენერგიის გაიაფებას საბჭოთა კავშირში. მიუხედავათ ჩვენი ელექტრონის მრეწველობის ჩამორჩენილობისა დასავლეთთან შედარებით, ჩვენ უკვე ახლავე შეგვიძლია აღვნიშნოთ საბჭოთა ელექტრო-ენერგიის შედარებითი სიიაფე. საშუალო ტარიფი 1 კილოუატ-საათზე კაპეიკობით შეადგენს:**)

ქალაქები	1913 წ.	1924—25	1925—26
ლენინგრადი	35	12	9,3
მოსკოვი	20	9	8,6
ნიუ-იორკი	—	8,14	—
ჩიკაგო	—	12	—
ბუენოს-აირესი	—	12	—
ამსტერდამი	—	12,5	—
ლონდონი	—	20	—

ეს ტაბულა გვიჩვენებს, რომ ელექტრონის ენერგია მოსკოვში ორჯერ მეტად უფრო იაფია, ვიდრე ომის წინ. ამასთან ერთად ის უფრო იაფია მთელ რიგ ევროპიულ და ამერიკულ ქალაქების ელექტრო-ენერგიაზე. ეს აიხსნება მიწის ნაციონალიზაციით, რომელიც მოხდა რუსეთში, აგრეთვე ელექტრომრეწველობის ნაციონალიზაციით, მისი კონცენტრაციით და რაციონალიზაციით.

იაფ ელექტრონის ენერგიას შეუძლია ტეხნიკური გადატრიალება მოახდინოს ჩვენს სოფლის მეურნეობაში. რაც შეუძლებელი ან ძნელი მისაღწევი იყო კაპიტალიზმის დროს, შესაძლებელი და ადვილად მისაღწევი ხდება პროლეტარიატის დიქტატურის დროს. სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია ხდება მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმის შემადგენელ ნაწილად.

თუ საბჭოთა კავშირის ოცი მილიონი გლეხური მეურნეობა გადავა ელექტრონის ენერგიაზე, გახდება განსაზოგადოებულ ელექტრონის მამოძრავებელ ძალის მომხმარებელი, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს მეურნეობები აღარ იქნებიან დამოუკიდებელი მეურნეობები ინდივიდუალური საკუთრებით წარმოების **ყველა** საშუალებებზე. სახელმწიფო ელექტრო-სადგურების ენერგიაზე გადასვლა მოასწავებს მთელ იმ მამოძრავებელ ძალის განსაზოგადოებას, რომელიც საჭიროა სოფლის მეურნეობაში. გლეხები აღარ იქნებიან **სამუშაო საქონლის** მესაკუთრენი, ვინაიდან სამუშაო საქონლის ცხოველურ ძალას სცვლის ელექტრონის ენერგია. ძნელი გასაგები არაა, თუ რამდენად დიდი გავლენა ექნება მაშინ სახელმწიფოებრივ მეურნეობას საგლეხო მეურნეობაზე.

მამოძრავებელ ძალის განსაზოგადოება აუცილებლად გამოიწვევს წარმოების სხვა პროცესების განსაზოგადოებასაც. დიდი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები (მელიორაცია, დრენაჟი და სხვ.) თავიდანვე, შეიძლება და უნდა მოეწყოს, როგორც დიდი საზოგადოებრივი წარმოება, სახელმწიფოებრივ ელექტრო-ენერგიის დახმარებით. მაგრამ ყანების დამუშავებაც, მკა და სხვ. აღარ იქნება მაშინ წვრილ კერძო მესაკუთრეთა საქმე. მინდვრის სამუშაო საზოგადო უნდა გახდეს, კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე და მიწით ინდივიდუალური სარგებლობა მაშინ აუცილებლად დაძლეული იქნება. ელექტრო გუთანი არ არის ხელსაყრელი წვრილ ნაკვეთებზე, მაგრამ მას შეუძლია მოახდინოს დიდი საწარმოო ეფექტი დიდ სივრცეზე. ის ურიგდება მხოლოდ მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობას.

ელექტრონის ენერგია ჰპოებს თავის გამოყენებას არა მარტო მსხვილ სასოფლო-სამეურნეო და მინდვრის სამუშაოებში, არამედ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროცესშიაც. მაგალითად მისი გამოყენება შეიძლება მესაქონლეობაში, მეფრინველეობაში, მეფუტკრეობაში და სხვ. **იჭრება რა ამ პროცესებში, ელექტროობა ახდენს ტეხნიკურ გადატრიალებას და ამასთან ერთად გადატრიალებას წარმოების წესებში.** წვრილმა წარმოებამ ადგილი უნდა დაუთმოს მსხვილ **საზოგადოებრივ** წარმოებას.

ასეთია ის შედეგები, რომლებიც მოჰყვება ელექტრონის ენერგიის გავრცელებას სოფლის მეურნეობაში. მაშასადამე სოფლის ელექტროფიკაციის ბოლომდე მიყვანა, მისი განსაზოგადოება, შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის ხელისუფლების დროს.

მაგრამ სოფლის მეურნეობის **ელექტროფიკაციის** პროცესი არის ხანგრძლივი პროცესი. ამისათვის საჭიროა დიდი საშუალებები, რომლებიც პროლეტარიატს არა აქვს. ამიტომ, არ უარჰყოფს რა ამ სავსებით განსახორციელებელ იდეას, პროლეტარიატი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის **ტრაქტორიზაციის** განვითარებას. ტრაქტორიზაციას არ შეუძლია გასწიოს ელექტროფიკაციის მაგიერობა. მაგრამ, „პირველ ხანებში ჩვენ აუცილებლად უნდა მივმართოთ ტრაქტორების მუშაობას, რომლებიც ჩამორჩებიან მხოლოდ ელექტრონის ქსელის შემდგომი განვითარების პროცესში“ (კრჟიჟანოვსკი).

ტრაქტორებიც ვერ ურიგდებიან წვრილ გლეხურ მეურნეობას. მათაც აუცილებლად უნდა გამოიწვიონ გლეხურ მეურნეობათა განსაზოგადოება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოლექტივიზაცია.

განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით.

შინაგანი წვის ტრაქტორებს მთელი რიგი ეკონომიური და ტეხნიკური უპირატესობები აქვთ ორთქლის ტრაქტორებთან შედარებით. ორთქლის ტრაქტორები მეტისმეტი მძიმე იყვნენ. ასე მაგალითად, ორთქლის ტრაქტორ „გუსტონ“-ის წონა აღწევდა 1200 ფუთამდე, „რანსომ“-ის კი 910 ფუთამდე. ასეთი სიმძიმის გამო ისინი ძლიერ სტკეპნიდენ მიწას. ამას გარდა ორთქლის ტრაქტორები ხარჯავდენ ბევრ სათბობს, რის გამოც მათი გამოყენება ხშირად არახელსაყრელი ხდებოდა.

თანამედროვე ტრაქტორებს მნიშვნელოვნად აქვთ აცილებული ასეთი ნაკლი. სულ უკანასკნელ კონსტრუქციის ტრაქტორების წონა ძლიერ შემცირდა მაგალითად „ფორდზონი“ იწონის 90 ფუთს. მასთან ერთად ეს ტრაქტორები სათბობ მასალას ხარჯავენ ბევრად უფრო ეკონომიურად, ვიდრე ორთქლის ტრაქტორები.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შინაგანი წვის ტრაქტორები შეიძლება გამოყენებულ იქნენ არა მარტო ნიადაგის დასამუშავებლად, არამედ მთელ რიგ სხვა საწარმოო ოპერაციებისათვისაც. ასე, მაგალითად ილინოისის შტატში 1913 წ. ტრაქტორით სარგებლობა შეფასებული იყო საშუალოდ ასე: *)

ხვნა	55,1 პროც.
ნიადაგის გაფხვიერება	15,7 პროც.
საგზაო სამუშაოები	4,1 პროც.
თესვა და მოსწორება	2,5 პროც.
მკა და თივის დატვირთ.	3,9 პროც.
სტაციონალური სამუშაოები ღვედით—	17,2 პროც.
დანარჩენი	2,5 პროც.
	100 პროც.

ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ ტრაქტორებს უმთავრესად იყენებენ ხვნისათვის (50 პროც.), მაგრამ ამასთანავე მათი გამოყენება შეიძლება ბევრ სხვადასხვა სამუშაოებშიაც.

ასეთ დიდ უპირატესობათა გამო ტრაქტორებს უნდა მოეპოებიათ ფართო გავრცელება. და მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ტრაქტორების წარმოება ამერიკაში ძლიერ გაიზარდა: 1914 წელში იქ დაამზადეს 55.000 ტრაქტორი, 1925 წელში კი უკვე 1.065.000. ეს ამტკიცებს იმას, რომ ტრაქტორები პოულობენ მომხმარებელთა ფართო წრეს. ასე მაგალითად, ტრაქტორების იმპორტი ამერიკიდან საბჭოთა კავშირში 1921—22 წ. შეადგენდა 60 ცალს, 1925—26 წ. კი უკვე 10.000. საბჭოთა კავშირშიაც ეწყობა ტრაქტორების მშენებლობა.

მაგრამ ტრაქტორების გამოყენება ხელსაყრელია მხოლოდ მსხვილ მეურნეობაში. უმცირეს მოედნად, რომელზედაც ტრაქტორის გამოყენება ხელსაყრელია, ჩრდილოეთ ამერიკაში *) მიაჩნიათ: ტრაქტორისათვის—

2 კორპუსიან გუთნით — 70 დეს.
3. კორპუსიან გუთნით — 85 დეს.
4 კორპუსიან გუთნით — 120 დეს.

უფრო მცირე სივრცის მეურნეობისათვის ტრაქტორის გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს მომგებიანად. არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე ასიც, რომ მინდვრის დამუშავება და მოსავლის აღება არ წარმოადგენს ერთად ერთ ოპერაციას, სადაც შესაძლებელია ტრაქტორის ძალის გამოყენება.

რამდენადაც უფრო მსხვილია მეურნეობა, რამდენადაც უფრო მაღალია ტრაქტორის დატვირთვა, მით უფრო სასარგებლოა ტრაქტორი. წვრილ მეურნეობაში ის ვერ გაამართლებს თავს. ამერიკელმა მკლევარებმა გამოარკვიეს, რომ რამდენადაც უფრო მსხვილია მეურნეობა, მით უფრო სწრაფია იმ კაპიტალის ტრიალი, რომელიც დახარჯულია ტრაქტორებზე. ასე მაგალითად, ტრაქტორის სამსახურის ვადა ისეთ მეურნეობაში, რომლის სივრცე უდრის 80-მდე აკრს, შეადგენს 8,6 წელს, ისეთ მეურნეობაში კი, რომლის სივრცე უდრის 320 აკრზე მეტს,—4,8 წელს, ე. ი. თითქმის ორჯერ ნაკლებს. ტრაქტორის სრული დატვირთვა, მისი რაციონალური გამოყენება, შესაძლებელია მხოლოდ მსხვილ მეურნეობაში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთი მსხვილი მეურნეობა შეიძლება იყოს მსხვილი ფერმერის მეურნეობა. საბჭოთა კავშირის პირობებში, სადაც ტრაქტორების ყიდვა არ შეუძლია კერძო პირებს, ასეთი მეურნეობა შეიძლება იყოს გლეხების მსხვილი კოლექტიური მეურნეობა. გლეხები უნდა გაერთიანდენ მთლიან მეურნეობაში, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ ტრაქტორი. ისინი ინდივიდუალურ, კერძო წარმოებიდან უნდა გადავიდენ კოლექტიურ, საზოგადოებრივ წარმოებაზე. მაშასადამე **ტრაქტორი წრამოადგენს სოფლის შრომის პროცესების განსაზოგადოების ტეხნიკურ ბაზას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ბაზას. კაპიტალიზმის პირობებში ის ახდენს შრომის განსაზო-**

---

*) სასოფლო მეურნეობის გზები 1927 წ. № 1 გვ. 61. პრიანიშნიკოვის წერილი.

*) შარვინი — ქიმიური მრეწველობა, გვ. 16.

**) Die Neue Zeit, 1900—1901, 1Band, s. 505.

*) რიუმინი. თანამედროვე ელექტრო - ტეხნიკა, გამ. 11 გვ. 15.

**) სიახლენი აგრონომიაში, გვ. 122—123.

*) კრჟიჟანოვსკი — ელექტროფიკაციის შესახებ, გვ. 20—21.

**) საბჭოთა კავშირის ელექტრო-მეურნეობის მოკლე მიმოხილვა, გვ. 34.

*) დუდინი — ტრაქტორის გამოყენება სოფლის მეურნეობაში, გვ. 21.

*) იქვე, გვ. 35—36.

დიდი კულტურული საქმე

(საქართველოს მუზეუმის შენობის დამთავრების გამო)

მიმდინარე წლის ივლისის 11 ისტორიულ დღედ დარჩება საქართველოს მუზეუმის ცხოვრებაში. ამ დღეს განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. **მარია ორახელაშვილმა** აცნობა მუზეუმის დირექტორს, რომ მთავრობას გადაეწყვიტა მუზეუმის ახალი შენობის სასწრაფოდ დამთავრება და ამისათვის საჭირო თანხის გაღება. შემდეგ ამის შესახებ ოფიციალური დადგენილებაც გამოქვეყნდა **(იხ. გაზ. „კომუნისტი“, № 169)** და შენობის დამამთავრებელ კომიტეტს ამხ. **ს. ჯუღელის** თავმჯდომარეობით პირველი სხდომა უკვე ჰქონდა. ამგვარად საქმე მტკიცე ხელში არის და მისი წარმატებით დაგვირგვინება სავსებით უზრუნველყოფილია. ეს ცნობა, უეჭველია, დიდს კმაყოფილებას გამოიწვევს ყველაში, ვისთვისაც ჩვენი რესპუბლიკის კულტურული მშენებლობა ძვირფასი არის და ამიტომ შეიძლება მეტი არ იყოს ორიოდე სიტყვით მოვაგონოთ მკითხველს, თუ რას წარმოადგენს საქართველოს მუზეუმი, და მისი ახალი შენობის ისტორიაც გავაცნოთ.

აწინდელი საქართველოს მუზეუმი, ადრე „კავკასიის მუზეუმად“ წოდებული, 1864—67 წლებში დაარსდა. მისი ოფიციალური გახსნა 1867 წლის იანვრის 1-ლს მოხდა. დიდი რევოლიუციის შემდეგ 1918 წელში იგი გამოცხადებულ იქნა საქართველოს ეროვნულ მუზეუმად.

იმ თავით მუზეუმი მიზნად ისახავდა კავკასიისა და მოსაზღვრე ქვეყნების ბუნებისა და მოსახლეობის შესწავლას და სათანადო მასალების დაგროვებას. რეორგანიზაციის შემდეგ კვლევის საგანი უეჭველად შევიწროვდა რამოდენადმე, იმდენად, რამდენადაც ყურადღების ცენტრი საქართველოში იქნა გადმოტანილი, მაგრამ ეს მაინც მეორე ხარისხოვანი საკითხია. შესაძლებლობის ფარგლებში მუზეუმი დღესაც ვერ შეზღუდავს თავის ინტერესს საქართველოს ან თუნდაც მთელი კავკასიის საზღვრებით. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ აწინდელი სახით იგი ემსახურება არა მარტო საქართველოს ბუნების, მოსახლეობის და საწარმოო ძალების შესწავლას, არამედ განსაკუთრებით საქართველოში მეცნიერული მუშაობის განვითარებას და ქართველი ხალხის მეცნიერულ - კულტურული ძალების ზრდას.

პირველ დირექტორის **გ. რადეს** მხნეობით კავკასიის მუზეუმი სწრაფად გაიზარდა. ნაწილობრივ სამეცნიერო მოგზაურობითა და ექსპედიციების საშუალებით, ნაწილობრივ შემოწირულებათა და ყიდვის გზით მისი კოლექციები დღითიდღე მდიდრდებოდენ. დაგროვებას თან მისდევდა მასალის მეცნიერული დამუშავებაც, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ არა მარტო ადგილობრივი და რუსეთის ძალები, არამედ გამოჩენილი ევროპიელი მეცნიერებიც. **რადეს** მიერ გამოქვეყნებულს კავკასიის მუზეუმის ისტორიის ნარკვევ და წლიურ ანგარიშებში, რომელნიც მუზეუმის „მოამბე“-ში იბეჭდებოდენ, მთელი ეს მუშაობა საკმაოდ ზედმიწევნით არის აღნუსხული. *).

მუზეუმმა შესძლო ცხოველი კავშირის გაბმა არა მარტო უცხოეთის მეცნიერებთან, არამედ აგრეთვე რუსეთის, ევროპის, ამერიკის და აზიის მრავალრიცხოვან სამეცნიერო დაწესებულებებთანაც, რომლებთან იგი გამოცემათა და კოლექციების გაცვლა - გამოცვლას აწარმოებდა. ამის გამო მისი სახელი და ავტორიტეტი თანდათან უფრო შორს ვრცელდებოდა და დღეს იშვიათია ევროპაში ისეთი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომ შიგ ჩვენი მუზეუმის კატალოგები და „მოამბე“ არ მოიპოვებოდეს.

თანდათანმა ზრდამ მუზეუმის ორგანიზაციებშიაც ცვლილება შეიტანა და მისი დანაწილება გამოიწვია. დღეს იგი ოთხი განყოფილებისაგან შესდგება: გაერთიანებული არქეოლოგიურ - ეთნოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური და გეოლოგიური. ამას უნდა მივუმატოთ ვრცელი ბიბლიოთეკა, გამომცემლობა, ტაქსიდერმიული სახელოსნო სამაცერაციო განყოფილებით, სარესტავრაციო სახელოსნო, რომელიც ესაა ახლა ეწყობა, და სადურგლო. გასაგებია, რომ ამოდენა დაწესებულებაში დიდი სამეცნიერო განძი იყოს დაცული.

1. არქეოლოგიაში ნივთების რიცხვი აღემატება 13.000-ს. აღსანიშნავია სამთავროს ნეკროპოლის ინვენტარი, ე. წ. „რედკინ ლაგერ“-ის კოლექცია, გვარჯილას კლდის მასალები, იშვიათი ნუმიზმატიკური კოლექცია და სხ.

2. ეთნოგრაფიაში ნომრების რიცხვი 14.000-ზე მეტია. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ:

ა. ტანსაცმელების კოლექცია—274 კომპლექტი.

ბ. ნოხები და ხალიჩები—207 ცალი.

საქართველოს მუზეუმის ფასადი (როგორიც იქნება გადაკეთების შემდეგ)

გ. აღმოსავლური ქსოვილები—650 ნომერი.

დ. იარაღი—650 ცალი, მათ შორის ძლიერ იშვიათი ეკზემპლიარები.

ე. ბუდისტური ნივთების იშვიათი კოლექცია—230 ცალი.

ვ. ამულეტები და თილისმები—600-მდი ნივთი ძლიერ იშვიათი კოლექციაა.

ზ. მდიდარი კოლექცია ადგილობრივი შინამრეწველობის საგნებისა და სხვა და სხვა.

. ზოოლოგიაში ნიმუშების რიცხვი—1.525.000-ს უახლოვდება. აქიდან—1.500.000-მდი ასოსახსრიანი.

4. ბოტანიკურ განყოფილებას გარდა დენდროლოგიური კოლექციისა აქვს ჰერბარიუმის 68.280 ფურცელი.

5. გეოლოგიას 12.000 ნიმუშზე მეტი აქვს და

6. ბიბლიოთეკა 42.000 სახელწოდებას შეიცავს. *)

რა თქმა უნდა დაწესებულებას შესაფერი **შენობა** დასჭირდებოდა. მუზეუმის პირვანდელი შენობა 1869 წელში იქნა აგებული აწინდელი რუსთაველისა და მუზეუმის ქუჩების კუთხეში დაახლოებით ახალი შენობის მარცხენა ფრთის ადგილზე (სადაც დღეს ზოოლოგიური გალერია არის). ეს შენობა მალე ვიწრო აღმოჩნდა და 1879—81 წლებში ზედ მეორე სართული დააშენეს. შენობა საკმაოდ ცუდად იყო აგებული და ჯერ კიდევ 1905-ში და განსაკუთრებით კი 1908-ში მესინის მიწისძვრის შემდეგ კედლები დაუსკდა. 1911-ში ამ მოვლენამ იმდენად საშიში სახე მიიღო, რომ კოლექციები სასწრაფოდ ჩაალაგეს და დროებით ბინაში გადაიტანეს(მუზეუმის აწინდელი ბინა კეცხოველის ქუჩაზე), თვით შენობა კი დაანგრიეს. კოლექციების ევაკუაცია ძლიერ ნასწრაფევად მოხდა, რამაც დიდი არევ-დარევა შეიტანა მრავალი წლის ნამუშევარში. ახალი ბინაც სრულიად გამოუსადეგი იყო ასეთი დანიშნულებისათვის და იქ გადატანილი ნივთები არა თუ მიუწვდომელი გახდენ საზოგადოებისათვის, ცეცხლის საფრთხისაგანაც კი არ არიან საკმაოდ დაცული. იგულისხმებოდა, რომ ასეთი მდგომარეობა 2—3 წელიწადზე მეტს არ უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ თექვსმეტმა წელიწადმა მას აქეთ უკვე **განვლო!** თანაც მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, რადგან ამ ხუთმეტი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი უკანასკნელ წლებში მუზეუმის კოლექციები საგრძნობლად გაიზარდა.

უკვე 1912 წელში სახელმწიფო სათათბიროს (დუმის) საგანგებო დადგენილებით სახელმწიფომ გადადო მნიშვნელოვანი თანხა ახალი მუზეუმის ასაგებად. შენობის გეგმა ფართო მასშტაბით იქნა შედგენილი და სამუზეუმო ტეხნიკის მიღწევები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული. მუშაობა 1912-შივე დაიწყო და ორი წლის განმავლობაში უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ იფეთქა მსოფლიო ომმა და მუშაობაც შეწყდა. მხოლოდ კედლები და სახურავი კი დარჩა დასრულებული.

საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობათ ამ უზარმაზარი შენობის მხოლოდ ჩონჩხი მიიღო. მის დასამთავრებლად დიდძალი ფული იყო საჭირო, ხოლო ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა ამოდენა ხარჯის გაწევას შეუძლებელს ხდიდა. მიუხედავათ ყველაფრისა მუშაობა მაინც განახლდა და, თუმცა ძლიერ ნელის ტემპით, შეუწყვეტლივ სწარმოებდა. ამგვარად დამთავრდა შენობის ორივე ფლიგელი (შიგნით) და ცოკოლის სართული. შესაძლო შეიქნა ძველი შენობის ნაწილობრივ განტვირთვა და იმ ზოოლოგიური გალერიის მოწყობა, რომელსაც მუზეუმის მეგობრები კარგად იცნობენ. შესაძლო შეიქნა მუზეუმის თანდათან გაშლაზე ფიქრი.

რაც გაკეთდა, ნათლად მოწმობდა ხელისუფლების დიდს მზრუნველობას, მაგრამ ამით დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. მთავარი კორპუსი ხელუხლები რჩებოდა. საჭირო იყო უფრო რადიკალური ზომები. ამას გვიკარნახებდა:

1. მეცნიერული მუშაობის ინტერესი საქართველოში და თვით მუზეუმის მეცნიერული ტრადიციები. სანამ შენობა არ დამთავრებულა მუზეუმის შრომა ნორმალურად ნაყოფიერი ვერ იქნება.

2. ფართო მასების სოციალური აღზრდის ინტერესები. დღეს მხოლოდ ზოოლოგიური განყოფილების ნაწილი არის გაშლილი და მას წლიურად 45.000 მნახველი ჰყავს. ჩვენმა შრომის სკოლამ და წითელმა არმიამ კარგად იციან, თუ რა სამსახურს უწევს მათ საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიური გალერია.

3. მხარეთმცოდნეობის ინტერესები.

4. დასასრულ წმინდა ესთეტიური თვალსაზრისითაც შეუწყნარებელი რამ არის შუა ქალაქში სასახლის პირდაპირ ეს უზარმაზარი უკარ-ფანჯრო აგურის ჩონჩხი.

განათლების სახალხო კომისარი ამხ. **დ. კანდელაკი** ყოველივე ღონეს ხმარობდა, რომ ასეთი მდგომარეობისათვის ბოლო მოეღო. აქამდი ცდა უშედეგოთ იყო. დღეს ქვეყნის საერთო ეკონომიურმა აღორძინებამ ამ საკითხის გადაჭრაც შესაძლო გახადა.

1925 წელში დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით მუზეუმის შენობის დასამთავრებლად 497.063 მან. იყო საჭირო. შემდეგში ზოგი რამ უკვე გაკეთდა, ზოგი ხარჯების შემცირება ან დროებით გადადება ხერხდება და ამიტომ მთავრობის მიერ გაღებული თანხა, 350.000 მან. სავსებით საკმაო არის. სამუშაოთა მწარმოებელი უკვე დაინიშნა და მუშაობა უკვე დაიწყო.

მუზეუმის შენობის დამამთავრებელ კომიტეტს ამასთანავე ერთი პრინციპული საკითხის გადაჭრა მოუხდა. ეს არის შენობის **ფასადის** საკითხი. თავდაპირველად შენობა სპარსული მიზგითის სტილი იყო განზრახული. კავკასიის მუზეუმისათვის ეს გასაგებიც იყო. ადგილობრივ ცხოვრებას მოწყვეტილი. ეკზოტიური ინტერესებით გატაცებული, იგი კოლონიურ დაწესებულებას წარმოადგენდა და მისთვის სპარსეთი ან ინდოეთი შეიძლება ზოგი მხრით უფრო ახლობელიც ყოფილიყო, ვიდრე საქართველო. პირიქით, საქართველოს მუზეუმი სპარსულ მიზგითში ცხადი შეუსაბამობა იქნებოდა. თანაც თბილისის აღმასკომმა დიდი ხანია გადასწყვიტა ქალაქის გამშვენიერების მიზნით ქართული ხუროთმოძღვრების წაქეზება და განვითარება. ამიტომ მუზეუმის საამშენებლო კომიტეტმა შენობის ფასადისათვის ინჟ. **სევეროვის** მიერ შედგენილ ქართული სტილის პროექტი მიიღო საბოლოოდ. იგი გაცილებით უფრო სადა და ლამაზია და შეიძლება მცირეოდენი ეკონომიაც მოგვცეს.

მთელი მუშაობა მოსალოდნელია წელიწადნახევარში დასრულდეს. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ შენობის დამთავრების, პარალელურად გაცხოველდება თვით მუზეუმის მუშაობაც. როგორც ამხ. **მარია ორახელაშვილმა** ხაზგასმით აღნიშნა კომიტეტის სხდომაზე, რასაც ამხ. **ს. ჯუღელიც** სავსებით დაეთანხმა, შენობაზე გაწეულმა ხარჯებმა არა თუ არ უნდა შეამციროს მუზეუმის დოტაცია, იგი, პირიქით, უნდა გადიდებულ იქნას. თუ დღეს ეს დიდი დაწესებულება მცირე და უვარგის შენობაში არის მოთავსებული, არა ნაკლებ სამწუხარო იქნებოდა, რომ დიდსა და მშვენიერ სასახლეში იგი მოუკეთებელი და ანემიური შევიდეს.

პროფ. ალ. ჯანელიძე.

---

*) ამ ლიტერატურის შეძენა შეიძლება საქ. მუზეუმის ბიბლიოთეკაში.

*) უფრო დაწვრილებით ცნობებს საქ. მუზეუმის აწინდელი მდგომარეობის შესახებ მკითხველი იპოვის „საქართველოს მუზეუმის მოამბის“ მორიგ ნომერში, რომელიც მალე უნდა გამოვიდეს.

პარტიული ცხოვრება

მხარს უჭერენ ცეკას ხაზს

მინსკის პარტაქტივის ხმა

მინსკი, 13 აგვისტო. მინსკის ორგანიზაციის აქტივი, მოისმინა რა ამხ. **კნორინის** მოხსენება საკავშირო ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმის შესახებ, მთლიანად შეუერთდა პლენუმის დადგენილებებს. აქტივი დარწმუნებულია, რომ პლენუმის გადაწყვეტილება ტროცკისა და ზინოვიევის შესახებ, უკანასკნელი გაფრთხილებაა მათ მიმართ. ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიისაგან აქტივი ითხოვს ამხ. ზინოვიევისა და ტროცკის მხრივ ოპოზიციონურ მოღვაწეობის განმეორების შემთხვევაში მათ გამორიცხვას ცეკას შემადგენლობიდან. (ადს).

მოსკოვის რაიონული კრებები პლენუმის შესახებ

მოსკოვი, 13 აგვისტო. მოსკოვის ყველა რაიონებში შესდგა რაიონულ პარტაქტივების კრებები, რომლებზედაც მოხსენებით ცეკასი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის შესახებ გამოვიდნენ ამხ. **მოლოტოვი, ანდრეევი, იანსონი და სხვები.** კრებებმა ერთხმად მიიღეს რეზოლიუციები, რომლებშიც სავსებით იწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს. ცეკასი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის დადგენილებას კრებები სთვლიან ოპოზიციისათვის მიცემულ უკანასკნელ გაფრთხილებად. კრებები სწორად აღიარებენ პარტიის ხელმძღვანელობას, რომელიც მიმართულია მსოფლიოში პირველ მუშათა სახელმწიფოს თავდაცვის გაძლიერებისა და მისი მეურნეობის განმტკიცებისაკენ. კრებები აღნიშნავენ, რომ ოპოზიციის ახალი განცხადებები არ იძლევიან მის მიერ გამთიშველი მუშაობის ნამდვილად შეწყვეტის გარანტიას და ამიტომ პარტიის ყველა წევრებს მოუწოდებენ შემჭიდროებისაკენ ლენინის ცეკას გარშემო, დისციპლინის განმტკიცებისაკენ და დაუნდობელი ბრძოლისაკენ ოპოზიციური მეურვეობის წინააღმდეგ. კრებები მოუწოდებენ იმ მუშებს, რომლებიც განაგრძობენ ყოფნას იდეურად სრულიად გაკოტრებულ ოპოზიციაში, გასწყვიტონ კავშირი მასთან და გადავიდენ პარტიის ლენინურ რიგებში. იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ხელი მოაწერეს ეგრედ წოდებულ „15-ის პლატფორმას“, რომელიც წარმოადგენს ანტიპარტიულ დოკუმენტს და ხელსაყრელია თეთრგვარდიელებისათვის, კრებებს საჭიროდ მიაჩნიათ პარტიული ზემო ქმედების უსასტიკესი ზომების მიღება, პარტიიდან გარიცხვამდეც კი (ადს).

ვემზადოთ 4 სექტემბრისათვის

თბილისის კომიტეტს, ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს

აჴ. ლ. კომკავშირის 10 წლის და საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის 13 წლის იუბილეს მომზადების და ჩატარების შესახებ.

4 სექტემბრს შესრულდება 10 წელი, რაც საქართველოს კომკავშირი არსებობს. ამავე დღეს 13 წელი უსრულდება საერთაშორისო ახალგაზრდობის დღეს და 20 წელი სრულდება ახალგაზრდობის სოციალისტურ ორგანიზაციათა შტუტგარტის კონგრესის მოწვევის დღიდან, კონგრესის, რომელსაც **კ. ლიბკნეხტი** ხელმძღვანელობდა.

უაღრესად დიდი როლი, რომელიც ითამაშა კომკავშირმა საქართველოს რევოლიუციონურ კომუნისტურ მოძრაობაში და განსაკუთრებით მუშურ - გლეხურ ახალგაზრდობის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში, დღევანდელ გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში, გვაიძულებს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ამ კამპანიის ჩატარებას.

კამპანია უნდა იქნეს ჩატარებული 28 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე. კამპანიის ძირითადი შინაარსი უნდა შეიცავდეს შემდეგს:

1. საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცება საქართველოს და საბჭოთა კავშირის მუშათა ახალგაზრდობის მსოფლიოს ახალგაზრდა პროლეტარებთან. საბჭოთა კავშირის მუშურგლეხური ახალგაზრდობის ყველა ძალების მობილიზაციას პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის გასაძლიერებლათ.

2. ბრძოლა ინტერვენციის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ჩინეთში, ბრძოლა თეთრი ტერორის წინააღმდეგ და ძმური დახმარება ჩინეთის და ყველა ქვეყნის ციხეებში მყოფ რევოლიუციონურ მებრძოლთ.

3. ახალგაზრდობის ფართო მასებისათვის იმ საკითხების ახსნა - განმარტება, რომლებიც ეხება ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას და ახალგაზრდობის მონაწილეობას ამ მშენებლობაში.

4. მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ფართო მასებისთვის, საქართველოს კომკავშირის შექმნის და განვითარების ისტორიის, და პროლეტარული დიქტატურის დასამყარებლათ და მის შესანარჩუნებლათ, კავშირის სახელოვან, გმირულ, არალეგალურ ბრძოლის გაშუქება, აგრეთვე, ნაციონალიზმის და შოვინიზმის წინააღმდეგ და საქართველოს და ამიერ - კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდაგანვითარებისათვის და სოლიდარობისათვის ბრძოლის გაშუქება და ლენინური პარტიის მთლიანობისათვის, ყოველგვარი ოპორტუნისტული და ოპოზიციური გადახრების და რყევის წინააღმდეგ კავშირის ბრძოლის ახსნა-განმარტება.

5. ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის ისტორიის გაშუქება და იმ როლის ახსნაგანმარტება, რომელიც ითამაშა ამ ისტორიაში ახალგაზრდობის მოძრაობის რევოლიუციონურ ტრადიციების მატარებელმა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა.

აჴ. ლ. კომკავშირის არსებობის 10 წლის და საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის 13 წლის იუბილეების ჩასატარებლათ თბილისის და საოლქო, სამაზრო, რაიონულ, სათემო კომიტეტებთან და კომკავშირის უჯრედებთან, კომიტეტების წარმომადგენლების და პარტიის უჯრედების აქტიური მონაწილეობით არსდება კომისიები.

აგვისტოს განმავლობაში უნდა იქნეს ჩატარებული მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კონფერენციები და კრებები, დღის წესრიგით: 1) კომკავშირის არსებობის ათი წლის იუბილე, 2) ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე და ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი, ახალგაზრდობის მოძრაობის 20 წლის თავი, საბჭოთა კავშირის დაცვა, 1905 წელს დაბადებულთა გაწვევა წითელარმიაში. 3) სამეურნეო - კულტურული მშენებლობა ქალაქად და სოფლად ახალგაზრდობის ამოცანები.

ომის საშიშროებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო პროპაგანდას ახალგაზრდობის მასებში. (ექსკურსიები ბანაკებში, საერთო სეირნობა წითელარმიასთან დაკავშირების დღეს, მონაწილეობა გასაწვევ ახალგაზრდობის სპეციალურ რიგების დემონსტრაციაში, მონაწილეობა თავდაცვა - ავიაქიმის ხელშემწყობ საზოგადოების წრეებში, სამხედრო თამაშობანი, ფიზკულტურის გამოსვლები, სამხედრო შეჯიბრი და სხვა).

უნდა მოეწყოს კლუბებში, სამკითხველოებში, წითელ კუთხეებში, სახალხო სახლებში, გლეხთა სახლებში საღამოები კომკავშირის და ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის წლის თავის აღსანიშნავად. იქვე უნდა მოეწყოს საუბრები, მხატვრულ, პოპულიარულ და პოლიტიკურ ლიტერატურის წაკითხვა, კინო - სურათების ჩვენება ახალგაზრდობის ცხოვრებიდან და სხვა.

2 სექტემბერს უნდა მოეწყოს პარტიის და კომკავშირის საერთო, დახურული სხდომები, მოხსენებით საქართველოს აჴ. ლ. კომკავშირის მიღწევების, პერსპექტივების და მომავალი ამოცანების შესახებ.

3 სექტემბერს უნდა მოეწყოს სამი თაობის (პარტიის, კომკავშირის და პიონერების) საზეიმო სხდომები, საბჭოების, ფაბრიკა - ქარხნების ადგილკომების, სადელეგატო კრებების და უპარტიო ახალგაზრდობის წარმომადგენლების დასწრებით. ამ სხდომებზე უნდა გაკეთდეს მოხსენებები პარტიის და კომკავშირის არალეგალურ მუშაობის შესახებ და კომკავშირის მიღწევათა და ამოცანების შესახებ და ამავე სხდომებზე უნდა მოეწყოს მხატვრული დადგმები და სხვა.

4 სექტემბერს ქალაქად და სოფლად უნდა ჩატარდეს ახალგაზრდობის მასიური დემონსტრაციები მაქსიმალური გაცხოველებით და მხატვრული მხარის დაცვით. (პოლიტიკური ნიღაბოვანი სვლა, ორკესტრი, ადგილობრივი მუსიკალური იარაღი და სხვა).

საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის 10 წლის იუბილეს ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინტერნაციონალურ მუშაობას (ინტერნაციონალური შაურიანების შეგროვება, კომკავშირის უჯრედების მიწერ - მოწერა მათი შეფობის ქვეშ მყოფ ვიურტემბერგთან, მუშაობა რემედასთან და სხვა), მოსმენილი უნდა იქნეს მოხსენებები კრებებზე და გამომუშავებული უნდა იქნეს მუშაობის გეგმა. კომკავშირთა ქალაქის ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ სოფლის ორგანიზაციებს ცოცხალი ძალით, ლიტერატურით, გაზეთებით, დრამატიულ წრეებით და სხვა და უნდა მოიწვიონ ქალაქში სოფლის ახალგაზრდობის დელეგაციები. საერთაშორისო ახალგაზრდობის დღის 10 წლის იუბილეს ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა, თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოებამ და რემედასმა. აღნიშნულმა იუბილემ უნდა შეამოწმოს პარტიის ხელმძღვანელობის სისწორე კომკავშირის და პიონერ მოძრაობის საქმეში და ხელი უნდა შეუწყოს პარტიულებს და პარტორგანიზაციებს ამ მოძრაობასთან დაკავშირებულ საკითხების შესწავლაში და ამ მოძრაობასთან კავშირის გაძლიერების საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცეკას მდივანი ლ. ღოღობერიძე.

საიდან რამდენი უნდა გ[illegible] გელ კ[illegible]

პროპაგანდისტების კვალიფიკაციის ამაღლებისა და პარტ-განათლების ქსელის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, სოფლის მოძრავი და სტაციონალური პოლიტცოდნის სკოლების ხელმძღვანელთათვის ცეკას აგიტპროპ.-განყოფილებასთან ეწყობა გადასამზადებელი კურსები, რომელზედაც მსმენელები უნდა გამოცხადდენ ა. წ. 19 აგვისტოს:.

1)მოძრავ პოლიტ-სკოლის გადასამზადებელ კურსებზე:

1. ქუთაისიდან: ცინცაძე, კალანდაძე; 2. ოზურგეთიდან: ფრუიძე, დოლიძე; 3. სენაკიდან: წოწონავა, ჩიქოვანი ს.; 4. ზუგდიდიდან (2 ამხ. მაზრის შერჩევით); 5. ლეჩხუმიდან: ლომთათიძე, კვინტრაძე პ.; 6. რაჭიდან: მაცაბერიძე, მამალაძე; 7. ზ. სვანეთიდან: (2 ამხ. მაზრ. შერჩევით); 8. გორიდან: ფხაკაძე, დიასამიძე; 9. ბორჩალოდან: გასანოვი, გუსეინოვი; 10. ახალციხიდან: გასანოვი, მ., და ერთიც სხვა; 11. ახალქალაქიდან: (2 ამხ. მაზრ. შერჩევით); 12. სიღნაღიდან: ბოკერია, ღუდუშიძე და ერთიც სხვა; 13. თელავიდან: ცხვაია და ორიც სხვა

(შერ.
(საოლ. [illegible] კალაძის გამოწვევით შემომაქვს
წინ[illegible] ვიწვევ შემდეგ ამხ.: ილია კო-
იბით: [illegible]ლიკო სხვიტარიძეს, ილია გოგი-
ზუგ[illegible]
ხემ — 1, [illegible] **მარო სტურუა.**
რაპანმა—1,
—:—
უნდა გად[illegible]ის გამოწვევით შემომაქვს
რუსული ენის [illegible]ტი“-ს სასარგებლოთ
2. სტაციონალ[illegible]
დასამზ. [illegible]ლაკი.
1) ოზურგეთიდან — [illegible] 2)
სენაკიდან — 1, 4) ქუთაის[illegible] შემომაქვს
დან—1, 6) შორაპნიდან—2., [illegible]
დან —1. 8) ახალციხიდან—1.; [illegible] სი[illegible]ებს:
10) ბორჩალოდან—1, 11) თელავი[illegible] ხო-
დუშეთიდან—1, 13) ლეჩხუმიდან—1 [illegible]ვის
დიდიდან — 1 .

კურსებზე სწავლა დაიწყება 20 აგ[illegible] გაგრძელდება 25 სექტემბრამდე.

ს. კ. პ. (ბ) ც.კ. აგიტპროპ. განყ. [illegible] ადგილე **ქ. მეგრ**[illegible]

თბ. ორგანიზაცია 1905 წ. დაბადებულთა გაწ[illegible] სამზადის[illegible]

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში 10 აგვისტოს შესდგა სხდომა. 1905 წ. დაბადებულთა გასაწვევ კამპანიის ჩასატარებლად. სხდომამ გამოჰყო კომისია აღნიშნულ კამპანიის ჩასატარებლად. უჯრედების სხდომებზე — 19 აგვისტოს ერთიან პარტიულ დღეს — უნდა ჩატარდეს მოხსენებები შემდეგ თემაზე—„1905 წელში დაბადებულთა გაწვევა და მისი მნიშვნელობა“. რაიონული კომიტეტები ჩაატარებენ გაწვეულთა გაერთიანებულ კრებებს, — კომკავშირის რაიონულ კომიტეტებთან ერთად. წინადადება ეძლევათ ყველა ადგილობრივ გაზეთებს—და აგრეთვე — კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს — სისტემატიურად გააშუქონ 1905 წ. დაბადებულთა გაწვევის კამპანია.

ქალაქად შესაკრები პუნქტები ეწყობა საზეიმო — შესაფერის პლაკატებით ლოზუნგებით, აგრეთვე — სათანადო ლიტერატურით და ჟურნალ - გაზეთებით. ეწყობა კონცერტები, კინო - სურათები, და სხვადასხვა გასართობები —გაწვეულთათვის.

ყველა თემებს დაეგზავნა სათანადო ცირკულიარი. მაზრაში ფართოდ უნდა იქნეს გაშუქებული გლეხობის წინაშე კამპანიის შინაარსი და მნიშვნელობა. აგრეთვე დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა ორგანოებმა საერთაშორისო საკითხების გარკვევას, საბჭოთა [illegible]კავშირის მშვიდობიან პოლიტიკას მშვიდობიანობის დაცვა მთლიანად [illegible]ბულია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ[illegible] და სამხედრო ძლიერებაზე. აღნი[illegible]ის ჩასატარებლად თემებში უნდა [illegible]სიები, რომლებიც ჩაატარებენ ა[illegible]ტებითი კამპანიებს. მოაწყობენ გ[illegible] მთელ რიგ გასართობებს და ს[illegible] ხელოსნებთან გამოფენება სათა[illegible]ტურა. კლუბებში — ქოხ-სამკი[illegible]ის გასა[illegible] მოეწყობა მოხსენებები, საუბრები: კითხვა წითელარმიაში მუშაო[illegible] და წითელარმიელის უფლება [illegible]თა შესახებ.

უნდა გამოშვებულ იქნეს [illegible]ბის სპეციალური ნომრები გა[illegible]რეობის და მნიშვნელობის შე[illegible] გაწვეულთა მოვალეობათა შ[illegible] ავიაქიმის ხაზით ჩამოყალიბ[illegible] წრეებში უნდა ჩატარდეს [illegible] იმის შესახებ თუ რა მნიშ[illegible]ებს საბჭოთა კავშირის [illegible] მუშურ - გლეხურ წით[illegible] მისათვის. გაწვევის დ[illegible] მოსათხოვარი სალამ[illegible] გართობებით.

[illegible]ატი“-ს
[illegible]ხელი-
[illegible]ევა.
[illegible]სავლეთ
[illegible]აზერს, 8)
[illegible]ზურიდან
[illegible]ფროსს);
პლატონ
თბილისი-
[illegible]ურ თბილი-
[illegible]ნტს, 8) გრი-
[illegible]ს კანტროლი-
[illegible]რველი ინდუს
ონისიმე უ-
იოსებ მიხეილის ძე
[illegible]ა იოსელიანი.

სადელეგატო კრების არჩევნები

[illegible]ნ. წინეთ შემო-
[illegible] ერთი ოქროს

აგვისტოში თავდება მუშაობა დელეგატ ქალების ძველ შემადგენლობასთან. ეწყობა გლეხქალების საზეიმო კრებები პარტიული, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლების დასწრებით და ამ კრებებზე ჯამი უკეთდება მუშაობაში მიღწეულ შედეგებს. მოწინავე დელეგატი ქალები გლეხობის წრიდან იგზავნებიან პარტიაში, ქალიშვილები აჴ. ლ. კომკავშირში, სხვა დელეგატი ქალები—კი იგზავნებიან პრაქტიკულ სამუშაოზე საბჭოებში, კოოპერატივებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. მუშაობა დელეგატ ქალების ძველი შემადგენლობის მიღწევათა შეფასების გარშემო, უნდა აძლევდეს, დასაწყისს, კამპანიას დელეგატ ქალების ახალი შემადგენლობის ასარჩევად. ასეთ კამპანიის დაწყებამდე—კი, დელეგატ ქალების კრებათა მუშაობის დასრულების ვადის მოახლოვებასთან დაკავშირებით, უნდა სწარმოებდეს მუშაობა ფართე მასებისათვის სადელეგატო კრებათა მუშაობის შედეგების გასაცნობათ და ეს მუშაობა უნდა დაუკავშირდეს დელეგატ ქალების კრებათა ახალ არჩევნების სამზადისს. რომ საარჩევნო კამპანიამ მოგვცეს სათანადო შედეგი, ის უნდა ჩატარდეს, როგორც ფართე მასიური კამპანია და ამ მუშაობაში უნდა ჩაბმული იქნეს ყველა პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და გლეხქალების ფართე მასები.

დელეგატ ქალების კრებათა საარჩევნო კამპანია უნდა წარმოადგენდეს საერთო — პარტიულ კამპანიას. კამპანიის ჩასატარებლად უნდა იქნეს მოწვეული და სათანადოთ მომზადებული ორგანიზაციის სააგიტაციო ძალები.

ცალკე სადელეგატო კრებების მუშაობის და ამ მუშაობაში მიღწეუ[illegible] ბლათ და მუშაობის მო[illegible] ბათ საარჩევნო კამპანიის [illegible] თად უნდა იქნეს გამოყენე[illegible] საბჭოთა პრესა. მუშათა და გლ[illegible] წრეები, დელეგატ ქალების სა[illegible] განმავლობაში უნდა გაეცნონ [illegible] მუშაობას, რომელსაც აწარ[illegible] მომღერალთ [illegible] შათა კლასის სხვ[illegible] ფართე წრეებმა და [illegible] პროფესიონალურმა ორგანიზა[illegible]იმის კო- უწიონ დახმარება, როგორც [illegible] 10 ბების ჩატარების საქმეს, ისე [illegible] როგორც ლიგ ამხანაგური ატმოსფერის [illegible] მონა- და ხელი უნდა შეუწყონ სადე[illegible] მსახი- მუშაობას. [illegible]ბიან.

დელეგატ ქალების საარჩ[illegible] ბეთ- და იქნეს გამოყენებული მ[illegible] სი- მორჩენილ წრეებში არსებ[illegible] სტილს. ბის დასაძლევათ, რომლის[illegible] თავისი ითვლება მუშათა კლასი[illegible] ფო- რევოლიუციონურ წევრ[illegible] მცირეოდენი

მხოლოდ იმ შემთხვე[illegible] დამთავრე- ორგანიზაციები სადელ[illegible]. მხოლოდ ნებს ჩასთვლიან დიდ ს[illegible] კარდაშევი პანიათ, სათანადო ყ[illegible] ნაწილს; მას და სათანადო ძალებ[illegible] პირდაპირეა რონიის, მხოლოდ ამ შემთხვ[illegible] ამიტომ ცალ- ყველგან შრომის უნარიან[illegible]. მაგრამ იყო ბებს, რომლებიც ნამდვილ[illegible]ტრუმენტების რატს წარმოადგენენ პარტ[illegible]. ეს მხატ- თა ფართე მასებს შორი[illegible] სტილისტიურად

ქ. [illegible]

კომკავშირში

კომკავშირი და ფიზკულტურა სოფლა[illegible]

მოსახლეობის გასამხედროებას უკანასკნელ ხანებში დიდი ყურადღება ექცევა. განსაკუთრებით ჩაბმულია ამ მუშაობაში ახალგაზრდობა. არსებობს სამხედრო წრეები, კუთხეები, თავდაცვა - ავიაქიმის უჯრედები და სხვა. მაგრამ ეს საკმარისი არაა. არის კიდევ ერთი საშუალება, რომელსაც ახალგაზრდობის ჯანმრთელობის განვითარებისათვის და გასამხედროებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ესაა ფიზკულტურა. ქალაქებში ახალგაზრდობა ამ მხრივ შედარებით უკეთეს პირობებშია, ვიდრე სოფლად. ფიზკულტურა სოფლის ახალგაზრდობაში კუს ნაბიჯით მიდის წინ, თუ საზოგადოთ შეიძლება აქ მის წინსვლაზე ლაპარაკი. კომკავშირმა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

რა აფერხებს ფიზკულტურას სოფლად? სხვა მრავალ მიზეზთა შორის აქ მთავარი ადგილი უჭირავს მატერიალურ ხელმოკლეობას და ხელმძღვანელის არ ყოლას. თუ კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაცია მოინდომებს, ამ დაბრკოლებათა თავიდან აცილებას არც ისე ძნელი საქმეა. პირველ ყოვლისა საჭიროა, რომ ახლად შემდგარმა ფიზკულტურის ჯგუფებმა თავიდანვე არ მოინდომონ ფიზ[illegible] ლეს საფეხურებზე გადასვლა. [illegible] ცილებელი არაა, რომ დამწყ[illegible] უთუოდ მოინდომოს სავარჯიშ[illegible] ტურნიკები, კოსტიუმები, და სხ[illegible] მოწყობილობანი. გამოცდილებით[illegible] ამ მოწყობილობის გარეშედაც [illegible] ფიზკულტურის წრის მეცადინეობ[illegible] პირობებში ჩაყენება. ამისათვის [illegible] ლად ბუნებრივი მოედნები, მდინარეები, და სხვა. ფიზკულტურის წრეს შ[illegible] ყოს კულტურული გართობა ამ [illegible] კი მას შესწევს უნარი მათი გამო[illegible] გილებზე გამართული თამაშობ[illegible] სურათი მიიზიდავს მოსახლეობ[illegible] ერთ[illegible] რამ: ფრან- ტურის განვით[illegible] სოლოვჩელის კვარ- სო ნიადაგი. [illegible] შესრულებულ კომკავ[illegible] სრული მთლიანობით. და გახდეს [illegible] შესრულა ჩაიკოვსკის ლად. ეს სა[illegible] კონცერტი ორ- არამედ უპა[illegible]. უეჭველად შესანიშნავი [illegible] მიზიდვის [illegible] პიანისტკას: მას აქვს ბევრი მუსიკალობა, [illegible]იანი მუსიკალურ სწავლას [illegible]ტუროვასთან, რომელიც [illegible] ცნობილი პიანისტის

სახელმწიფო სერტიფიკატები

იმ მიზნით რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას მიეცეს საშუალება უფრო უკეთ შეინახოს თავისი თავისუფალი თანხები, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ უფლება მიანიჭა, სახელმწიფო შემნახველ სალაროების მთავარ სამმართველოს, გამოუშვას საბჭოთა მთავრობის გარანტიის ქვეშ სერტიფიკატები. გამოშვებული იქნება 5 და 10 მანეთიანი სერტიფიკატები, სულ 30 მილიონ მანეთისა, 3 სერიათ, ათ-ათი მილიონი მანეთისა თითო სერიაში, 6 წლის ვადით, დაწყებული 1927 წლის 15 აგვისტოდან.

სერტიფიკატებზე მათი გამოშვების დღიდან დაირიცხება პროცენტები, რომლებიც ყოველ ნახევარ წლის დასასრულს მიემატება ძირითად თანხას. პროცენტების შემდეგი დამატება იწარმოებს იმ ანგარიშით, რომ სერტიფიკატის ღირებულება 6 წლის განმავლობაში გაორკეცდეს მის თავდაპირველ ღირებულებასთან შედარებით. პირველი და მეორე ნახევარ წლის განმავლობაში ძირითადი თანხა გაიზრდება 5 პროცენტით, მე-3 და მე-4 ნახევარ წლის განმავლობაში — 5,5 პროც.-ით, მე5 და მე-6 ნახევარი წლის განმავლობაში — 6 პროც.-ით, მე-7 და მე-8 ნახევარი წლის განმავლობაში — 6,25 პროც.-ით, მე-9 და მე-10 ნახევარი წლის განმავლობაში — 6,4 პროც.-ით და მე-11 და მე-12 ნახევარი წლის განმავლობაში — კი — 6,54 პროცენტით.

სერტიფიკატების გაყიდვა იწარმოებს სახელმწიფო შემნახველ სალაროში, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკში და მის განყოფილებებში, ფინსახკომის სალაროებში და სხვა დაწესებულებებში[illegible] თანაც მან დაამთავრა ფინსახკომი [illegible] სწავლა. აქ სჩანს იგუ- ტების გასაღ[illegible] სკოლის გავლენა. სერტიფი[illegible]ვლა დაამთავრა პროფესორ ვადამდე შე[illegible] ხმა და საუცხოვო ხელმწიფო [illegible] ოპერა „ორლეანელი ქალ- ფასათ, რაც [illegible]ებულ უნდა იქნას უფრო 1 რიცხვისათვის[illegible] რომ[illegible] კარგად [illegible] თანხების გაცემა იწარმოებს [illegible] დაბრკოლებლივ, შემტანის პირველსავე მოთხოვნილებით, თანახმად წესდებისა, რომელიც დაწესებულია შესანახ ოპერაციების საწარმოებლათ.

სახელობითი სერტიფიკატის დაკარგვის დროს, მისმა მეპატრონემ ამის შესახებ უნდა განაცხადოს შემნახველ სალაროების მთავარ სამმართველოში და მიიღებს დაკარგულ სერ[illegible]ტიფიკატის დუბლიკატებს. უსახელო სერტი[illegible]ფიკატის დაკარგვის შესახებ არავითარი განცხადებას არ მიიღებენ და ასეთი სერტიფიკატი[illegible] აღდგენილი არ იქნება.

სერტიფიკატების გამოშვების დღიდან 6 წლის შემდეგ, ე. ი. 1933 წლის 15 აგვისტოს სერტიფიკატებზე პროცენტების დარიცხვა შეწყდება და შემნახველი სალაროებიც დააბრუნებენ მათ: შემდეგ ფასებში: 5 მანეთიან[illegible] სერტიფიკატს 10 მანეთად და10 მანეთიან სერ[illegible]ფიკატს 20 მანეთად. სერტიფიკატების მი[illegible] გასანაღდებლად იწარმოებს 10 წლის განმავ[illegible]ბაში მათზე პროცენტების დარიცხვის შეწ[illegible]ტის დღიდან. 10 წლის შემდეგ კი სერ[illegible]ფიკატების პატრონები კარგავენ ხელში და[illegible]ნილ სერტიფიკატების განაღდების უფლებას.

კონტროლის გამარტივების საკითხი

ა. - კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა კონტროლის სისტემის გამოკვლევა მისი რაც შეიძლება შემცირებისა და მოწესრიგების მიზნით. ჩატარებულ მუშაობის შემდეგ კოლეგიამ აუცილებლად სცნო:

1) მოახდინოს ლიკვიდაცია ა. წ. 1 ოქტომბრისათვის სააქციო საზოგადოებებში არსებულ საუწყებო-საკონტროლო აპარატების, რომლებიც უშუალოდ საზოგადოებათა სამმართველოებს ექვემდებარებიან და სამაგიეროდ შეიმუშაოს სააქციო საზოგადოებებთან სარევიზიო კომისიების ტიპიური დებულება მათი უფლებებისა და მოვალეობათა ზედმიწევნით განსაზღვრით და იმ ნორმების რეგლამენტაციით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას.

2) გააუქმოს ა. წ. 1 ოქტომბრისათვის შინასაუწყებო საკონტროლო აპარატები სახკომატებთან, რომლებიც სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან.

3) აუცილებლად იქნა ცნობილი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობასთან არსებულ საინსპექტორო განყოფილების რეორგანიზაცია მისი დაქვემდებარებით ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიისათვის.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის სააქციო საზოგადოებად გადაკეთების შემდეგ, კონტროლის ფუნქციები უნდა დაეკისროს სარევიზიო კომისიას.

4) გაუქმებულ უნდა იქნეს 1 ოქტომბრისათვის იმ ცალკე ტრესტებთან არსებული საკონტროლო აპარატები, რომლებიც არ იმყოფ[illegible]იან სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გამგ[illegible]ლობაში მათი პერიოდული ანგარიშებისა [illegible] ბალანსების განსახილველად, ხარჯთაღრიცხ[illegible]ბის პროექტებისა და სამუშაოთა გეგმების შ[illegible]ხებ დასკვნების მისაცემად. სხვა [illegible] მუშაოთა შესასრულებლად, აუცილებლა[illegible] ცნობილი აღნიშნულ ტრესტებთან სარევიზიო კომისიების მოწყობა ს. მ. უ. ს. და კომუნალურ ტრესტების შესახებ არსებულ დებულების მიხედვით.

5) ს. მ. უ. საბჭოებთან არსებული სარევიზიო კომისიები, მათი ავტორიტეტის აწევისა და საქმეთა მსვლელობის დაჩქარების მიზნით, გადაწყდა უშუალოდ დაექვემდებაროს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარეს და ს. მ. უ. ს. კონტროლის ფუნქციები სავსებით გადავიდეს სარევიზიო კომისიებზე.

კოოპერატიული რევიზიის დარგში აუცილებლად იქნა ცნობილი, რომ სამომხმარებლო ოპერაციის კავშირების რევიზი[illegible] სამ[illegible] ხტრი გადავიდეს მათთან არს[illegible] კოკლე[illegible] კომისიებზე.

ახალი საკონტროლო-სარე[illegible] მოწყობის აუცილებლობის [illegible] სადგ. ხუდა- ზებისა და დაწესებულ[illegible]ოს აღმოჩენა, ეს საკითხი უნდა შეუთანხმდეს [illegible] კვიტკოს თა ინსპექციას, რომელ[illegible] დებულებები საკონტრ[illegible]ქნა ლენინაკანის ქა- ბის შესახებ, ყველ[illegible]ებიც და იქ გამოირ- გეგმები და [illegible]ის უფროსის თანაშემ- ბულ მუშაობის შ[illegible]ანგავს — 748 მან. 90 [illegible]ველი დაპატიმრებულია.

[illegible]ანტაგონისტურ ფორმებში, **მაშინ, როდესაც ჩვენს პირობებში, მას მივყევართ კოლექტიურ წარმოებისაკენ, რომელიც უარჰყოფს კაპიტალისტურ წინააღმდეგობებს.**

გლეხები პრაქტიკული გზით მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ნიადაგის ტრაქტორით დამუშავების დროს საჭიროა გაერთიანება. ჩვენ ამჟამად გვაქვს ბევრი მასალები, რომლებიც ადასტურებენ ამ დებულებას. ამას გვეუბნება 1924 წ. სატრაქტორო კამპანიის გამოცდილება. „კამპანიის განმავლობაში თავი იჩინა რაციონალურ მიწადმოწყობის გატარების საჭიროებამ, რასაც ხშირად მივყავდით იმ პრაქტიკულ დასკვნამდე, რომ ბევრ შემთხვევებში შეუძლებელია ტრაქტორის გამოყენება მიწადმოწყობის გაუტარებლად. სამარის, სარატოვის და სხვა რაიონებში აღნიშნულია ბევრი ისეთი ფაქტები, როდესაც მცირე და გაბნეულ ნაკვეთების დახვნის დროს ტრაქტორი ჰკარგავდა ნაკვეთის ბოლოებზე მიბრუნ-მობრუნებისათვის სამუშაო დროის 30—40 პროცენტს, რის გამოც ხვნა ძვირი ჯდებოდა. ასეთივე მავნე შედეგები მოჰყვება მიწის ნაკვეთების ძლიერ დაშორებას როგორც საცხოვრებელ ადგილიდან, ისე ერთმანეთისაგან, როდესაც ტრაქტორს უხდება ყოველდღიურად ან ძლიერ ხშირად მოხდაინოს უბრალო გადარბენა სადგომიდან ნაკვეთისაკენ და პირიქით, აგრეთვე ერთი ნაკვეთიდან მეორეზე. ეს მოვლენა განსაკუთრებით ემჩნევა იმ ტრაქტორების მუშაობას, რომლებიც გადაეცა საკრედიტო ამხანაგობებს. როსოშანის მაზრაში 34 ტრაქტორის (მეტ წილად საკრედიტო ამხანაგობის) მუშაობის დროს 1.342 საათ ნაყოფიერ მუშაობაზე მოდის 312 საათი უბრალო გადარბენაზე, ე. ი. მთელი მუშაობის 27 პროც., უნაყოფოდ ჩაუვლია. ასეთივე მოვლენა, თუმცა უფრო ნაკლებათ, ემჩნევა საწარმოო გაერთიანებებსაც კოლექტიურ მეურნეობაში. მაგალითად სარატოვის გუბერნიაში, კოლექტიურ მეურნეობაში მომუშავე 10 ტრაქტორის მუშაობის დროს 850 საათი ნაყოფიერ მუშაობაზე მოდის 102 საათი უბრალო გადარბენაზე, ანუ **სამუშაო დროის დაკარგვა 12-ზე მეტი პროცენტით.**

დროის და საშუალებათა უნაყოფო დაკარგვა ხშირ მიბრუნ-მობრუნებაზე და შორეულ გადარბენებზე, რაც გამოწვეულია ცუდი მიწადმოწყობით, განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს მეურნეობაში ტრაქტორის შეჭრის შემდეგ. ეს იწვევს გლეხობის შორის რაციონალურ მიწადმოწყობის უძლიერეს მოთხოვნილებას, გადასახლებისადმი მისწრაფებასაც კი“. *) (კურსივი ჩვენია. ქ. ო.)

ტრაქტორი ანგრევს სოფლად ძველ წესრიგს, იგი გზას უკაფავს მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობას. გლეხები თვითონ მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მეურნეობის წარმოება ძველებური წესით უკვე აღარ შეიძლება, რომ საჭიროა კოლექტიურ წარმოებაზე გადასვლა. ტრაქტორი რევოლიუციას ახდენს გლეხის აზროვნებაში, ის თვალსაჩინოთ უჩვენებს მას, რომ მიწის ინდივიდუალურ სარგებლობიდან საჭიროა კოლექტიურ სარგებლობაზე გადასვლა, რომ ტრაქტორი მხოლოდ ამ პირობით შეიძლება იყოს მომგებიანი.

ტრაქტორი თავის გარშემო აერთიანებს, აკავშირებს წვრილ მწარმოებლებს, უყრის პირველ საფუძველს მათი შრომის განსაზოგადოებას. ტრაქტორი პირველად ანსაზოგადოებს ნიადაგის დამუშავებას, შემდეგ კი ხელს უწყობს მთელ რიგ სხვა პროცესების განსაზოგადოებასაც. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ უმარტივესი გაერთიანებები ტრაქტორის გამოყენების პროცესში მიდიან იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესია გადასვლა შრომის უფრო სრულ განსაზოგადოებაზე, კოლექტიურ მეურნეობათა უფრო რთულ ფორმებზე (კომუნები).

საწარმოო ეფექტი, რომელსაც აღწევს ტრაქტორი, იცვლება თვითეულ შემთხვევაში გაერთიანების ფორმის მიხედვით. „გამორკვეულია, რომ საწარმოო ეფექტი, რომელსაც აღწევს ტრაქტორის მუშაობა, პირდაპირ დამოკიდებულია **იმ გაერთიანების ხასიათიდან, რომელიც მას იყენებს.** ასე, მაგალითად, ყუბანის ოლქში ტრაქტორის საშუალო ნაყოფიერება (თუ 100 პროცენტად მივიღებთ ტრაქტორის შესაძლებელ მაქსიმალურ გამოყენებას ცალკე სამუშაოებზე) შეადგენდა 84-დან 100-მდე პროცენტს **კომუნებში და მიწის საერთოდ დამმუშავებელ ამხანაგობებში,** 62-დან 84-მდე პროცენტს საბჭოთა მეურნეობაში, სამანქანო ამხანაგობებში და ცალკე პირთა მეურნეობებში და მხოლოდ 14-დან 62-მდე პროცენტს **სტანიცის საბჭოებში და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებში.** ცენტრალურ სამრეწველო რაიონის სატრაქტორო გაერთიანებათა გამოკვლევამ გამოარკვია, რომ **კომუნებში გაზაფხულზე და შემოდგომაზე ტრაქტორმა დახნა 156,5 დეს.;** დესიატის საშუალო ღირებულება კი უდრიდა 8 მან. 02 კაპ.; საბჭოთა მეურნეობებში—128 დეს.: თვითღირებულება—10 მან. 57 კაპ.; **საკრედიტო ამხანაგობებში**—80,5 დეს.; თვითღირებულება—17 მან. 56 კაპ.: **ურთიერთ დახმარების კომიტეტებში**—63,5 დეს., თვითღირებულება—**18 მან. 26 კაპ.** ამრიგად ყველაზე მეტი სამუშაოები და ყველაზე უფრო იაფად შეუსრულებია საგლეხო გაერთიანებებს, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ ტრაქტორის ექსპლოატაციას; ამასთანავე ამ გაერთიანებათა ნაყოფიერება იმდენად მეტია, რამდენადაც [illegible] გატარებული შრომის პროცესების განსაზოგადოების პრინციპი; ყველაზე უფრო მცირე სამუშაო შეუსრულებია და ყველაზე უფრო ძვირად დაჯდომია საკრედიტო და სასოფლო-სა[illegible]ნეო ამხანაგობებს და ურთიერთ დახმა[illegible]ის კომიტეტებს, რომლებიც [illegible] ტრაქტორს. *)

ეს ძვირფასი მასალა მოწმობს იმას, რომ ყველაზე უფრო მტკიცე გაერთიანებებს წარმოადგენენ ის გაერთიანებები, რომლებშიაც თითო სრულად არის განსაზოგადოებული შრომის პროცესები. ამ გაერთიანებათა სიმტკიცე უზრუნველჰყოფილია არა აბსტრაქტული იდეებით კომუნისტურ მეურნეობის ღირსებათა შესახებ, არამედ მატერიალურტეხნიკური ბაზით. ტრაქტორს შეუძლია უზრუნველჰყოს ჯანსაღი კოლექტიური მეურნეობები დაშლისაგან, ვინაიდან ტრაქტორის გამო ტეხნიკურ აუცილებლობად ხდება გლეხურ შრომის პროცესების განსაზოგადოება.

მაკაროვიც, რომელმაც დასწერა სპეციალური წიგნი ჩვენში ტრაქტორების გამოყენების პირობების და საზღვრების შესახებ, აგრეთვე ხაზს უსვამს ტრაქტორების არა მარტო კოლექტიურად მფლობელობის, არამედ მათ კოლექტიურად გამოყენების საჭიროებასაც. ის ამბობს: „ტრაქტორის კოლექტიურად მფლობელობის საკითხის გარდა, რუსეთში შეიძლება წამოიჭრას საკითხი ტრაქტორით კოლექტიურად სარგებლობის შესახებ, ვინაიდან მეტის მეტად მცირე მეურნეობის, წვრილ და გაბნეულ ნაკვეთების პირობებში ზედმეტია ლაპარაკი სოფლის მეურნეობაში ტრაქტორის ინდივიდუალურად გამოყენების შესახებ“ **).

ტრაქტორი პირველ ყოფილ და თანამედროვე გუთნებთან შედარებით რამოდენიმეჯერ ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას; ის ზედმეტად ხდის მხვნელის შრომას და სცვლის მას შოფერის შრომით. ერთი მხვნელი ვერ შესძლებდა ტრაქტორთან ერთად ორმოცი ვერსის გავლას. მაშინ საჭირო გახდებოდა რამოდენიმე მუშის—მხვნელის დაქირავება, რაც ძლიერ გაამძვირებდა ნიადაგის დამუშავებას. ერთი სიტყვით, ტრაქტორის გამოყენებამ აუცილებელი გახადა ტეხნიკურად და ეკონომიურად, რომ უარი ეთქვათ **მხვნელის შრომაზე.**

თითონ ტრაქტორისტი, სპეციალურ ავტომატიური იარაღის საშუალებით მართავს გუთანს. ამგვარად, ტრაქტორი ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამასთან ერთად ზედმეტად ხდის მხვნელის მძიმე და მომქანცავ მუშაობას, რომელსაც სცვლის შოფერ-ტრაქტორისტის შედარებით უფრო ადვილი შრომით.

სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებიდან აღვნიშნოთ თანამედროვე **სამკალსალეწი მანქანები, რომლებშიაც თავს იყრება პურის მომკის, მისი გალეწვის და მარცვლის გაწმენდის ოპერაციები.** სამკალ-სალეწი მანქანები ფართოდ გავრცელდენ ჩრდ.-ამერიკის შეერთ: შტატებში. მათი დამახასიათებელია სამუშაო სივრცის დიდი სიფართოვე (45 ფუტამდე) და მექანიკურ სამოძრაო ძალის გამოყენება. ასეთ სალეწ მანქანების დღიური ნაყოფიერება უდრის 15—20 ათას ფუთ პურის მასას. ძნელი გასაგები არ არის, რომ ასეთი რთული მანქანები იწვევენ შრომის განსაზოგადოების აუცილებლობას, ხელით მუშაობის შეცვლას მექანიკური მუშაობით. ეს თანამედროვე გოლიათები (სამკალსალეწი მანქანები) ვერ მოთავსდებიან წვრილ გლეხურ მეურნეობის ვიწრო ჩარჩოებში. ამიტომ სავსებით მართალია ვასილიევი, რომელიც მათ შესახებ სწერს: „ვუწევთ რა ანგარიშს **რთულ** სალეწ მანქანების ეკონომიურ მნიშვნელობას და მათ როლს გლეხობის კოლექტივიზაციაში, ჩვენ სამართლიანად უნდა ჩავთვალოთ ისინი გლეხის შრომის მექანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო ფაქტორად, რომელიც დიდ შესაძლებლობებს ხსნის უკვე უახლოეს მომავლის პერსპექტივაში“. *).

საჭიროა აგრეთვე აღვნიშნოთ თანამედროვე საჭრელი მანქანებიც, რომლებიც ნიადაგის დამუშავების ამოცანას ასრულებენ სრულიად სხვა წესებით. ვიდრე გუთნები. მუშაობის პრინციპი აქ სრულიად სხვანაირია.. უკანასკნელ ხანებში საჭრელმა მანქანებმა მიაღწიეს დიდ წარმატებას ნიადაგის მექანიკურად დამუშავების ღირსების მხრივ. გერმანიაში მაგალითად უკვე რამოდენიმე ასეული საჭრელი მანქანა იმყოფება ექსპლოატაციაში. მთელმა რიგმა მანქანის ამშენებელმა ქარხნებმა დაიწყეს ამ მანქანების წარმოება. ძნელია რაიმეს თქმა საჭრელი მანქანების ფართოდ გავრცელების პერსპექტივების შესახებ, ვინაიდან ისინი მხოლოდ ახლა გამოდიან საცდელ სტადიიდან. ყოველ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო-ტეხნიკური აზროვნება გაძლიერებულად მუშაობს რეალურ წარმატების მისაღწევად ამ დარგში.

მესაქონლეობაშიაც მსხვილმა მეურნეობამ მიაღწია დიდ წარმატებებს. უახლესი ცნობები საბოლოოდ უარჰყოფენ წვრილბურჟუაზიულ იდეოლოგების იმ აზრს, თითქოს მესაქონლეობაში წარმოების ორგანიული ხასიათის გამო, აუცილებელია წვრილი, ინდივიდუალური მეურნეობა. ეს ცნობები ადასტურებენ, რომ საქონლის მოვლა შეიძლება მოეწყოს მსხვილი მასშტაბით. ასე, მაგალითად, საიმონსი აღნიშნავს, რომ საქონლის გასუქება დასაკლავად ფართოდ ვრცელდება ახლა ამერიკაში. „მსხვილი ფერმები ასუქებენ ახლა ათასობით საქონელს ერთ შენობაში და გამოკვების პროცესი სწარმოებს ძლიერ ეკონომიურად, გულმოდგინეთ და სისტემატიურად. შედეგები გვიჩვენებენ, რომ ერთ მუშას შეუძლია თვალყური ადევნოს ორი ათას ხარს, რომლებსაც დასაკლავად ასუქებენ; ამავე დროს ყოველდღიურად იკარგება ბევრად უფრო ნაკლები დრო და შრომა, ვიდრე ამას ხარჯავს საშუალო ფერმერი, როცა ის ასუქებს ხუთმეტ-ოც ხარს ჩვეულებრივი ფერმის ყველა უხერხულ პირობებში“. შრომის ყველა პროცესები, რომლებიც დაკავშირებული არიან საქონლის კვებასთან, სწარმოებენ მექანიკური წესით, მანქანის საშუალებით მოაქვთ თივა, მანქანა ჰკეპავს მას და ურევს სიმინდის ფქვილში. მანქანის საშუალებით ჰქაჩავენ აგრეთვე საქონლისათვის საჭირო წყალს და სხვა.

დანიაში პროფ. **მიულგორდმა** გამოიგონა რძის მომცემ საქონლისათვის სპეციალური სასუნთქავი აპარატი, რომელიც რძის მომცემ საქონლის მოვლას აყენებს სავსებით ახალ, მეცნიერულ საფუძველზე. აპარატი ისეა მოწყობილი, რომ ძროხა შეიძლება იყოს იქ რამდენი ხანიც გნებავთ ისე, რომ მას სრულებით არ შეხოს ატმოსფერის ჰაერი, მისი კვება შეიძლება ყოველთვის, კამერაში შეუსვლელად; მექანიკურ ხელსაწყოების საშუალებით შეიძლება აგრეთვე მისი წველა კამერაში შეუსვლელად. ამისათვის კამერას აქვს პატარა ფანჯარა, რომელსაც გადაკრული აქვს რეზინა; რეზინა ბოლოვდება ხელთათმანებით; როცა საჭიროა ძროხის მოწველა, ამ ხელთათმანებს იკეთებენ ხელზე და ისე სწველავენ ძროხას“. *).

რა დაემართება დავიდების, გერცების და სხვების იდეალურ ქვეყანას, თუ გავრცელდა კვების ასეთი მეცნიერული წესი? დარჩება დანია წვრილ გლეხების ქვეყნად, თუ მსხვილი წარმოება იქ კიდევ მეტ წარმატებას მიაღწევს?

ცნობილია აგრეთვე, რომ უკანასკნელ ხანებში გავრცელდა მექანიკური საწველი მანქანები. ისინი სდევნიან ხელით წველას და ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. ამასთან ერთად მექანიკური წველა იძლევა იდეალურად სუფთა რძესაც, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სარძეო მეურნეობაში.

მიწაზე და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობა ბოჭავს სოფლის მეურნეობის განვითარებას, აფერხებს ტეხნიკურ პროგრესს. ჩამორჩენილობა, უკულტურობა და ველურობა არ იქნებოდა ასე დამახასიათებელი სოფლისათვის, რომ არ არსებობდენ ეს დაბრკოლებები.

მაგრამ კერძო საკუთრების პირობებშიაც სოფლის მეურნეობას აქვს დიდი მიღწევები. სოფლის მეურნეობის ბევრ დარგებში მსხვილი მეურნეობა გაბატონებულ მოვლენად ხდება. ხდება სოფლის მეურნეობის მაშინიზაცია, ის ემსგავსება მრეწველობას. სავსებით სწორა აღნიშნავენ ლემდეკი და ბარში, რომ თანამედროვე წესებით მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება არის „კარგად მოწყობილი ფაბრიკა, რომელიც თითონ აწოდებს თავს ნედლეულს. მანქანა ხნავს, მანქანა სთესავს, მანქანა მკის, ლეწავს, ფქვავს. მანქანა აცხობს პურს, რომელიც ავტომობილის საშუალებით მიდის მომხმარებელთან“.

სოფლის მეურნეობის მაშინიზაციის პროცესი კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, როდესაც სახელმწიფო ეხმარება გლეხურ მეურნეობას. **მაგრამ მაშინიზაციის პროცესი არის სასოფლო-სამეურნეო შრომის განსაზოგადოების პროცესი. ჩვენ შეგნებულად მივდივართ ამისაკენ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შევვიძლია ამ პროცესის ბოლომდე მიყვანა. მანქანა საბოლოოდ განდევნის წვრილ მწარმოებლის ინდივიდუალურ შრომას და გახდის მას კოლექტივის, მთელი საზოგადოების მუშაკად.**

წვრილბურჟუაზიული იდეოლოგები უარჰყოფენ ასეთ შესაძლებლობას. ისინი ამტკიცებენ, რომ რეალური ფაქტები ამ პროგნოზის წინააღმდეგ ლაპარაკობენ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიული ხასიათი ვერ ურიგდება განსაზოგადოებულ შრომასა. იქ უფრო ხელსაყრელი და რაციონალურია წვრილი წარმოებაო.

მარქსისტებს მიაჩნიათ, რომ საქმე სრულებითაც არ არის **ორგანიულ პროცესებში. ორგანიულ პროცესების მოწყობაც შეიძლება მსხვილი მასშტაბით.** თუ სოფლის მეურნეობაში ჩვენ გვაქვს ასეთი ჩამორჩენილობა და ველურობა, მეურნეობის ასეთი დახავსებული ფორმები, ამაში დამნაშავეა ორგანიული პროცესები კი არა, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საზოგადოებრივი პირობები. **ისინი** აფერხებენ მის განვითარებას.

რეალური ფაქტები და სინამდვილე ადასტურებენ სწორედ მარქსისტების თვალსაზრისს. ჩვენ დავამტკიცეთ ამ თვალსაზრისის სისწორე **უახლოესი ფაქტებით.** ეს ფაქტები მთლიანად და სავსებით ეწინააღმდეგებიან წვრილ გლეხურ კერძო მეურნეობის იდეოლოგების და აპოლოგეტების თეორიას.

ქ. ორაგველიძე.

---

*) ტრაქტორი სოფლის მეურნეობაში, გვ. 47.

*) ჩვენი სოფლის ტრაქტორიზაცია, გვ. 14—15.

**) მაკაროვი — პირობები და საზღვრები... გვ. 28.

*) სიახლენი აგრონომიაში. გვ. 109.

*) სიახლენი აგრონომიაში, გვ. 133.

ღამის ცნობ[illegible]

[illegible]თა საქართველო

ირლანდია ინგლისთან ომისათვ[illegible] ზადება

ლონდონი, 13 აგვისტო. ირლანდიის რე[illegible]
პუბლიკანურმა არმიამ (ეს არმია მოწყობილ[illegible]
ირლანდიელ ნაციონალისტების შეურიგებე[illegible]
ფრთის მიერ, რომელსაც მეთაურობს ინგლ[illegible]
ლების მიერ დაპატიმრებულ ქ. კორკის ქ.
ქალიშვილი) გამოაქვეყნა ბრძანება თა[illegible]
წილებისადმი, რომელშიც ნათქვამია: [illegible] ლის
ლისი ემზადება ირლანდიასთან ომი[illegible] ინგრა-
გამო ბრძანება წინადადებას აძლევ[illegible] კარგი
ხედრო ნაწილებს გააძლიერონ ს[illegible] არგისია
ლება და მოხალისეთა შეკრებ-
ამისა, თუ რა შედეგები მოყვებ[illegible] ს მუშაკო-

საბჭოთა მოქალაქე[illegible] ილი მუშა

პეკინი, 12 აგვისტო. [illegible]გნატებით აძ-
ელჩოზე თავდასხმის [illegible] წოგნატზე. პურის
საბჭოთა მ[illegible] ქის[illegible]ბია. ბაზარზე აიწია
ლია ერთი თ[illegible]
[illegible]პი შეუღგა 200 ფუთი სიმი
[illegible]ჩელსაც მოლოდ წევრები მი
ვარკ[illegible]ის დუქნებიდან (ადს).

ოფიც[illegible]ბის მოსამზადებელი კურ[illegible] ვის შ სებ[illegible]

სკის [illegible]. 12 აგვისტო. ჩაის საქმის ტეხ-
მხოლ და ინსტრუქტორების მოსამზადებ-
ლეს), [illegible]ო საზოგადოებამ „საქართველოს
მები [illegible]ის ჩაის ფაბრიკასთან გახსნა
ის უ[illegible] კურსები. კურსებზე იმეცადინებს 20

შირაქის ნავთ[illegible]

ვარ. 13 აგვისტო. სილნა[illegible] [illegible]ვიდენ
კავშირის სახალხო კომისარია[illegible] თავ
დონ გამ. ქართველიშვილი[illegible] ქართ-
ტრამვაი მდივანი ამხ. მათიკაშვილი [illegible] იმავე
[illegible]გაემგზავრენ შირაქში ნავთის სა-
[illegible]ურლავად წარმოებულ მუშაობის
პარი[illegible]ლად (ადს).
რომელიც
ხესიის დ[illegible]
ბაზე ხას[illegible]
თეთრგვ[illegible]

წერილ[illegible]ები

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ახალციხე, 12 აგვისტო. 1927—26 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასაკრეფად მოსამზადებელი მუშაობა უახლოვდება დასასრულს. თავდება გადასახადების გამონაგარიშება ყველა თემებზე. ერთ-ერთ თემზე უკვე გამოწერილია საგადასახადო ფურცელი.

პირველ სექტემბრისათვის მუშაობა მოთავდება გადასახადების გამონაგარიშების საქმეში და საგადასახადო ფურცლების შეკრების შემდეგ დაიწყება მისი დარიგება თემებში (ადს).

გზის შეკეთება

ახალციხე, 12 აგვისტო. აწყურის თემის სოფ. თაზრისის მცხოვრებლებმა კომუჯრედის თაოსნობით დაიწყეს გზის შეკეთება სოფლიდან ბორჯომის გზატკეცილამდე (მანძილი 6 ნახ. ვერსი).

ბორჯომის აღმასკომმა დასახმარებლად გაგზავნა ტეხნიკური ძალები.

ახალციხის სამაზრო გლეხკომმა გადასდო 300 მან. ახალციხის მაზრის აღმასკომმა დაუთმო გლეხებს ასაფეთქებელი ნივთიერებები. მუშაობა უკვე დაიწყო (ადს).

ჩაის აკრეფა

ოზურგეთი, 12 აგვისტო. ინტენსიური მუშაობა სწარმოებს გლეხთა პლანტაციებში ჩაის ასაკრეფათ და „საქართველოს ჩაის" ფაბრიკაში მისაზიდათ. კამპანია მოთავდება სექტემბრის შუა რიცხვებში. ერთი დღის განმავლობაში მიტანილი მწვანე ფურცელი იმავე დღისვე მუშავდება ფაბრიკაში. მიმდინარე წელს ჩაის მოსავალი ძალიან კარგია.

წერილები

თიითის თემი, სენაკის მაზრა

[illegible] თემის აჯ-კარზი

ხკიმ, ნიკო[illegible]თის თემი კულტურულად და
ნელმა ესტ[illegible]ემია, გასაბჭოების შემდეგ ამ
ამის შემდეგ[illegible] გაკეთდა და კეთდება დღე-
ძულ დაგო[illegible]ში დიდი აღმშენებლობითი
[illegible]ული. ამ დღეებში დამთავრ
[illegible]ში საექიმო პუნქტის შე-
ბრძო[illegible]ლიც ჯდება 3.000 მანეთი,
[illegible]აიღეს გლეხებმა. თვითდა-
„როიალ დ[illegible]თვე სოფ. სეფიეთში მდ.
ნიუ-იორკ[illegible]ანა საურმე ხიდი, მეორე
ლი გაზეთების [illegible]ლაზე სოფ. ონტოფოში
„როიალ დეტჩ შე[illegible]ელი მუშაობა კი
(ოგაიოს შტატი) [illegible] თემში უწინ არსე
და ემზადება კამლო შტატიანი გამ-
„ტრესტ ნიუ-იორ[illegible]ოდ ერთი გამგე ჯა
[illegible]ძლევა ჯამაგირი.
ლის" წინააღმდეგ[illegible]ამკითხველოების მუ-
უკანასკნელი [illegible]ოხ-სამკითხველოს მუ-
ნავთს (ადს). [illegible]ფ. ონტოფოში, სადაც
[illegible]იქ სამკითხველოს ღის
[illegible], ე. ი. მაშინ, როდესაც
ბში [illegible]ფალი არიან. სწორედ ამით
[illegible]ოხ-სამკითხველოში იშვიათად
რიგა, 1[illegible]
„კმა" იზარალ[illegible] დრამერე, რომე
გამოწვეულია[illegible]ყულ დროში
გან უგარა[illegible], მაგ. [illegible] წინად და-
[illegible]სადაც არის გინიბაც და ხე-
მმართველ[illegible]ოტოების კომისარიატმა ამ გა
ბანკის ყუ[illegible]ული ყურადღება უნდა მიაქ-
დებ ქვეშ[illegible]ების დადგმა უნდა აიკრძა-
[illegible]სცენას თანამედროვე პიესები
გერმანი[illegible]აბა წელს დამაკმაყოფილე-
8 [illegible]რო და ფურნე. გლეხკომს
[illegible] მანქანები, რომლითაც
[illegible] გლეხკომის წევრები.
ბერლინი, 1[illegible]ემში წელს მოსავალ-
აგენტო იუწყება[illegible] ივლისის განუწყვე-
[illegible]წვიმიანდი, ასეთივე მდგო
მარის კონსტიტუ[illegible]შიც.
8 წლის შესრულ[illegible]ში სულ არ სწარ-
გერმანიაში გაი[illegible]ოს კრებაზე ირჩევა
ზეიმი, რომელ[illegible] არ შეადგენს საბ-
[illegible]ამს, მაგ. როდესაც ვინ
მიიღო მონაწ[illegible] სიღარიბის მოწმობას, ალ
[illegible]ამ საბჭოს სხდომაზე.
რეპრესიებ[illegible]ბით ჩვენ არ უნდა
[illegible] ონტოფელი.

[illegible]ომ - სვანეთი

[illegible]ა ზ. სვანეთის ახალგაზრდობას

[illegible]ა სამსწავლო წელი. ახალგაზრ-
[illegible] კუთხეში ემზადება თავისი მომავა
[illegible]ად მოწყობისთვის. რის საშუალებათ
[illegible]სწავლა. სვანეთის ახალგაზრდობა გა-
[illegible]ბის გზაზე არის დამდგარი. მას სურს
[illegible]მაგრამ სწავლის საშუალება ნაკლები
[illegible]ე იმაშია, რომ ზ. სვანეთში არ არსე-
[illegible]რე საფეხურის შრომის სკოლა, გარ და,
(ად[illegible]ს სოფ. ახ. სკოლის ახალგაზრდობის,

რომლებიც ათავებენ პირველ საფეხურის სკოლებს, სწავლის გაგრძელება ძლიერ უძნელდებათ, ისინი ან უნდა წავიდენ ქალაქში, ან რომელიმე მაზრაში, რის საშუალება არა აქვთ.

ამიტომ მთელი ახალგაზრდობა რომლებმაც ოთხწლედები დაამთავრეს და სწავლის გაგრძელების სურვილი აქვთ, აწყდება სამაზრო დაწესებულებებს განცხადებებით, რითაც ისინი მოითხოვენ სახელმწიფო ხარჯით სასწავლებლებში გაგზავნას. ნაწილი ახალგაზრდობისა ახერხებს ქალაქში ჩასვლას და იქ სახელმწიფო ხარჯზე მოწყობას, ნაწილი კი რჩება. რომ ეს თავიდან აცილებული იქნეს, საჭიროა ზ. სვანეთის ორგ-ბიუროს დათმობილი ექნეს მეტი ადგილები.

უნდა დამატებით აღვნიშნო, რომ ზ. სვანეთისათვის არ არის საკმარისი იმდენი ადგილი, რაც სხვა მაზრისათვის. აქ არ არსებობს საშუალო სასწავლებელი, სადაც გლეხის შვილს, შეეძლოს სწავლის მიღება.

ე. ბრეგვაძე.

ონი, რაჭა

ექსკურსანტ-მომღერალთა გუნდი

12 ივლისს ქ. ონს ქუთაისიდან ესტუმრა მეცნიერულ-მუსიკალური ექსკურსია. მუსიკალურ ტეხნიკუმის გამგის ილიკო აბაშიძის ხელმძღვანელობით. 13—14 ივლისს ექსკურსანტებმა გამართეს კონცერტი, კონცერტის წინ წაკითხულ იქნა ლექცია საერთოდ მუსიკის ისტორიის და მნიშვნელობის შესახებ, და კერძოდ ქართული მუსიკის ისტორიის და მისი თანადათანობით განვითარების შესახებ.

ლექციის შემდეგ მუსიკალურ ტეხნიკუმის მოწაფეთა მომღერალმა გუნდმა შეასრულა სცენა-ოპერა „დემონი"-დან. ოპერის შემდეგ მომღერალმა გუნდმა შეასრულა მთელი რიგი ქართული სიმღერები.

კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყოველგვარი დახმარება გაუწია ექსკურსანტებს, რომლებმაც დასძლიეს მგზავრობის ძნელი პირობები და ჩაივიდენ რაჭაში მაზრის დასაელლად.

გან—განყოფილება.

ზ. კიკნაველეთი, ქუთ. მ.

აღმასკომის თავმჯდომარეც ასეთი უნდა

კიკნაველეთის თემაღმასკომის თავმჯდომარე სწორედ არ შეეფერება თავის დანიშნულებას. ამას წინად ის ღამით შეუვარდა ოჯახში ამავე თემში მცხოვრებ გლეხს სიმონ დოგრაშვილს ამოღებული ხანჯლით, და რევოლვერით. დაეძებდა იესე დოგრაშვილს დასაჭერად.

აშფოთა ოჯახი, ჯერ თვით სიმონის ოჯახობას აყენებს ფიზიკურ შეურაცყოფას და მერე მის მცირე წლოვან შვილს აბესალომს აჭერს ამოღებულ ხანჯალს კისერში—მომიყვანე შენი ძმა იესე, უნდა მოვკლაო. ამის შემდეგ მიაქვს სახლიდან სიმონის ქამარ-ხანჯალი, სიმონის ოჯახობა გარდაიცვალა და აბესალომს კი შიშით ყურებში აღარ ესმის არაფერი, და ამბობენ ყველა—ეს შიშის ბრალიაო. კიდეც აფრთხილებდა სიმონს—ჩემზე არაფერი განაცხადო, თორემ შავს დღეს დაგაყენებო.

გოლიათი.

წერილებიდან

ჩოხატაურის თემი, გურია

ჩვენი თემის ნაკლია ცუდი გზები

აღნიშნულ თემს აქვს სახალხო სახლი, შვიდწლიანი შრომის სკოლა. გვაქვს თემში სამკითხველო, სადაც გამოდის კედლის გაზეთი. ამას გარდა, თემში არსებობს სასოფლო-სამეურნეო სკოლა, თემაღმასკომთან მოწყობილია რადიო-მიმღები აპარატი. კვირა-უქმე დღეებში თემის აღმასკომთან იყრის აურაცხელი გლეხობა თავს, სიამოვნებით უსმენენ რადიოს. არის უარყოფითი მხარეებიც, რაც გამოსასწორებელია. თემში გზა ძლიერ ცუდია. გლეხობა სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას გზების გასაკეთებლად, რომ ამას აღმასკომი მიაქცევდეს ყურადღებას.

ჩუჯგაჯი.

ბახვის თემი, გურია

წინდაწინ უნდა გაეფრთხილებიათ

ამ სოფლის გლეხებს გაშენებული აქვთ ჩაის პლანტაცია, წინად, როდესაც ჩაის არ ყიდულობდნენ ნედლად, გლეხი თავის ხელით სახლში ელღებდა და ახმობდა ჩაის. ახლა კი საქართველოს ჩაის საზოგადოება ყიდულობს ნედლ ჩაის, ბახვის თემში ნედლი ჩაის ღებულობდა სასოფლო-სამეურნეო ბანკი. კვირაში იყო დანიშნული სამი დღე; ამ დანიშნულ დღეებში გლეხებსაც გაქონდათ ჩაი და ფულს ხელზედ ღებულობდენ, რაც დიდ სიხარულს იწვევდა მათში. გლეხისთვის ნედლი ჩაის გაყიდვა გაცილებით მოხერხებული და სასარგებლო იყო. ეხლა ჩაის ყიდვა რაღაც მიზეზით შეაჩერეს. გლეხები უნდა გაეფრთხილებიათ წინდაწინ ამის შესახებ.

ი. გ—ლიძე.

ს. ყანდაურა, სიღ. მ.

მისაბაძი მაგალითი

ყანდაურელმა გლეხმა ალექსი ილიასძე აბესაძემ შეადგინა ამხანაგობა და მოიტანა „ფორძონი"-ს სისტემის ტრაქტორი. ამით ამხანაგობის წევრებიც აკმაყოფილებენ თავის მოთხოვნილებას და ღარიბ გლეხობასაც უხნავენ მიწას მცირე ფასებში. ეს ტრაქტორი მარტო ხვნაზე არ სცდება. მოუდგეს სალეწი მანქანა და ლეწავენ, თიბავენ, მკიან. განზრახულია აქვთ მოაწყონ წისქვილიც. გლეხობა დიდი მადლიერია ალექსი აბესაძის.

იმედია მეზობელი თემის საბჭოს წევრებიც წაბაძავენ ალექსი აბესაძეს მაგალითს.

გ. თამაზაშვილი.

სოფ. კარდანახი, სიღნაღის მაზრა

ამერიკული ვაზი ფუჭდება

1924 წ. კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთი"-მ დაიბრუნა ორი დესეტინა მიწა, რომელშიაც ჩაყარეს ამერიკული ვაზი. დღეს ხსენებული საზოგადოება გაუქმდა, ორი დესეტინა ამერიკული ვაზი დარჩა უპატრონოთ. სახელო—აღმასკომისა მხოლოდ ნამდვილად კი აღმასკომი არ პატრონობს მას, მშვენიერი ამერიკული ვაზი დაჩრდილვით ფუჭდება. აღმასკომი—მიაქციე ყურადღება ამას.

ფანო მათ.

სოფ. კარდანახი, სიღნაღის მაზრა

საეკლესიო დღესასწაულები გადავაგდეთ

ფარან-ქოლობის აღმასკომი ამით აცნობებს საზოგადოებებს, რომ თანახმად ამავე თემის საზოგადო კრების დადგენილებისა, საეკლესიო ფერისცვალება, ძარიაძობა და გიორგობა გაუქმებულია. ვთხოვთ მოქალაქეებს აღნიშნულ დღესასწაულზე მოსვლით თავი არ შეიწუხონ.

რაჭა, სოფ. ონჭევი.

ტყეს გვიწვავენ

სოფ. ონჭევში მდებარეობს ქვედის საზღვარზე ტყე, რომელიც ყოველ სამი წლის განმავლობაში ერთხელ იწვის ხოლმე. რის გამო ხადგურდება ეს ტყე და ეჩრებით უტყდება.

ეხლა ეს ტყე ხომ კერძო საკუთრებას აღარ შეადგენს, სათემო ფონდშია და უნდა მიაქციოს ყურადღება თემ-აღმასკომმა, რათა აღარ იქნეს გაჩანაგებული ხანძარით.

მახვილი.

ს. საგარეჯო-მანავი, თბილისის მაზრა

წყლის საქმე მოუგვარებელია

საგარეჯოს და მანავის თემებში წყლის საქმე მოუგვარებელია. ამის მიზეზი ის არის, რომ ჯერ ერთი წყლის ნაკლებობაა, მეორეც წყლის ადმინისტრაცია ვერ იქცევა კანონიერად, „ზემოთ ყიდიან წყალს და ქვემო-მარილზე რიგ-გარიგზე აძლევენ შეძლებულ გლეხებს.

ამით გლეხობა უკმაყოფილოა. საჭიროა ყურადღება.

გ. გარსიაშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **25 ახალი სახლი.** თელავში წელს აღმასკომმა ააშენა 25 ახალი სახლი.

— **ქოხ-სამკითხველო.** დაბა საჩხერეში გაიხსნა ქოხ-სამკითხველო.

— **გლეხთა სახლი.** ფოთში ახლო მომავალში გაიხსნება გლეხთა სახლი.

— **ტყავის ქარხანა.** ბათომში ამუშავდა ტყავის ქარხანა, რომელიც დახურული იყო შეკეთების გამო.

მუშათა ცხოვრება

დროებით საკონტროლო კომისიები

როგორც ჩანს გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ცნობიდან, პროფსაბჭოს გადაუწყვეტია თბილისის ხუთ წარმოებაში მოაწყოს დროებითი საკონტროლო კომისიები. საკონტროლო კომისიები ჩვენში პირველი ცდაა, რუსეთში კი იგი ნახევარ წელიწადზე მეტია არსებობს და ამ საქმეში გამოცდილება აქვთ თავისთავად ცხადია, რომ ჩვენს საკონტროლო კომისიების დაარსების დროს ვისარგებლებთ რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების გამოცდილებით და თავიდანვე შევეცდებით არ დავუშვათ ის შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა იქ.

დროებით საკონტროლო კომისიების ფაბრიკა-ქარხნებთან დაარსების მიზანია საწარმოო კომისიების მუშაობის გამოცოცხლება, მათთვის ხელის შეწყობა, ფართო მუშათა მასების დაახლოვება წარმოებასთან, მუშათა მასებისთვის ყოველმხრივ გაცნობა წარმოების მდგომარეობისა, და სხ. ეს მიზანი, სადაც საკონტროლო კომისიების მუშაობა სათანადოთ იყო დაყენებული, მათ გაამართლეს.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ყველგან ვერ გაიგეს დროებითი საკონტროლო კომისიების მნიშვნელობა და ამიტომ მიდგომა მათდამი ვერ იყო სწორი. ზოგან საკონტროლო კომისიების არჩევა მოხდა არა სწორად. იგი არჩეულ იქნა საწარმოო კომისიების ვიწრო წრეში: გარდა ამისა პროფკავშირები არ უწევდენ მას სათანადო დახმარებას, ხელმძღვანელობას. ეს და სხვა ამგვარი მიზეზები უსათუოდ ხელს უშლიან დრ. საკონტროლო კომისიების მუშაობას.

ჩვენში საკონტროლო კომისიების შემოღების დროს უნდა სახეში მივიღოთ ეს ნაკლულევანებები და არ უნდა დავუშვათ ისინი. პირველად ყოვლისა საჭიროა რომ ფართოდ გავაცნოთ მუშებს საკონტროლო კომისიების მნიშვნელობა, და დანიშნულება, რომ მუშებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საკონტროლო კომისიების მუშაობას. საჭიროა, რომ კომისიების არჩევა მოხდეს ფართო მუშათა კონფერენციებზე, ან საწარმოო თათბირების გაფართოებულ სხდომებზე.

პროფკავშირებმა რაც შეიძლება მეტი აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საკონტროლო კომისიების არჩევნებში, გაუწიონ მათ ყოველგვარი დახმარება მუშაობის დროს, მისცენ დარიგებები და მითითებები კომისიებს, დაეხმარონ ამა თუ იმ დაბრკოლებების თავიდან ასაშორებლად და სხვა.

ადმინისტრაციაც გაცნობილი უნდა იქნეს დრ. საკონტროლო კომისიების მნიშვნელობას და მათაც დახმარება უნდა გაუწიონ კომისიებს, თავის დროზე მისცენ საჭირო მასალები და სხვა. საჭიროა აგრეთვე რამდენადაც შეიძლება კომისიის წევრნი განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან.

თუ ჩვენ ვისარგებლებთ იმ გამოცდილებით, რაც რუსეთში დრ. საკონტროლო კომისიებს აქვთ—საკონტროლო კომისიები აქ შესძლებენ დიდი სარგებლობის მოტანას ჩვენი წარმოებისათვის, და ამასთანავე აცილებული იქნება ის უარყოფითი მხარეები, რომელთაც იქ ადგილი ჰქონდათ.

ო—ძე.

ეს არის ალბად მომჭირნეობა

ამ ორი კვირის წინად ტრამვაის ელსადგურის წყალის არხის გაწმენდა ქვიშა-ტალახისაგან დაევალა ელსადგურის გამგის მოადგილეს. მან სამუშაოდ მოიწვია ადგილობრივი ზეინკლები, რომლებიც ჯამაგირსა და პრემიას ღებულობდენ თვეში 180—200 მანეთამდე, მაშინ როდესაც ამავე სამუშაოს შესრულება შეეძლოთ უფრო ნაკლებ ჯამაგირიან მუშებსაც—შრომის ბირჟის უმუშევრებს. ამის შესახებ მუშების წინადადება გიორგობიანის მიერ უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

არხის გაწმენდაში გაიღეს 300 მანეთი, არხი კი ისევ სავსეა ტალახით, საიდანაც ბასეინში წყალი ვერ გადადის ნორმალურად და ნასოსები საკმაო წყალს ვერ იღებენ წყლის მადლობელ ქვაბებს. უკანასკნელი კი აფერხებს ნორმალურ მუშაობას. არხს სჭირდება მეორეთ გაწმენდა, რასაც დასჭირდება მეორე 300 მან. ამას ქვია ალბად მომჭირნეობა.

დირექციამ ამ საკითხს ყურადღებით უნდა მოჰკიდოს ხელი.

მუშა ლისი.

კედლის გაზეთი „წითელი შოლტი"

საქონლის სადგურის მტვირთავ მუშების ადგილკომის კულტკომისია უშვებს ორკვირეულ კედლის გაზეთს „წითელი შოლტის" სახელწოდებით. გაზეთში იბეჭდება ჩვენი დარგის გარშემო საჭირბოროტო წერილები, ლექსები და სხვადასხვა წვრიმალი. მუდმივი მუშკორი ყავს 20-მდე.

ჩქარა „წითელ შოლტს" ოთხი წლის თავი შეუსრულდება. ეს მანძილი ცოტა არ არის კედლის გაზეთისათვის. მისი შინაარსიანი და საოხუნჯო წერილები ბევრს წაგვიკითხავს და გვიხელმძღვანელებია მით. კავშირების ყრილობაზე მან მიმდინარე წელს ჯილდოც კი მიიღო.

მუშა ხიდისთაველი

ორთქლმავლები უპატრონოდ არიან

დიდი ხანია არაა, რაც თბილისის საყუდში შემოიღეს ამერიკული სისტემით მსვლელობა. მე არ ვეხები ამ სისტემას, მაგრამ ერთი სავალალოა, რომ ორთქლმავლები რამდენიც დრო მიდის, ფუჭდება და იხრდება. რა არის და ვინ არის ამის მიზეზი? აქ დამნაშავეა ადმინისტრაცია. არც ერთხელ ორთქლმავალზე არავინ აკოლდება, გვერდში არ გაუვლის, არ გაიგებს თუ რა მდგომარეობაშია თვით ორთქლმავალი, იარაღი, ბუტკა, არმატურა, ფარნები, მექანიზმი და სხვა. მარტო ის კი არ კმარა, რომ ორთქლმავალი მსვლელობაშია, ასეთ მდგომარეობაში ის მალე გაფუჭდება.

ვის უნდა მოეთხოვოს მათი მოვლა? ადმინისტრაცია ამბობს, რომ თანაშემწეებმა ერთმანეთს უნდა გადააბარონ სუფთად მოვლილი მანქანა.

თანაშემწე ვალდებულია გამოცხადდეს ორი საათით წინ, პირველად მან უნდა მიიღოს იარაღი, ბეტონები, ფარნები. მერე უნდა მიიღოს მასალა, აქ გჭირდებათ 20 წუთი, მესამე ლამფების დამზადებაში 20 წუთი, დაგრჩა 40 წუთი. ნუ თუ 40 წუთში შესძლებს თანაშემწე ორთქლმავლის გამზადებას და გასინჯვას.

ხშირად სულ უბრალო საქმე გვართმევს 20 და 30 წუთს.

ჩემი პრაქტიკული წინადადება შემდეგია: ყველა ორთქლმავლებზე მოეწყოს საგანგებო ყუთები, რომელშიც უნდა იყოს ჩალაგებული იარაღის მთელი კომპლექტი, ყუთზე უნდა იქნეს აღწერის სია გაკრული. შემდეგ, ლამფები დასუფთავებული და დალაგებული უნდა იქნას. სურსათი მოტანილი და დალაგებული საკმარისად. გარეცხვის დროს იწმინდებოდეს არმატურა, ტენდერი, ქვაბი, რამები და სკატები. შემდეგ, მიმღებმა ჩაიბაროს დასუფთავებული ბუტკა, მექანიზმი, იარაღი და სხვა. ჩვენ მაშინ დავინახავთ, რომ ორთქლმავალზე მომუშავენი არც გზაში განიცდიან გაჭირვებას, არც დაიკარგება იარაღები, არც გაფუჭდება ლამფები, არც ასე ხშირად დაიმტვრევა შუშები. არ ჩაუხარდება მექანიზმი.

უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ ამ მოვალეობას დაიკისრებენ თვით იარაღის მიმღებლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში თანაშემწეები იქამდე გათამამდენ, რომ მექმოსეს ხშირად უხდება მათი მოვალეობის შესრულება.

მუშკორი შავხოფელელი.

გადაჯექი-გადმოჯექი

ცხელა, სიცხით გული მიღონდება.

— წავალ ფუნიკულიორზე,—იქ ეგრილება,—ვთქვი ჩემთვის და ყოფილ ზემელის აფთიაქთან ჩავჯექი გაპიპიპიპინებულ ახალ რონოდაში.

მივიხიხინდით სასახლემდე.

—გადაჯექით წინა რონოდაში.—უცებ მოსმა ვიღაცას რიხიანი ხმა.

— რაშია საქმე?

— რონოდა გაფუჭებულია, უკან უნდა დაბრუნდეს.

— ამ ორ ნაბიჯზე გადაჯდომა რაღაა—იძახის უკმაყოფილოდ ჩემს გვერდზე მჯდომი და გადადის წინა რონოდაში.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი ზედა სადგურიდან გადმოვცქეროდი ქალაქს, ზაჰესის სინათლით გაჩირაღდნებულს.

გრილი ჰაერით დანახულ სურათით ნასიამოვნები ჩამოვდივარ ძირს და ტრამვაის ველი. ოხნაპ არ მილოდნია, მოსრიალდა რონოდა, მაგრამ ვიდრე რონოდაში ჩავჯდებოდით, გვეხრები გამომიძიეს. მივდივართ ბინისკენ. თავისუფლების მოედნამდე ეშმაკი ვერ დამძრავს აწი ადგილიდან.

ჩვენს რონოდას წინ მეორე რონოდა შემოება გუდოვინის ქუჩაზე.

— გადაჯექით მეორე რონოდაში.

კვლავ მომესმა ეს არასასიამოვნო ძახილი.

შეიქნა ყვირილი, მუჯლუგუნების ცემა, გვერდების მტვრევა, აგერ ვიღაც იგინება. მეორე ვიღაც ფარნილებს უკურთხებს.

რამოდენიმე მაგარი მუჯლუგუნების მიღების და სამ-ოთხი გვერდის ძვალის ჩამტვრევის შემდეგ, როგორც იყო, ავბობდი რონოდაზე და დაღლილ-დაქანცული დასაჯდომი ადგილი ვეძებ, მაგრამ ამაოდ, დასაჯდომი კი არა ფეხზე დასადგომი ადგილიც ძლივს ვიპოვნე.

— ეჰეო, რა უბედურებაა, ეს გადაჯექ-გადმოჯექი—წავიბუტბუტე ჩემთვის.

— დალოცვილო, შაურიან ტრამვაიში ჯდები და ისიც კომფორტით გინდა.—მეუბნება ჩემს წინ მჯდომი მგზავრი.

— შაური კი არ არის საქმე, საქმე ის არის, რომ წესიერება უნდა იყოს და გადაჯდომ-გადმოჯდომაში გვერდები არ ამტვრიონ ხალხს —გაბრაზებით ვიღაც.

მართლა და, რატომ არის ასეთი უწესობა. დაიჯერო არ შეიძლება მიმოსვლის მოწესრიგება ისე, რომ გადაჯექი-გადმოჯექი არ დასჭირდეს მგზავრს და გვერდებიც მთლიანი შერჩეს.

მუშა ნიკო ახ—ლი.

სამხატვრო სტუდიის გამოფენა მ. ც. კლუბში

პროფ. მოსე თოიძის სტუდიის გამოფენამ მუშათა ც. კლუბში გამოიწვია დიდი ინტერესი მშრომელ მასებში, დღითი-დღე იზრდებოდა მნახველთა რიცხვი. გვეგონა შრომით დაქანცული მუშები არჩევდენ თვალწარმტაც ბაღში სუფთა ჰაერზე სეირნობას, ვიდრე სიცხით შეხუთულ სალექციო დარბაზში გამოფენილ სურათების გაცნობას, მაგრამ პირიქით — მშრომელთა თხოვნით კიდეც გააგრძელეს სურათების გამოფენა, რომელსაც უსაზღვრო ხალხი დიდი ინტერესით ესწრებოდა.

ეს ჩვენ გვეუბნება, რომ მუშა კულტურულად ვანვითარდა, ამაღლდა.

ამ გამოფენამ საზოგადოთ საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზე, რის გამოც დიდი მადლობის ღირსი არიან კულტგანყოფილება და მ. ც. კლუბის პ.-მ. კულტმუშაკები.

მუშკორი—ლადო.

ასეთ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს

ტყის მრეწველობის ტრესტის სვანეთის რაიონში მუშაობენ მრავალი მუშები, რომელთაც მუშაობა უხდებათ მთებზე, მიუწვდომელ ადგილებში, სადაც არ არის დაცული შრომის პირობები. ამაზე უკმაყოფილებას აცხადებენ ქ. ზუგდიდში ჩამოსვლისას მუშები, მაგრამ მდგომარეობა დღემდის რჩება უცვლელი. უარეს უკმაყოფილებას იწვევს მუშებში ის მდგომარეობა, რომ მათ ნამუშევარი ხელფასი არ ეძლევათ თავის დროზე. მომუშავეთა შორის ხის მჭრელებში, მეტივეებში და მეჯორგეებში ურევია საკმაო რიცხვი სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ მუშებისა, რომელნიც ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ბრუნდებიან თავიანთ სახლში; ზუგდიდში ჩამოსვლის დროს მათ არ ეძლევათ კუთვნილი ხელფასი და უხდებათ გაჩერება კვირაობით ღამის თევა ცის ქვეშ და მასთან ზედმეტი ხარჯების გაწევა.

ცხოვრების ცუდი პირობები მათში იწვევს ავადმყოფობას. ეს ხდება იმ დროს, როდესაც ზუგდიდიდან იგზავნება აურაცხელი მასალები სხვადასხვა ადგილებში. ადგილობრივად კი არ არის საშუალება მუშების დასაკმაყოფილებლად თავის დროზე. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება სამმართველოს მიერ, რათა მუშების დასარიგებელი ფული იგზავნებოდეს თავის დროზე და მუშების მიმართ ასეთ პირობების შექმნას მოეღოს ბოლო, გარდა ამისა, საჭიროა მათი მუშაობის შრომის პირობების დაცვა.

კამრად.

ტრამვაის დირექტორის საყურადღებოდ

ტრამვაის სახელოსნოს გვერდზე არსებობს რონოდების ფარეხები. თითო ფარეხში დაახლოვებით ჩერდება 55 რონოდა. მთელი დღის ნამუშევრის რონოდები უზომოდ გახურებული არიან და საშინელ სიცხეს აყენებენ დახურულ ფარეხებში, სიცხესთან ერთად ზედ ერთვის რონოდების დამგველების მიერ დაყენებული მტვერი და ვინც ამ დროს აქ მუშაობენ რიგში ამ სიცხის ბუღში და მტვერში ვარდებიან ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში. კარგი იქნებოდა, რომ ფარეხის ბოლოში დიდრონ ფანჯრებს გააკეთებდენ და ამ სიცხეში გასწმინდონ ჰაერი, რომ მუშას შეეძლოს სიგრილით მუშაობა.

ტრამვაელი დურგალი.

— **მუშათა სახლებში.** მუშათა სახლები უკანასკნელად თანდათან მშვენიერდება და მასში მცხოვრებნიც ეჩვევიან სისუფთავის დაცვას.

თუ კიდევაა დარჩენილი ზოგიერთები, რომლებიც გულგრილობენ და ვერ იქცევიან შესაფერისად, ასეთებს ჩვენ ვაიძულებთ წეს რიგი დაიცვან, და ისინიც ემორჩილებიან საერთო წესებს.

თითეულმა ჩვენთაგანმაც ხელი უნდა შეუწყონ იმ საქმეს. არ არის შემოღობილი თუნუქის დიდი საფურთხებელი. ამას გარდა კიდევ ბევრი მოწყობილობები აკლია ჩვენს მუშათა სახლებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სისუფთავის დაცვას, რაც მუშათა ჯანმრთელობის საქმეს გამოადგება.

სახლკორებმა უნდა უსათუოდ მიაქციონ ამას ყურადღება.

დონ-ლანი.

მუშათა ქრონიკა

— **კომისიის გამოყოფა.** ქიათურის საბინაო აიჯაერო კოოპერატივის მუშაობის გამოსაკვლევად შორაპნის სამაზრო პროფბიურომ გამოჰყო კომისია.

— **შრომის სასამართლოები.** ქუთაისის პროფბიუროს პრეზიდიუმმა დაადგინა ეთხოვოს შრომის სასამართლოს, რათა პირველ რიგში ირჩეოდეს შრომის ხელფასის საქმეები და აგრეთვე შრომის ინსპექციის და კავშირების მიერ გადმოგზავნილი საქმეები.

— **ხარჯთ-აღრიცხვების დამტკიცება.** საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა და დაამტკიცა სამპროფბიუროს და რესპუბლიკათა პროფსაბჭოების 1927 წ. მეორე ნახევრის ხარჯთ-აღრიცხვები.

— **ბიბლიოთეკის გადაცემა.** ცენტრალურ მუშათა კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა გადაეცა ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებას, რომელსაც დაევალა გაუწიოს ყოველგვარი ხელმძღვანელობა.

წითელ ჯარში

ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2-ე ქართულ მსროლელ დივიზიის მე-6-ე ქართულ მსროლელ ლეგიონისაგან

ცხადდება მე-6-ე ქართულ მსროლელ ლეგიონზე მიწერილ მეუფროსეთა შემადგენლობის და 1901, 1902, 1903 წ. წ. დაბადებულ წ.-მოლაშქრეთა საყურადღებოთ, რომ ა.-წ. 1-ლ სექტემბერს იწყება საერთო სამოსწავლო შეკრება, რისთვისაც ევალებათ გამოცხადდენ ლეგიონის შტაბში (ავლაბარი კახეთის ქ. 16).

უფ-პოლიტშემადგენლობა 18 აგვისტოს 8 საათზე, ადმ-სამეურ-მედ-ვეტ. 29 აგვისტოს 8 საათზე. წ.-მოლაშქრენი ქ. თბილისში და მის მიდამოებში მცხოვრებნი 29 აგვისტოს 7 საათზე. პროვინციებში მცხოვრებნი წ.-მოლაშქრენი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ [illegible] 30 აგვისტოს 7 საათზე.

შეკრებიდან მორიდებულნი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

ლეგმეთაური **ბრიგოლია**
სამხკომი **ელიაშვილი.**
შტაბის უფროსი **ცინცაძე.**

ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2-ე ქ. მ. დივიზიის მე-2-ე საარტილერიო ლეგიონი

ამით აცხადებს ცვალებად მეთაურთა საყურადღებოთ, რომლებიც მიწერილნი არიან ზემოაღნიშნულ ლეგიონზე რომ, ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ საერთო შეკრების ჩასატარებლად ლეგიონის შტაბში. ქ. თბილისში სამხედრო სკოლების ბანაკში, შემდეგი წესით:

1. მეთაურთა და პოლიტ - მეთაურთა შემადგენლობა, 18 აგვისტოს 1927 წ. დილის 8 ს. 2. სამედიცინო, საბეითლო, ადმინისტრატიული და პოლიტ - საგანმანათლებლო შემადგენლობა ა.-წ. 29 აგვისტოს დილის 8 საათზე.

შენიშვნა: საარტილერიო პარკის მეთაურთა შემადგენლობის გამოცხადების ვადა გამოცხადებული იქნება დამატებით.

წ.-არმიელთა შემადგენლობა იწვევა ლეგიონის ყველა ერთეულებისათვის დაბ. 1901, 1902 და 1903 წ. წ. შემდეგი წესით:

1. პარტიული წ.-არმიელები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ა.-წ. 28 აგვისტოს დილის 8 საათზე ლეგიონის შტაბში, ქ. თბილისში, სამხედრო სკოლების ბანაკში.
2. მოსამსახურეთა შემადგენლობა გამოცხადდება დივიზიონების მეთაურების მიერ აღნიშნულ ცალკე ვადებში.
3. უნცროს მეთაურთა და დანარჩენ წ.-არმიელთა შემადგენლობა ვალდებულია გამოცხადდენ მიწერილნი ქ. თბილისის ფარგლებში აღნიშნულ ლეგიონში ა.-წ. 1-ელ სექტემბერს დილის 6 საათზე, მიწერილნი ქ. ქუთაისში და მის მაზრებში იკრიბებიან თავ-თავიანთ რაიონებში ამ წლის 30 აგვისტოს.
4. არტ-პარკის წ.-არმიელთა გამოცხადების ვადა გამოცხადებული იქნება დამატებით.

ლეგ-უფროსი **ანთაძე.**
სამხკომი **ბერიძე.**
შტაბის უფროსი **ქავრიშვილი.**

ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2-ე ქართ. მსროლელ დივიზიის პოლიტგანყოფილება

წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ხსენებულ პოლიტგანყოფილებაში (ელბაქიძის დაღმართი 12) საერთო ტერშეკრებაში სამსახურის მოსახდელად:

ა.-წ. 18 აგვისტოს დილის 8 საათზე 1) ბერაძე ბენედიკტ გლახუას ძე, 2) ბახტაძე ვასილი ნიკოლოზის ძე, 3) სირაძე გრიგორ ერმილეს ძე, 4) ბახტაძე მ. მ., 5) ტყაბლაძე პოლიკარპ მეფოდეს ძე, 6) ბალათურია პარმენ გიორგის ძე; **ა.-წ. 28 აგვისტოს დილის 8 საათზე:** 1) ელისაბედაშვილი იოსებ ივანეს ძე, 2) თალაქვაძე სევასტი კარასიმეს ძე, 3) ენუქიძე ნიკიფორ ბესარიონის ძე, 4) ბახტაძე იპოლიტ ლუკას ძე, 5) მჭედლიშვილი პავლე ალექსანდრეს ძე, 6) მარგალიტაძე შალვა ანტონის ძე, 7) მარტიროსოვი, 8) დათუაშვილი ივანე ვლადიმერის ძე, 9) უბირია ევგენი ვასილის ძე, 10) ნუცუბიძე ვლადიმერ მიხეილის ძე, 11) თარხანოვი გიორგი პავლეს ძე, 12) ნიჟარაძე კალისტრატე ნესტორის ძე.

პოლიტგანყოფილების დრ. უფროსი **ადამაძე.**

საბანაკო ცხოვრება

(№ ქართ. მსრ. დივიზია)

შესრულდა ორი თვე, რაც დივიზიის ნაწილები გამოვიდენ ბანაკად და შეუდგენ საზაფხულო სწავლებას.

წელს საბანაკო ცხოვრება მიმდინარეობს გაცილებით უკეთეს პირობებში, ვიდრე გასულ წლებში. ყველა ნაწილს აქვს კარგათ მოწყობილი საზაფხულო ბინები და უზრუნველყოფილი არიან ყველა საჭირო მასალით და საგნებით.

წითელარმიელნიც იჩენენ დიდ აქტიობას და სცდილობენ საზაფხულო პერიოდი გამოიყენონ საბრძოლო მომზადებისათვის.

ამთავად მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს წითელარმიელთა გაწვრთნას და ისეთ მებრძოლის გამოშვებას, რომელსაც შეეძლება თავისუფალი მოქმედება ყველა პირობებში.

ორი თვის განმავლობაში ნაწილებმა შესძლეს ამ ამოცანის დაძლევა.

„ორი დღის წინათ ჩვენი ათასეული გავიდა ველად ტაქტიკური მეცადინეობის ჩასატარებლად. დავალებული გვქონდა თავდაცვის წარმოება. მეცადინეობას დიდი ინტერესით შეხვდენ არმიელნი, იგი სწარმოებდა ახალი წესდების მიხედვით დაიწყო ბრძოლა, „მტერი" გადმოვიდა შეტევაზე, ჩვენი საყარაულო ნაწილები და გუშაგები წარმატებით ასრულებდნენ დავალებებს. მოძრაობა მიუხედავათ იმისა, რომ იგი სწარმოებდა ახალი წესით პირველად, ჩატარდა მწყობრად"—იწერება № ლეგიონის სამხკორი ამხ. აბასიძე.

დივიზიის ნაწილებს აქვთ დიდი მიღწევები საბრძოლო მომზადებაში.

რაც შეეხება სასროლო საქმეს, აქაც წითელარმიელებმა გამოიჩინეს დიდი უნარი, რაც აიხსნება იმით რომ ზამთრის განმავლობაში მათ მიერ კარგათ იყო შეთვისებული სასროლო საქმის წესები და კარგათ იყო შესწავლილი შაშხანა.

„ჩვენი ლეგიონი შეუდგა მცირე მანევრების ჩატარებას. მეცადინეობა ჯერ-ჯერობით მიმდინარეობს ნაყოფიერად. მოძრაობის დროს წითელარმიელნი სასტიკად იცავენ დისციპლინას და სამხედრო საიდუმლოებას. გლეხებთან ყველგან კარგ დამოკიდებულებაში არიან. წითელარმიელნი საერთოდ გულმოდგინეთ ეკიდებიან მეცადინეობას"—ასე აფასებს № ლეგ. სკამხკორი ამხ. გ—ლი საზაფხულო მეცადინეობის წარმოებას და წითელარმიელთა მოქმედებას.

დივიზიის სპეციალური ნაწილების მიერ წარმოებულ იქნა დიდი მუშაობა წითელარმიელთა მოსამზადებლათ. მათი სამოსწავლო გეგმა დიდათ განსხვავდება სხვა ნაწილებისაგან; მათ მიერ შეთვისებულ უნდა იქნეს მრავალი სპეციალური საგნები, რომელნიც მოითხოვენ დაკვირვებას, გამჭრიახობას და უნარიანობას.

ამხ. ლ. ა—ე თავის წერილში ეხება № მესანგრე ასეულის საზაფხულო სწავლებას და ამბობს: „ჩვენი ნაწილის მუშაობა ნაყოფიერია. ხელმძღვანელნი სცდილობენ ყოველნაირ საქმის შესრულების დროს თვით წითელარმიელებს მიაღებინონ აქტიური მონაწილეობა, მაგ. როგორიც არის სასანგრე, საგზაო და სახიდე საქმე. ამ რამოდენიმე დღის წინათ ნაწილმა ააგო ხიდი მდინარეზე. ხიდი სრულიად ვარგისი გამოდგა. ასეული კარგათ არის მომზადებული სპეციალურ საგნებში, წითელი მოლაშქრენი მზად არიან საჭირო დროს შეგნებულათ გამოიყენონ ის საგნები, რომელნიც შეითვისეს წითელ ყაზარმაში".

საზაფხულო სწავლება წითელი ჯარის ნაწილებში მიმდინარეობს წარმატებით, წითელი არმიელნი იწვრთნებიან ბრძოლისათვის და, თუ საჭირო იქნება, სახელოვნად გამოიყენებენ თავის ცოდნას და გამოცდილებას.

მტრედების გამოფენა

საფოსტო და კერძო პირთა მტრედების და მო[illegible] სამტრედო სადგურების გამოფენამ უდიდესი ყურადღება და ინტერესი გამოიწვია მემტრედეობის მოყვარულთა და გამოფენაზე დამსწრეთა შორის.

გახსნის დღეს გამოფენა დაათვალიერა 500 კაცმა და ჩაეწერა ხუთი ახალი მონაწილე, უმთავრესად მუშები.

გამოფენის გახსნაზე დამსწრეებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ მემტრედეობის ყველა მოყვარულნი შეკავშირდენ თავდაცვა - ავიაქიმის ხელის შემწყობის საზოგადოების სპეციალურ სამტრედო სექციაში, ვინაიდან ამით მიღწეულ იქნება გამოცდილების ურთიერთისადმი გაზიარება და დახმარება მტრედების საუკეთესო ჯიშების აღზრდისა და მათი გაწვრთნის მიზნით.

მემტრედეობის მოყვარულებმა განაცხადეს, რომ არ არის საშუალება საფოსტო მტრედების მოშენებისათვის, ვინაიდან კარგი ჯიშიანი მტრედები არ იშოვება. ამიტომ, როგორც კი მოეწყობა სამტრედო სექცია თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებასთან, საზოგადოება მაშინვე შეუდგება ზრუნვას, რომ მემტრედეობის მოყვარულებს მიაწოდოს საფოსტო მტრედები და აღმოუჩინოს მათ საინსტრუქციო დახმარება მტრედების გაწვრთნის საქმეში.

ვინაიდან გამოფენა დიდ ინტერესს იწვევს, განზრახულია დღეს, 14 აგვისტოს გამოფენაზე გატარებულ იქნეს მთელი რიგი ექსკურსიები. გამოფენა ამ დღეს ღია იქნება დილის 10 საათიდან საღამოს 4 საათამდე.

გამოფენასთან სწარმოებს მემტრედეობის მოყვარულთა ჩაწერა თავდაცვა - ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების წევრებად და მათგან, გამოფენის დახურვის შემდეგ შესდგება სამტრედო სექცია თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებასთან.

[illegible]ნიერება და ტეხნიკა

[illegible] აზერბეიჯანი

გენკეს ექსპედიცია

(წერილი ბაქოდან)

მარქსის[illegible]
ოდ არის გარკვეულ[illegible]
მის პირობებში მიწათმოქ-
ლებლად უნდა ჩამორჩებო[illegible]
ლობას, რომ ის უნდა ვი[illegible]
ბევრად უფრო [illegible]ნელი ტემპით ასეულ
მრეწველობა. მიუხედავათ გზას. აზერ-
მა კაპიტალისტურმა წარმოებრივ იქვე
გზა სამიწადმოქმედო წ[illegible] დასახლებულ
როშიაც. შეუძლებელია [illegible]ზიდენ ახლად
სასოფლო მეურნეობის [illegible]ომანეთს ხალ-
ლითად, წარსულ საუკუნე…
სოფლო მეურნეობასთან. [illegible]ულ ხალხე-
გარდაიქმნა ქალაქის ინდუ[illegible] მიდ არიან
ლენით, სასოფლო-სამეურ[illegible]ების დროს.
და ქიმიურ მრეწველობის [illegible]ლი სახალ-
[illegible]ით, რომ ძნელ[illegible] ნაშთებში,
რომლებიც [illegible] ათასი წლის
[illegible] და რომის მწერლების მიერ.
[illegible]ვის ნაშთებმა კი მოაღწია ჩვენს დრომდე—
[illegible] ხნის წინად გამქრალ ენების და ხალხების
პატარა კუნძულების სახით. ეს კუნძულები აქა-
იქ გაფანტულია თურქების მთლიან მასაში, რომ-
ლებიც წარმოადგენენ აზერბეიჯანის მოსახლეო-
ბის აბსოლიუტურ უმრავლესობას.. ასეთებია:
[illegible]ები, ტალიშები, ტატები (რომლებიც თან-
[illegible]ისპობიან), მათი მონათესავე მთიელი
[illegible]ები, ინგილოები, ლეკები, ლაკები, ზოკე
[illegible]ბი პატარა ხალხი — უდინები, რომლებ
[illegible] სოფელი უჭირავთ, კილიტელები — გა
[illegible]ბი ირანული ტომი, და, დასასრულ, უკ-
[illegible]თებით ეკზოტიური თითოსოფლიანი ტომ-
— ჯეკლები, ბუდუხები, კრიზელები,
[illegible]ელები და ხინალუგელები, რომლებიც
[illegible] დრომდე უცვლელად თავის მკვლი-
[illegible]რაზარი, ნაჩქარევი გამოკვლევები და ნაწ-
ნაწყვეტი ცნობები უუბის მაზრის ამ ერთ-
[illegible]იან ტომების შესახებ იძლეოდენ სხვადა-
[illegible]ირ და ნაკლებად სწორ შედეგებს. მხოლ-
[illegible] ახლა პროფესორმა გენკემ, რომელიც
[illegible]ხავნილი იყო ამ ადგილებში სამეცნიერო
[illegible]დემიის და აზერბეიჯანის შემსწავლელ სა-
[illegible]გადოების მიერ, მოახერხა საკმაო მასალის
[illegible]რება. ეს მასალა ნათელს ჰფენს აზერბეიჯა-
[illegible]არსულის და ხინამდვილის ამ ბნელ ხუ-
[illegible] სოფელი (ასეთი სოფლები ცოტა მეტია
[illegible] ლაპარაკობს ორ სრულიად სხვადასხვა
[illegible]ერთ ენაზე ლაპარაკობენ ხინალუგში, მე-
[illegible]კი ყველა დანარჩენი სოფლები, მხოლ-
[illegible]განსხვავებული კილოკავებით, მაგრამ ეს
[illegible] იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათ
[illegible]ერთმანეთის ესმით. ამ ენის უმთავრესი წარმო-
მადგენელია სოფელ ხაფუთლის კილოკავი, რის
გამო ამ ენას შეიძლება ეწოდოს ხაფუთლური.
თითონ კი ისინი თავის ენას უწოდებენ „მერე-
თი"-ს ენას. უუბის მაზრის სოფლებს გარდა
ხაფუთლელებს უკავიათ კიდევ 21 სოფელი
გეოქჩაის და სხვა მაზრებში. ამრიგად მათი გავ-
რცელების რაიონი ვრცელდება საქართველოს
საზღვრებამდე.
განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს
პროფ. გენკეს მიერ მოხდენილი შედარება ამ
[illegible] ადგილობრივ სახელ „ჭერეთი"-სა ქარ-
[illegible]მატიანეთაგან მოხსენებულ მე-7 საუკ.
[illegible] ჭერეთთან, რომლის მთავარი
[illegible] (ანუ ხარანთი) დაანგრე-
ქიმიურ [illegible] პროფესორ გენკეს
შეუძლია მოაწიოს, რომ შემთხვევი
რე მოგვცეა. [illegible] რაიონის სახელწოდ-
მოება ახალ ბ[illegible]
შლის სასოფლ[illegible] რომლებსაც ოხსენე-
ნორვეგიაში, მაგა[illegible], ხოვლიენ ამა-
[illegible] და ადგილი შეხამ-

—წარმოადგენენ იმ ძველი ალბანელების ნაშთს, რომლებსაც ამდენხანს და. ასე უნაყოფოდ ეძებენ აზერბეიჯანში…

თუ ხაფუთლური ენა არ წარმოადგენს ერთი სოფლის ენას, არამედ საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული, სამაგიეროდ ხინალუგის ენა თავის სოფელს გარეშე არ ვრცელდება. ეს სრულიად თავისებური ენაა, რომელსაც აქვს ისეთი არქაული ფორმები, რომლებიც აღარ მოიპოვება არც ერთ სხვა მთიულ ენაში. ამ ენას აქვს სხვა დაღესტნურ ენების ყველა ტიპიური ფორმები. ფონეტიურად ის ეთანაბრება ლეკურ, რუთულურ, თაბასარანულ და უდინურ ენებს და ხდება ხიდს ამ უკანასკნელ ენებსა და დაღესტნის ენების შორის. ყოველ მოქმედება-ზმნას ამ ენაში აქვს განსაზღვრული დანიშნულება: განსაკუთრებული ზმნა გამოხატავს ცნებას—„ზევით წასვლას", „ქვევით წასვლას" და სხვა. თურქულ ენას ჰქონია მასზე უმთავრესად გრამატიკული გავლენა. ხინალუგის ენასთან უახლოესია გამოუცნობ უდინების ენა.

ხინალუგი

7000 ფუტის სიმაღლეზე, შახ-დაგთან, უუბის მაზრაში მდებარეობს სრულიად მიუვალი მთიანი სოფელი. თურქები ამ სოფელს უწოდებენ ხინალუგს. ადგილობრივი მცხოვრებნი კი—„ქეთიშ" (რაც ნიშნავს—„ჩვენი", „ჩვენებური").

წელიწადში ოთხი თვის განმავლობაში, ნოემბრიდან თებერვლამდე, ეს სოფელი სრულებით მოწყვეტილია ქვეყნიერებას: მთის საცალფეხო ბილიკები, რომლებიც მიდიან ამ სოფლისკენ, იფარება თოვლით და ხდება გაუვალი. წარსული წლის ზამთარში აქ დაიღუპა რამოდენიმე კოოპერატორი, რომლებმაც სცადეს სამაზრო ქალაქში გადმოსვლა. მხოლოდ სამი თვის შემდეგ იპოვეს ისინი გაყინული თავის ცხენებთან ერთად. მაგრამ დანარჩენ დროსაც ამ მივიწყებულ კუთხეში შესვლა შეიძლება მხოლოდ საცალფეხო ბილიკით, რომელიც მიჰყვება თავბრუდამხვევი სიღრმის უფსკრულებს; ამ ბილიკს ზევიდან დაჰყურებს უზარმაზარი კლდეები. ზამთარში ხინალუგში იცის მაგარი ყინვა, თოვლიანი ქარიშხალი და ნამქერები, ზაფხულში კი, განსაკუთრებით სადამოობით და ივლისში, ტემპერატურა ეცემა ნოლამდე და უფრო დაბლაც; უახლოეს მაღლობებზე მოდის და რჩება თოვლი… ხინალუგიდან რამოდენიმე ათეულ ვერსის დაშორებით კი მეფობს თითქმის მუდმივი ზაფხული.

ხინალუგში 280-მდე კომლია, 2000-მდე მცხოვრები. მამაკაცები ლაპარაკობენ თურქულად, ხშირად ლეკურადაც, თავის საკუთარ ენაში კი ხშირად ხმარობენ თურქულ სიტყვებს და ფრაზებს.

თავის სოფელში ისინი მუდამ ლაპარაკობენ მშობლიურ ხინალუგურ ენაზე. სხვა, უკვე მომაკვდავ ენებთან განსხვავებით, ხინალუგური ენა —პირველი ენაა, რომელსაც ხმარობენ ბავშვები, მაშინ, როდესაც მომაკვდავ ენათა ახალგაზრდობამ უკვე აღარ იცის მშობლიური ენა და უთმობს მას მოხუცებს, რომელთა სიკვდილის შემდეგ ენაც უნდა გაქრეს. ხინალუგის ენას, მაშასადამე არა აქვს გადაშენების ნიშნები.

საინტერესოა, რომ ხინალუგელები თავის მეზობლებს, რომლებიც სცხოვრობენ მათზე ბევრად უფრო დაბლა, უწოდებენ „მთიელებს"; თითონ კი თავს არ სთვლიან მთიელებად. აშკარაა, რომ ეს ჩვეულება შენახულია ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ისინი იყვნენ ბარის მცხოვრებნი.

სოფლის მიუვალობა შეუძლებლად ხდის იქ რაიმე საზოგადოებრივ მუშაობას; სკოლა უკვე 4 წელიწადია არსებობს, მაგრამ მასწავლებლები, გასამკეცებულ ხელფასის მიუხედავად, მაინც ვერ ხძლებენ იქ რამოდენიმე თვეზე მეტს. ამიტომ სკოლა მუდამ ცარიელია. ამავე მიზეზის გამო იქ არ არსებობს არც საექიმო დახმარება, კოოპერატივის მოწყობის ცდა კი დასრულდა კოოპერატორების ტრაგიკული დაღუპვით, ისინი, როგორც ზევით ვთქვით, გაიყინენ ხინალუგიდან სამაზრო ქალაქისაკენ მიმოსვლისას.

მოსახლეობაში არავინ არ იცის წერა-კითხვა: 2000 მცხოვრებზე არის მხოლოდ ერთი წერა-კითხვის მცოდნე — საბჭოს მდივანი და სამიც არის წერაკითხვის ნახევრად მცოდნე, მათ შორის ადგილობრივი მოლა.

მოსახლეობა მისდევს მეჯოგეობას, ზაფხულის ბოლოს ისინი მიერეკებიან ცხვრის ფარას სალიანის მაზრაში, სადაც აძოვებენ მას ყიშლაყებზე (საზამთრო საძოვრებზე). მსხვილფეხა საქონელი ქალებთან და მოხუცებთან ერთად რჩება საზამთრო ხინალუგში, რძის პროდუქტებს ისინი ჰყიდიან უახლოეს სოფლებში და ქალაქში: სამაგიეროდ ყიდულობენ მანუფაქტურას, ჩაის, შაქარს და ფქვილს. არის მიწადმოქმედების ჩანასახებიც. ხინალუგში ითესება ერთგვარი მწარე ხორბალი, რომელსაც ხინალუგელები სანახევროდ ურევენ მოტანილ ფქვილს და აცხობენ თავის „ფშე"-ს, ეს ნახევრად მწარე ნამცხვარი, რომელიც წარმოადგენს ხინალუგელების მთავარ საჭმელს: „ფშეს" გარდა ჰყიდენ აგრეთვე რძის პროდუქტებს, იშვიათად კვარცხს და სვამენ წარმოუდგენლად ბევრ ჩაის.

რაიმე ხელობა ხინალუგელებმა არ იციან, აქ ამ 10 წლის წინად იყო ერთი მჭედელი, მაგრამ მას შემდეგ სხვა აღარ ყოფილა. 3-4 ქალი მისდევს ხალიჩების კეთებას მაგრამ ეს ხალიჩები მხოლოდ შინაური მსგავსებაა ხალიჩებისა.

მამაკაცები საქონლის გარეკის გარდა არაფერს არ აკეთებენ: ზაფხულს ატარებენ უქმად ყოფნაში: ჩაის სმა, რაღაც შაშკის მსგავსი თამაში, სახლების თავზე წოლა და ერთმანეთის გადაძახ - გადმოძახება, — აი მათი საქმიანობა. ხინალუგს აქვს განსაკუთრებული აკუსტიური თვისებები: დიდი სოფლის ერთ კიდეში ნათქვამი სიტყვა კარგად ისმის მეორე მხარეზე. მთელი მძიმე სამუშაო დაკისრებული აქვს ხინალუგელ ქალს, რომელიც ვერ იტანს თავის მძიმე ხვედრს და მალე კვდება. ამით არის გამოწვეული ქალების ნაკლებობა და ხინალუგელები იძულებული არიან ეძიონ ცოლები მეზობელ სოფლებში. ახლა ხინალუგში ბევრია ლეკის და თურქის ქალები, 4 ხოშხის ქალი და ერთი რუსი ციმბირელი ქალი, ქალები ისეთივე ტანსაცმელს ატარებენ, როგორც მამაკაცები, ჩადრი არ აქვთ, მაგრამ უცხოლს ახლოს არ იკარებენ, ამიტომ პროფ. გენკემ ვერ მოახერხა მათი ახლოს ნახვა.

გარეშე კუთხეებიდან მოყვანილ ქალთა დიდი რაოდენობით აიხსნება ის გარემოება, რომ ხინალუგელები არიან სხვადასხვა ტიპის—მათ შორის შეხვდებით შავგვრემანებსაც და ქერებსაც, ახოვნებსაც და დაბლებსაც.

სოფელი განიყოფება 4 უბნად. თითოეულ ამ უბანს აქვს სასაფლაო. ამ უბნებს აქვს რამოდენიმედ განსხვავებული კილოკავი. მეჩეთები არის 8, მათ შორის მთავარია „სალურხმენე". ამ მეჩეთის კარებში არჭობენ ლურსმნებს კბილის ტკივილის „დასაწყნარებლად" და სხვა. სოფლიდან ცოტა მოშორებით არის 8 მიტოვებული სასაფლაო და მთელი მიდამო სავსეა ქვის ყუთებში მოთავსებულ კაცის ძვლებით. ეს ყუთები ჩნდებიან ყოველ მცირე ნიაღვრის და მეწყერის დროს.

ხინალუგის მთელი ისტორიული წარმოდგენა აღარ მიდის ხუთ თაობას ზევით, მეჩეთის უძველესი წარწერა კი ეკუთვნის 1802 წელს.

პროფ. გენკეს მიერ შეკრებილი მასალები შესწავლილი იქნება აზერბეიჯანის შემსწავლელ საზოგადოების დიდი ექსპედიციის მიერ, რომელშიაც პროფ. გენკეს გარდა მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა სპეციალისტები. ექსპედიცია გამოიკვლევს ხინალუგელების ყიშლაყებს სალიანის მაზრაში და თვით სოფელ ხინალუგსაც.

ა. დალ.

ფარაონი—ერეტიკოსი*)

1924 წ. ნოემბერში, როცა ეგვიპტეში კლიმატიური პირობების გამო იწყება გათხრების სეზონი, დიდმა ექსპედიციამ ჩემი ხელმძღვანელობით დასტოვა კაირო. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნილოსის მიდამომ 100 მილის (175 კილომეტრის) მანძილზე კაირიდან, ელ-ამარნის ახლო.

იქ, სადაც ნილოსი ქმნის მარყუჟს, მდინარის მუდმივ ნაპირსა და სილის გორაკებს შორის, რომლებიც მიჰყვებიან ნილოსის მიდამოს „დიდ უდაბნოსაკენ", ჩრდილოეთ-მხარეში, ვიპოვნეთ დიდი გორაკი, აშკარად ხელოვნური წარმოშობის. ასეთ გორაკები ჩნდებიან ჩვეულებრივ უძველეს ნაშენობათა გარშემო, რომლებიც ათასი წლების განმავლობაში სილისა და თიხის ფენებით იფარებოდენ.

გადავწყვიტეთ შევუდგომოდით გათხრებს. ჩვენს განკარგულებაში იყო 250 არაბი, შეიარაღებული წერაქვებით, ნიჩბებით და კალათებით. ეგვიპტის ძეგლების გათხრა არ შეიძლება სამანქანო, ბურღვის წესით, რადგან შესაძლებელია დაზიანდენ შენობათა კედლები.

გათხრა სწარმოებდა 1925 წ. აპრილამდი, როცა ზაფხულის სიცხის დაწყებამ შევგაწყვეტინა მუშაობა, რომელიც განვაახლეთ იმავე წლის ნოემბერში.

ჩვენ ბედი გვწყალობდა და აღმოვაჩინეთ ახალგაზრდა ფარაონ ტუტ-ანხ-ამონის სიმამრის ეხნატონის „ჩრდილოეთის სასახლე".

ტუტ-ანხ-ამონს, როგორც წარწერებიდან გამოირკვა, ცოლათ ჰყოლებია ეხნატონის მესამე ქალი. მისი პირველი ქალიშვილის ქმარი ყოფილა ფარაონი სეკერა, რომელიც მეფობდა ხანმოკლე დროის განმავლობაში, ეხნატონის შემდეგ, ტუტ-ანხ-ამონის გამეფებამდე.

ეხნატონი, სეკერა და ტუტ-ანხ-ამონი სამივენი ეკუთვნოდენ მე-18-ე დინასტიას, რომლის მეფობა (15—14-ე საუკუნე) ითვლება ოქროს ხანად ეგვიპტის ისტორიაში. ეხნატონის მამამ—ამენოტეპ მესამემ გაამშვენიერა ეგვიპტის სატახტო ქალაქი ფივი. მეთვრამეტე დინასტიის ფარაონების დროს დაიწყო ეგვიპტის იმპერიალიზმის ფართო ექსპანსია. დაპყრობილ იქნა სუდანი და სირია. ნაოსნობა ყვაოდა. ეგვიპტის ხომალდები შედიოდენ ხმელთა-შუა ზღვისა და მისი კუნძულების ნავთსადგურებში. ამ ეპოქიდან დარჩა ბევრი დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ მათემატიკური ცოდნის განვითარებაც, უმთავრესად მეთვრამეტე დინასტიის პერიოდს უნდა მიეწეროს.

„ჩრდილოეთის სასახლე" არ ყოფილა ფარაონის ოფიციალური რეზიდენცია, არამედ კერძო ბინა. ოფიციალურ სასახლეს კი წარმოადგენდა დიდი შენობა ქალაქის ცენტრში, ღმერთ ატონის დიდი ტაძრის ახლო. ჩვენ შევსძელით სავსებით აღგვედგინა ჩრდილოეთ სასახლის გეგმა. მას გარს ერტყა აგურის კედელი, რომლის ჭიშკარი ნილოსისაკენ გამოდიოდა. ჭიშკარიდან შედიოდნენ პირველ ეზოში, რომელსაც მეორე, ძირა-ეზოდან ყოფდა კედელი, ორი ფანჯარა—ნიში, სადაც ფარაონი ჩნდებოდა ზეიმის დროს.

მეორე ეზოს შუა გულში იყო დიდი, ხეებით შემოვლებული აუზი, მუდამ სავსე წყლით, საიდანაც მიწის ქვეშ გაყვანილი მილებით წყალს ღებდენ სასახლეში. ფარაონის პირად ოთახებს, მისი ჰარამხანის, მისაღები დარბაზების და სხვ. შენობებს გარდა, საინტერესოა ატონის (მზის ღმერთი) სამლოცველო, რომელიც მდებარეობს მარცხნივ პირველი სასახლიდან. ოთახები, რომლებშიც ცხოვრობდენ ფარაონის ჰარამხანის ქალები, წააგავენ ნამდვილ გალიებს.

ახლა, როცა სასახლე სრულიად განთავისუფლებულია სილიდან და მიწიდან, მისი კედლები მაგრათ დგანან. ჭერი ჩამოინგრა, მაგრამ ისე დავარდა დაბლა, რომ შესაძლებელია მასზე დახატული სურათების აღდგენა.

სასახლეში ძლიერ ცოტა ნივთები იქნა ნაპოვნი. ქვემოთ მკითხველი დაინახავს, რომ ეს დაკავშირებულია ფარაონ-ერეტიკოსის ეხნატონის როლთან ეგვიპტის ისტორიაში. მოწყობილობის ნაწილი, როგორც ჩანს, მოხვდა ტუტ-ანხ-ამონის აკლდამაში და ნაპოვნი იქნა მისი გათხრის დროს. ამის დამამტკიცებლად შეიძლება ჩაითვალოს ტახტი, ნაპოვნი ტუტ-ანხ-ამონის აკლდამაში, რომელიც თავისი სიდიდით სავსებით შეეფერება იმ ადგილს, სადაც ის უნდა მდგარიყო ელ-ამარნის სასახლეში.

ახლად გათხრილი სასახლე მეტად დიდია. 142×112 მეტრი. ის აგებულ იქნა ეხნატონის მიერ, როგორც ჩანს 1375—1350 წ. ადრე, ჩვენს ერამდე (ე. ი. 3.300 წლის წინათ). ამჟამად იგი მეთვრამეტე დინასტიისაგან დარჩენილი ერთად ერთი სასახლეა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ.

მისი შესწავლა საინტერესოა ეხნატონის ისტორიასთან დაკავშირებით.

ეს ფარაონი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერეტიკოსი იყო. მან უარი სთქვა თავისი წინაპრების სარწმუნოებაზე—მრავალ-ღმერთიანობაზე, იწამა ერთი ღმერთი—ატონი და ცდილობდა შექმნა ერთღმერთიანობის სარწმუნოება. ამისათვის მან მიატოვა ფივი და ააგო თავისთვის სასახლე ელ-ამარნაში, სადაც მოაწყო ატონის სამლოცველო.

ეხნატონის მეფობა—ეს არის მძაფრი ბრძოლის ხანა მოგვთა ძლიერ წოდებასთან. ამ ბრძოლის გამომძახილია ახალი ღმერთის ატონის—მზის კულტი. ეს ღმერთი სხვა ღმერთებისგან იმით განირჩევა, რომ მას არას დროს არ ხატავდენ ადამიანის ან ცხოველების სახით, არამედ დისკოს სახით, რომელიც გარშემო გზავნის სხივებს—ხელებს. ეგვიპტური რწმენით, ახალი ღმერთი კულტისათვის საჭირო იყო ახალი რეზიდენცია. აქედან—ეხნატონის ცდა—გადაეტანა სატახტო ქალაქი ელ-ამარნაში, რისთვისაც იქ ააგო ჩვენ მიერ აღმოჩენილი სასახლე.

ახალმა სარწმუნოებამ ვერ ჰპოვა თანაგრძნობა ეგვიპტელებში. მის მიერ გამოწვეული მღელვარება და შეიძლება ამ დროს სირიისა და აფრიკის სამფლობელოთა დაკარგვა იყო მიზეზი იმის, რომ ეხნატონის სიძე დაუბრუნდა ძველ სარწმუნოებას, გადასახლდა ისევ ფივაში, და წაიღო სასახლის მთელი მოწყობილობა.

სასახლე დაყრუვდა და ინგრეოდა 35 საუკუნის განმავლობაში.

ძველ ეგვიპტის ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიის შესასწავლათ „ჩრდილოეთის სასახლე" წარმოადგენს მეტად ძვირფას ძეგლს და მრავალ საინტერესო ისტორიულ მასალებს იძლევა.

ტომას უაიტმურ.

ხელოვნური თამბაქო

გერმანიაში გამოუშვეს გასასყიდათ ხელოვნური სიგარები, რომლებიც შემდეგნაირად არის დამზადებული: განსაკუთრებული ხარისხის ქაღალდი გაჟღენთილია ხელოვნურ ნიკოტინით და შეღებილია თამბაქოს ფერად, ამრიგად მომზადებულ ხელოვნურ თამბაქოს სჭრიან და გრეხენ სიგარად. ეს სუროგატი გაცილებით იაფი ჯდება ნამდვილ თამბაქოზე.

ახალი ქაღალდი

ფილადელფიელმა (ამერიკაში) ბიბლიოთეკარმა ვილიამ რეინეკემ გამოიგონა ქაღალდი, რომელსაც ვერაფერს აკლებენ ე. წ. „სოკო" და წიგნის სხვა მავნებლები. ამ ქაღალდზე შეადგენენ სახელმწიფო აქტებს და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებს.

რადიო-კავშირი აეროპლანთან

ფორდის კომპანიამ ამერიკულ სტანდარტო ბიუროსთან ერთად მოაწყო ცდები კავშირის დასამყარებლად მფრინავ აეროპლანების მგზავრებთან და პირიქით—მგზავრებსა და დედამიწას შორის. გამოირკვა, რომ კავშირი მფრინავ აეროპლანთან 160 კილომეტრის მანძილზე უნაკლოა. მოტორების გუგუნი, ქარი და აეროპლანის ფრენის დროს წარმოშობილი სხვა ხმები სრულიად არ უშლიან ხელს რადიო-გადაცემას. ცდებმა დაამტკიცეს, რომ საუბარი რადიო-ტელეფონით უნაკლოთ გადაიცემა მანძილზე არა უმეტეს 160 კილომეტრისა. რაც შეეხება რადიო ტელეგრაფის ნიშნებს, მათი გადაცემა კარგია 320 კილომეტრის მანძილზედაც.

რადიო-ტელეფონით საუბარისათვის, ფორდის აეროპლანების კაბინკებში (ოთახები მგზავრებისათვის) დადგმულია ჩვეულებრივი ტიპის ტელეფონები.

საათი პულსის მოსასმენათ

პულსის მოსმენა შედარებით დიდ დროს მოითხოვს, რაც იმ შემთხვევაში, როცა ექიმისათვის ძვირფასია თვითეული წამი, ხელს უშლის საექიმო დახმარების აღმოჩენას. ჩიკაგოში ამ მიზნით გამოიგონეს სპეციალური საათი, რომელიც ყოველ 15 წამში წუთის ერთ მეოთხედს აღნიშნავს. პულსის ცემის სიხშირის გამოსარკვევად საკმაო არის მაჯის ცემის დათვლა ერთი მეოთხედი წუთის განმავლობაში. ჩიკაგოს საავადმყოფოში ამ საათის საშუალებით გამოარკვიეს ჯერ კიდევ დედის მუცლად მყოფ ბავშის პულსი. როგორც ჩიკაგოს საექიმო პრესა იუწყება, ამ გზით შესძლეს მუცლად მყოფ ბავშის ტვინის პათოლოგიური მდგომარეობის გამორკვევა.

ელექტრონის მოლარე

წვრილი ფულების დათვლა, როგორც ვიცით, მეტად დიდ დროს ართმევს მოლარეებს, განსაკუთრებით დიდ ფინანსიურ დაწესებულებებში, სადაც დღიურად დიდძალი ვერცხლის ფულია გადასათვლელი.

ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ერთმა ინგლისურმა ბანკმა (ლონდონში) დასდგა სპეციალური ელექტრონის მანქანა, რომელიც ავტომატიურად ახარისხებს ვერცხლის ფულებს, თვლის მათ განსაზღვრული რაოდენობით და ალაგებს ჩამოკიდებულ პატარა პარკებში.

აქვე სურათზე ნაჩვენები ელექტრონის მანქანა საათში თვლის 15.000 მანეთის ვერცხლის ფულს.

ახალი მსუბუქი ბეტონი

იმ მიზნით, რომ შეამცირონ სითბოს გამტარობა ბეტონის, რომელიც სუსტად იცავს სითბოს, ბეტონის ქვებს ცარიელს აკეთებენ, რადგან ჰაერის მოქცევა შიგნით, ხელს უწყობს სამშენებლო მასალების თბიერების გადიდებას. არსებობს შიგნიდან ცარიელ ბეტონების დამზადების რამდენიმე წესი, მაგრამ ყველა მათ აქვს ნაკლი: ბეტონის თბიერება იზრდება, მისი სიმაგრისა და გამძლეობის შემცირების ხარჯზე.

გერმანიაში ამ რამდენიმე ხნის წინათ შემუშავებულ იქნა საუკეთესო მეთოდი, რომელიც შესაძლებლად ხდის ჰაერით გაჟღენთილ მეტად მაგარი ბეტონის ქვების დამზადებას.

ბეტონს ურევენ განსაკუთრებულ ნივთიერებაში, რომელსაც საპნის ქაფის სახე აქვს. ამ ნივთიერების ქიმიური შემადგენლობა გამოქვეყნებული არ არის, გამაგრების დროს ეს ქაფი ბეტონში ტოვებს ცარიელ ადგილებს. ახალი მეთოდით შეიძლება სხვადასხვა სიმაგრის და სხვადასხვა თბიერების შემნახველ ბეტონის დამზადება. ნაკლებ მაგარ და ნაკლებ თბიერების დამცველ ბეტონს ხმარობენ, როგორც საიზოლაციო (განმხოლოებელ) მასალას.

ცდებმა დაამტკიცა რომ ახალი წესით დამზადებული ბეტონი 2 ნახევარჯერ მეტ სითბოს იცავს, ვიდრე აგური და 5-ჯერ მეტ სითბოს, ვიდრე ჩვეულებრივი ბეტონი.

ქარის ელექტრო-სადგური

ამერიკაში და ევროპაში უკვე დიდი ხანია ცდილობენ გამოიყენონ ქარის ძალა და აქციონ ის ელექტრონის ენერგიათ. ამ მიზნით ჩვეულებრივათ სარგებლობენ მექანიზმებით, რომლებიც თავისი მოწყობილობის პრინციპებით, წააგავენ ქარის წისქვილებს.

ამჟამად, შეერთებულ შტატებში, ერთი კალიფორნიელი პროექტის მიხედვით შენდება საკმაოდ დიდი სიმძლავრის ქარის ელექტრო - სადგური. გამომგონებელმა თავისი მიზნებისათვის გამოიყენა არა ქარის წისქვილის ფრთები, არამედ ჩვეულებრივი მბრუნავი ფლიუგერის პრინციპი.

მექანიზმის მთავარი ნაწილი წარმოადგენს უზარმაზარ მილს, რომლის თავი თანდათანობით ფართოვდება და რამოდენიმე საჟენი დიამეტრი აქვს. ეს მილი, რომელიც თავისი ღერძით დადგმულია დედამიწის პარალელურათ, თავისუფლად ბრუნავს.

ამრიგად მილი შეიძლება ყოველთვის მობრუნოს კაცმა ქარისაკენ გაფართოებული პირით. ძალას ქარისას, რომელიც მილის გაფართოებული ნაწილიდან თანდათანობით გადადის ვიწრო ნაწილში, ერთდროულათ მოძრაობაში მოჰყავს ათამდე ტურბინა, რომლებიც თავის მხრივ ამუშავებენ ელექტრო - გენერატორებს. გამომგონებელს იმედი აქვს, რომ ამ აპარატის საშუალებით, რომელიც 18 ტონას იწონის, შესძლებს 1.455 ცხენის ძალის ენერგიის მიღებას. თუ მისმა ცდამ დადებითი შედეგები გამოიღო, განსაზღვრულია მთელი რიგი ასეთი სადგურები მოეწყოს იმ ადგილებში, სადაც ქარი ხშირია.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია



სურათზე ნაჩვენებია ორმოების სათხრელი ახალი გაუმჯობესებული მანქანა. იგი წარმოადგენს ჩვეულებრივი ავტომობილის და უზარმაზარი ბურღის შეერთებას. მანქანის მიერ ამოთხრილი ორმოების სიღრმე უდრის 80 სანტიმეტრს, დიამეტრი — 60 სანტიმეტრს. მანქანას დღეში შეუძლია 500 ასეთი ორმოს ამოთხრა.

წვიმები და საოკეანო გემები

მეტეოროლოგიურ ბიულეტენების შესწავლა გარკვევით ამტკიცებს, რომ წვიმების საშუალო რაოდენობა უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში შემცირდა ერთი პროცენტით მაინც. მეცნიერების უმრავლესობა ნალექების ამ შემცირებას უკავშირებდა. დედამიწის გარეშე ძალებს, მაგალითად, ცვლილებებს, რომლებიც მზეზე ხდება და დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს დანაკლისი შემდეგში ანაზღაურებული იქნება წვიმების გახშირებით.

მაგრამ ინდოელი მეტეოროლოგი რამდასი ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოვიდა მოულოდნელი სამწუხარო განცხადებით: იგი ამტკიცებს, რომ წვიმების შემცირება გამოწვეულია იმ ზეთის ფენით, რომელსაც ზღვების და ოკეანების ზედა პირზე სტოვებენ გემები, რომლებიც საწვავ მასალად ხმარობენ ზეთებს. ეს ფენა, რომლის სისქე დიუმის ერთ მემილიონედ ნაწილს ძლივს აღწევს, სავსებით საკმაოა, — ამბობს მეცნიერი, —რომ შეანელოს ოკეანებში და ზღვებში წყლის აორთქლება და ამით შეამციროს წვიმების რაოდენობა.

---

*) ამ წერილის ავტორი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი ტომას უაიტმური, გამოჩენილი ამერიკელი ეგვიპტოლოგია. ამჟამად ის ლენინგრადის „ერმიტაჟში" მუშაობს. როგორც შეერთებული შტატების წარმომადგენელი „ეგვიპტის შემსწავლელ ინგლის-ამერიკულ საზოგადოებაში", უაიტმური 1924-დან 1926 წლამდი ხელმძღვანელობდა მუშაობას იმ ექსპედიციისას, რომელმაც აღმოაჩინა ფარაონ ტუტ ანხ-ამონის აკლდამა.

*)სასოფლო მეურნეო[illegible] — შერეულები
გვ. 61. პრიანიშნიკოვის

პურის კრიზისის მიზეზები

(საუბარი ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარ ამხ. ბეკზადიანთან)

უკანასკნელ ხანებში ა.-კ. სხვადასხვა ქალაქებში თავი იჩინა პურის კრიზისმა, რამაც ზოგან ფრიად მწვავე ხასიათი მიიღო. ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა ა.-კ. ვაჭრობის კომისარ ამხ. ა. ბეკზადიანთან, რომელმაც პურის კრიზისის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— მართალი არის, რომ ა.-კ. ბაზარი ამჟამად განიცდის პურის საგრძნობ ნაკლებობას, რაც მოსახლეობაში ბადებს შიშს, რომ ეს კრიზისი დიდხანს გაგრძელდება და ამიტომ ხშირად ადგილი აქვს სოფლებიდან სპეკულიანტების მიერ ფქვილის გამოზიდვას.

არსებითად კი პურის ნაკლებობა აიხსნება შემდეგი მიზეზებით: ივნისის ბოლო რიცხვებში ჩრდილოეთ - კავკასიაში სათანადო ტრანსპორტის ნაკლებობის გამო დაბრკოლდა პურის გადმოგზავნა, რასაც ივლისის პირველ რიცხვებში დაემატა მეორე მიზეზიც—ქიურდამირის რაიონში წყალდიდობისა და ნიაღვრების გამო საგრძნობლად დაზიანდა რკინისგზის ხაზი რამოდენიმე ადგილას, რამაც დააგვიანა პურის შემოზიდვა ა.-კ. ქალაქებში. ჩრდილო - კავკასიიდან გადმოგზავნილი პურის მარაგი ხშირად თვეობით ვერ აღწევდა დანიშნულების ადგილამდე და ამიტომ ადგილობრივ შეუდგენ ძველად მომარაგებულ პურის მარაგის ხარჯვას. მაგრამ ჩვენი ქალაქები არ იყვნენ მომარაგებული პურით ხანგრძლივი პერიოდისათვის და ამიტომ პურის ძველი მარაგიც გამოილია ზოგგან.

ამას თან დაერთო კიდევ მესამე გარემოებაც. ეს ის, რომ წელს სომხეთში და საქართველოში არ იყო პურის კარგი მოსავალი. სოფლის მოსახლეობა, რომელიც წინეთ არ ხმარობდა შემოზიდულ პურს და იკვებებოდა საკუთარი ჭირნახულით, დაეწაფა ბაზარზე გამოტანილი პურის შესყიდვას და ამით შესამჩნევად გადიდდა პურის მყიდველთა რიცხვი. ამგვარად, ბაზარზე გამოტანილი პური დაუყოვნებლივ საღდებოდა და იქმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პური არ იყოს საკმარისი.

ამჟამად ასეთი მდგომარეობაა: ჩრდილოეთ-კავკასიიდან პურის გადმოგზავნა უკვე სისტემატიურად და დაუბრკოლებლად სწარმოებს. პურის გადმოსაზიდი სატრანსპორტო საშუალებები საკმაოთაა და ჩემის ცნობებით, 15 აგვისტოდან პურის კრიზისი აღმოფხვრილი იქნება.

თანახმად წინასწარ გამომუშავებული გეგმისა ა.-კ. შემოზიდული უნდა ყოფილიყო 855.000 ფუთი პურის ფქვილი, ფაქტიურად კი შემოიზიდა 927.750 ფუთი, ანუ 5 პროცენტით მეტი. აქედან საჭირო არის დავასკვნათ, რომ თუმცა პურის შემოტანა სწარმოებდა ძლიერი დაბრკოლებით, მაგრამ პურის შემოზიდვის გეგმა მაინც იქნა შესრულებული ცოტაოდენი გადამეტებით. რაც შეეხება ბაზარზე გამეფებულ აჟიოტაჟს, ეს აიხსნება ერთის მხრივ პურის მყიდველთა არანორმალური გამრავლებით და მეორეს მხრივ პურის რესურსების სიმცირით.

მომავალი პერსპექტივები ასეთია: აგვისტოს განმავლობაში ამიერ - კავკასიაში შემოზიდული იქნება 950.000 ფუთი პური. აქედან „ხლებოპროდუქტ"-მა უნდა შემოიტანოს 350.000 ფუთი, „კავხლებ"-მა 300.000 ფუთი, ა.-კ. კოოპერატივთა კავშირმა 150.000 ფუთი და „ხლებოცენტრ"-მა 150.000 ფუთი.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატში შეკრებილი მასალებით პურის კრიზისის პერიოდმა უკვე გაიარა და აგვისტოს მეორე ნახევრიდან ამიერ - კავკასია სავსებით იქნება უზრუნველყოფილი ასეთი კრიზისებისაგან.

მდგომარეობა ხორცის ბაზარზე

ხორცის ფასი თბილისში ერთ დონეზე დგას. ეს აიხსნება იმით, რომ ხორცით ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ „მიასოტორგმა" კოოპერაციის საშუალებით მთლიანად დაიპყრო ხორცის ბაზარი და დაიმორჩილა კერძო ვაჭარი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში „მიასოტორგის" გამგეობის წევრმა ამხ. ბეჟანოვმა ხორცის ბაზრის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ შემდეგი განაცხადა:

„ამჟამად თბილისის კოოპერაცია „მიასოტორგის" საშუალებით თითქმის მთელი 100 პროცენტით აწვდის ხორცს ბაზარს. ხორცის მოთხოვნილებაზე თბილისში წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ იმის მიხედვით, რომ მუშკოოპი ყოველდღიურად იღებს „მიასოტორგისაგან" 300 ფუთ ხორცს, ა. კ. სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება—50—150 ფუთ და „ბოეცი"—20 ფ. ამათ გარდა კიდევ უნდა დაუმატოთ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, განათლების სახალხო კომისარიატი და სხვა დაწესებულებები, რომლებიც იღებენ ხორცს საავადმყოფოებისათვის, საბავშვო სახლებისათვის და დაბოლოს კერძო მოვაჭრეებს ყოველდღიურად გააქვთ „მიასოტორგის" მაღაზიებიდან 500—100 ფუთამდე ხორცი. ყოველდღიურად „მიასოტორგის" მაღაზიებიდან გადის სულ 500 ფუთი ხორცი.

სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ მსოფლიო ომამდე თბილისში ერთ სულზე მოდიოდა 24 მისხალი ხორცი, მაგრამ შემდეგ ეს რაოდენობა ჩამოვიდა 14 მისხლამდე. ხორცის მოხმარება მოსახლეობის კეთილმდგომარეობის და მისი ჯანმრთელობის თვალსაჩინო მაჩვენებელია. „მიასოტორგის" ძირითადი ამოცანაა—ხორცის მოხმარების დონის აწევა. ხორცის მოხმარებამ იწყო ზრდა დავიდა 18—20 მისხლამდე, ამჟამად კი უფრო მაღალიცაა. დამახასიათებელია, რომ ახლა, ზაფხულში, ხორცის მოხმარება თითქმის არ კლებულობს, ზამთართან შედარებით. ამ.-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა ამ დღეებში დაასრულა „მიასოტორგის" მუშაობის გამოკვლევა. გამოკვლევამ გამოარკვია, რომ ფუთ ხორცის თვითღირებულება უდრის 12 მან. 38 კაპ., მტკიცე საბაზრო ფასი კი, რომელიც დამტკიცებულია ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, არ უნდა აღემატებოდეს ათ მან. 40 კაპეიკს. მიუხედავად ამისა ეს ფასი არ დიდდება, „მიასოტორგმა" კი თავისი ზარალი უნდა დაფაროს. სხვა წყაროებიდან. კოოპერაცია, თავის მხრივ, აპარატის რაციონალიზაციის საშუალებით, ფასების დაკლებასაც კი ცდილობს ხორცზე. ბაზარი ისე სრულად არის დაპყრობილი, რომ კერძო მოვაჭრენიც იძულებული არიან გაჰყვენ საერთო ხაზს.

ამჟამად „მიასოტორგი" ემზადება დასამზადებელი ოპერაციებისათვის. დამზადებები იწარმოებს უმთავრესად ჩრდილოეთ კავკასიაში; ოსმალეთიდან და სპარსეთიდან საკლავ საქონლის მოდენა დამოკიდებულია ლიცენზიებზე. ძირითადი მასა იქნება ჩრდილოეთ კავკასიის საქონელი. დამზადებას ჩრდილოეთ კავკასიაში აწარმოებს კოოპერატიული საოლქო სასოფლო კავშირი საკომისიო ხელშეკრულებით. იმაზე, თუ რამდენად შესძლებს კოოპერაცია დასამზადებელ ბაზრის დაპყრობას, დამოკიდებული იქნება ამ ძირითად ფასების შესაძლებელი დაკლება. საოლქო სასოფლო კავშირი საკომისიოდ ღებულობს დამზადებულ საქონლის ღირებულების 5,5 პროცენტს, საკუთარ ხარჯებს „მიასოტორგი" ანგარიშობს 3,5 პროცენტის რაოდენობით.

ამას გარდა ხორცი ნაწილობრივ შესყიდული იქნება გლეხობისაგან ადგილობრივ, ამიერ-კავკასიაში. უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი საქონელი ღირსებით ჩამოუვარდება ჩრდილოეთ-კავკასიის საქონელს, ის ვერ არის კარგად გასუქებული და ნაკლებ ხორცს იძლევა ცოცხალ წონიდან. კოოპერაცია თავის დუქნებისთვის უმთავრესად ღებულობს ჩრდილოეთ კავკასიის და ყარსის საუკეთესო ხორცს; მოსახლეობის საყვედურები, რომ თითქოს კერძო მოვაჭრეებს უკეთესი ხორცი აქვთ. ვიდრე კოოპერაციას, ან მოკლებულია საფუძველს, ან აიხსნება კოოპერატიულ ხორცის დუქნების ნოქრების არაკეთილსინდისიერებით. კოოპერაციას არ შეიძლება ჰქონდეს უფრო ცუდი ღირსების ხორცი, ვიდრე კერძო მოვაჭრეებს. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ხორცის საკმაო გამოსვლად ითვლება ცოცხალი წონის 40—45 პროც., კოოპერაციას კი „მიასოტორგი" აწვდის ისეთ საქონელს, რომელიც იძლევა 52 პროცენტს, ე. ი. უფრო მსუქანს.

ამხ. ბეჟანოვმა აღნიშნა მთელი რიგი გარემოებების, რომლებიც აბრკოლებენ „მიასოტორგის" მუშაობას. პირველი ასეთი დაბრკოლებაა საქონლის დაკვლის პირველი სიძვირე თბილისში. ჩვენ სასაკლაოში ერთ სულ მსხვილფეხა საქონლის დაკვლა ჯდება 7 მან. 87 კაპ., წვრილფეხა—1 მან. 63 კაპ., მაშინ როდესაც ბაქოში ეს ფასები ნაკლებია თითქმის 60 პროცენტით...

ძლიერ მწვავედ ხდგას მაცივარის საკითხი. ამჟამად თბილისში მაცივარი არ არსებობს და „მიასოტორგი" იძულებულია თავისი საქონელი დაკლას ნაწილ-ნაწილ, ისე რომ ყოველდღიურად ჰქონდეს ხორცის განსაზღვრული რაოდენობა, არც ერთი გირვანქით მეტი. ამ საქონლის შენახვა წარმოადგენს ზედმეტ დანახარჯს, როდესაც ამას წინად ციმბირიდან მიღებულ იქნა გაყინული ხორცი, იმის შენახვა საჭირო გახდა რკინის გზის იზოტერმიულ ვაგონებში, რამაც გამოიწვია დიდი ზედმეტი ხარჯი შენახვისა და გადმოტვირთვისათვის.

ტრანსპორტზე საყვედური არ ითქმის,—ის კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.

ამას წინად დადგენილ იქმნა, რომ „მიასოტორგის" ხაზაუკო კრედიტი (სახელმწიფო ბანკში) გადიდებულიყო 600.000 მანეთამდე ნაცვლად არსებულ 400.000 მანეთისა. როდესაც „მიასოტორგს" საშუალება მიეცემა მთლიანად ისარგებლოს აწ გადიდებული კრედიტით,—მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შემსუბუქდება.

სამთო სიმდიდრეთა რეალიზაცია

სამთო მრეწველობის ტრესტის სხვადასხვა წარმოებებს და სარეწაოებს ივნისის განმავლობაში გაუსაღებიათ შემდეგი პროდუქტები — ქვანახშირი 7188.1 ტონა — 77.822 მანეთის ღირებულების; ბარიტი — 549,3 ტონა — 37,119 მანეთის; ცეცხლგამძლე კაჟის ქვები — 935 მანეთის, ცეცხლგამძლე თიხა — 91,7 ტონა—2553 მანეთის, გლაუბერის მარილი 208,9 ტონა —7.708 მანეთის; სურინჯი — 14,8 ტონა — 1307 მან.; ჟანგმანი — 723 მან. მუმია—15,3 ტონა — 1676 მან., ლითოგრაფ. ქვა 61 ცალი—13.955 მან. და საინფუზორიო მიწა 58.5 ტონა—4.289 მანეთის.

ამრიგად, ერთი თვის განმავლობაში სამთო ტრესტს გაუსაღებია 148.157 მანეთის სხვადასხვა სამთო მადნის სიმდიდრეები.

გარდა ამისა, სამთო ტრესტში მიღებულია მოთხოვნილება უკრაინიდან გლაუბერის მარილის დიდი რაოდენობაზე. ჯერ-ჯერობით გასაგზავნად დამზადებულია ორი ვაგონი მარილი. უკრაინის სამრეწველო რაიონებში ამჟამად ხმარობენ მხოლოდ საქართველოდან გატანილ გლაუბერის მარილს.

ზაჰესის შემოწმება

სადგურის მისაღებ სამუშაოთა დასრულება.

ზაჰესის ელექტრო-მექანიკურ მოწყობილებათა შესამოწმებლად მოწვეულმა სპეციალისტ-პროფესორების კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა. კომისიამ, რომელშიაც შედიოდენ პროფ. სუშკინი, სიროტინსკი, ვორონოვი, შესმანი, ვოზნესენსკი და ადგილობრივი სპეციალისტები, შეამოწმა ზაჰესის ელექტრო-მექანიკური მოწყობილობათა თვითეული ნაწილი და შეაგროვა შემოწმების დროს მიღებული ყველა მასალები.

თავის მუშაობას კომისია შეუდგა 2 აგვისტოს. მიღებული მასალების დამუშავებასა და სათანადო აქტის დაწერას კომისია შეუდგება დღეს.

საუბარი პროფ. სუშკინთან

ჩვენმა თანამშრომელმა ინახულა საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე პროფ. ნ. სუშკინი, რომელსაც მისცა რამოდენიმე შეკითხვა სადგურის ნაგებობათა მდგომარეობის შესახებ.

უწინარეს ყოვლისა მე უნდა განვაცხადო,—სთქვა პროფ. სუშკინმა,—რომ ჩვენი კომისია არ ახდენდა სადგურის ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა ექსპერტიზას. ჩვენ დავალებული გვქონდა მხოლოდ შეგვემოწმებია სადგურის ელექტრო-მოწყობილობანი. ჯერ-ჯერობით კომისიას არა ჰქონდა კიდევ თათბირი და ჩვენ არა გვაქვს კომისიის მთლიანი აზრი სადგურის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზაჰესი აგებული არის თანამედროვე ტეხნიკის უკანასკნელ მოთხოვნილებათა მიხედვით და კომისიის წევრებს არ აღმოუჩენიათ არც ერთი ღირსშესანიშნავი დეფექტი.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის თქმა, რომ სადგურის ექსპლოატაციის პროცესში არ გამოაშკარავდება რაიმე უმნიშვნელო დეფექტი, მაგრამ ზაჰესის მოწყობილობანი ჯერ-ჯერობით თავის სიმაღლეზე სდგას და, ჩემის აზრით, ეს სადგური შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოთ ჰიდრო-ელსადგურების მშენებლობის ნიმუშად.

ჩვენ გამოვარკვიეთ აგრეთვე, თუ რამდენად უმტკივნეულოდ შეიძლებოდა მომავალში სადგურის გაფართოება. აღმოჩნდა, რომ სადგურის ყველა ნაგებობანი შეიძლებენ მომავალი გაფართოებული სადგურის კვებას. ზაჰესის სრული დატვირთვის შემდეგ, როდესაც პრაქტიკულად შეუდგებიან სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციას, ზაჰესის ძალოვნება უნდა იქნეს 100.000 ვოლტამდე. საამისოდ კი საჭირო იქნება ორი ახალი ტურბო-გენერატორის დადგმა.

ამჟამად ამუშავებული ტურბინებიდან საბჭოთა კავშირში დამზადებულ ტურბინას მრავალი უპირატესობანი აღმოაჩნდა [illegible]ში დამზადებულ ტურბინებთან შედარებით. ამგვარად, ზაჰესმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ საბჭოთა წარმოების ტურბინები კარგი ხარისხისაა და მომავალში ელექტრო-მშენებლობისათვის ჩვენ აღარ დაგვჭირდება ალბათ საზღვარგარეთიდან ტურბინების შემოტანა.

კომისიის მუშაობა ზაჰესში კიდევ იწარმოებს დღეს და ხვალ. კომისიის საბოლოო აქტი დაწერილი იქნება 14 აგვისტოს საღამოს.

ახალი წარმოებები

ახალი ქარხნების ასაგებ მუშაობის მიმდინარეობა

ადგილობრივ მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის თანახმად უკვე დაიწყო მუშაობა მთელ რიგ ახალი ქარხნების ასაგებად. დაახლოებით თვენახევარია, რაც ახალქალაქის მაზ.-ში ს. ბეჟანოს მახლობლად საფუძველი ჩაეყარა ერბო - ყველის დასამზადებელ ქარხანას. ამჟამად ქარხნის მთავარი შენობის კედლები უკვე ამოყვანილია, სექტემბრის დამლევისათვის დამთავრდება შენობების აგება.

გორის მაზრაში, სოფ. მეჯვრისხევსა და შინდისში, შენდება ხილის სახმობი ფაბრიკები. მეჯვრისხევში ფაბრიკის მთავარი შენობის აგება დამთავრებულია. მიღებულია ფაბრიკის მოწყობილების ერთი ნაწილი. ფაბრიკის მოწყობა დამთავრდება მიმდინარე წლის სექტემბერში. შინდისში ჩაყრილია ფაბრიკის შენობის საძირკველი და ეხლა შენდება კედლები. ამ ფაბრიკის შენობის აგება დამთავრდება ნოემბრის დამლევისათვის.

გორში დაიწყო ახალი საკონსერვო ქარხნის აგება. უკვე ჩაეყარა საფუძველი ქარხნის შენობას. საამშენებლო მასალას ახალ ქარხნისათვის ამზადებს ადგილობრივი ხე-ტყის ქარხანა, რომელმაც უკვე დაამზადა ქარხნის საჭიროებისათვის 60 ვაგონი ხე-ტყის მასალა. გორში დამთავრდა აგრეთვე აგურის ქარხანა, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. ყოველ გამოწვაზე ქარხნის ღუმელი ამზადებს 120 ათას აგურს. საკონსერვო ქარხნის საამშენებლო საჭიროებისათვის.

ფასების დაკლების შესახებ

საპონ-ზეთის ტრესტში

საპონ-ზეთის ტრესტში ფასების დაკლების კამპანია დაწყებულ იქნა მიმდინარე წლის იანვრიდან. პირველ ხანებში ფასების დაკლება გატარდა ხელის საბან საპნებზე და ქუთაისის მაუდის ფაბრიკის პროდუქციაზე.

შემდეგი ფასების დაკლება დაწყებულ იქნა მარტიდან. უკანასკნელი ფასების დაკლება გავრცელდა სასაქმებელ ზეთზე (ჯულაბზე), ტეხნიკურ გლიცერინზე, საააფთიაქო ბამბაზე და სარეცხ საპონზე. შემდეგი ფასების დაკლება ტრესტის პროდუქციაზე აღარ მომხდარა.

1-ლ აგვისტომდე ტრესტის მიერ გასაღებული საქონლის ღირებულებიდან ფასების დაკლების გამო მიღებული იქნა 196.000 მანეთით ნაკლები.

ლითონტრესტში

ლითონის ტრესტის წარმოებებში ფასების დაკლების უკანასკნელი შედეგები ასეთია:

1-ლი ივნისისათვის გაიაფდა — სპილენძი გატკეცილი — 9,5 პროცენტით, სპილენძი რგოლებათ, 9,3 პროც. ლითონის საწოლები 10,5 პროც. — 26 პროცენტამდე და სასწორები—12—21,5 პროცენტამდე.

ამხ. რუდი თბილისში

გუშინ დილას ბორჯომის მატარებლით თბილისში ჩამოვიდა გზათა სახალხო კომსარიატის კოლეგიის წევრი და საბჭოთა კავშირის რკინის გზების სამმართველოს უფროსი ამხ. რუდი. მასთან ერთად ჩამოვიდენ ა. კ. რკინის გზების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. ჩხეიძე და გამგეობის წევრი ინჟ. ბ. ბერიძე.

სადგურში ამხ. რუდის შეხვდენ ა. კ. რკინის გზის განყოფილებების უფროსები და სხვა სპეციალისტები.

ამხ. რუდი ჩამოსვლისთანავე გაემართა თბილისის კვანძის მეურნეობის დასათვალიერებლად. მან დაათვალიერა: ა. კ. რკინის გზების თბილისის მთავარი სახელოსნოები, ორთქლმავლების საყუდი, სამასალო საწყობი და სხვა. დათვალიერების დროს ამხ. რუდის ახსნა-განმარტებას აძლევდენ განყოფილებების უფროსები და სპეციალისტები.

დათვალიერება გაგრძელდა ექვს საათზე მეტს.

ამხ. რუდი ბრუნდება შვებულებიდან და გზათ გამოვლით ეცნობა ა. კ. რკინის გზების მეურნეობის მდგომარეობას.

ამხ. რუდი დღეს თბილისიდან გაემგზავრება მოსკოვში.

ტროპიკული ინსტიტუტი

საქართველოში ყველაზე მეტად ტროპიკული სნეულებანი და მათ შორის მალიარიაა გავრცელებული შავი ზღვის ნაპირებზე — აჭარისტანის ზღვის პირად მდებარე რაიონებში, სამეგრელოში და აფხაზეთში.

უკანასკნელ წლებში ადგილობრივ ჯანმრთელობის ორგანოებისა და წითელ ჯვრის საზოგადოების ენერგიული ღონისძიებით მცხოვრებლებს შორის ტროპიკული სნეულებით დაავადების შემთხვევები თანდათან კლებულობს. საშუალოდ ამ სნეულებით დაავადებულთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით 25—30 პროც.-ით ნაკლებია.

ტროპიკულ სნეულებასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით ამ რამოდენიმე დღის წინად აფხაზეთში მოეწყო ტროპიკული ინსტიტუტი, სადაც სამუშაოდ მოწვეული არიან ცნობილი სპეციალისტები. ინსტიტუტი თავის მუშაობის ასპარეზს არ ფარგლავს მარტო აფხაზეთის ტერიტორიით. — იგი სამსახურს გაუწევს მთელს შავი ზღვის ნაპირებს, სამეგრელოს და აჭარისტანის დაბლობ ნაწილებს. ახლად გახსნილი ტროპიკული ინსტიტუტი უკვე შეუდგა მუშაობას. ინსტიტუტთან მოწყობილია საკლინიკო განყოფილება სტაციონალური ავადმყოფებისათვის. ამჟამად განყოფილებაში მკურნალობს რამოდენიმე მალარიარე ავადმყოფი. მუშაობის დაწყებისთანავე ტროპიკულმა ინსტიტუტმა გაგზავნა ექიმების ექსპედიცია გალის და კოდორის მაზრებში, სადაც მეტად გავრცელებულია ციებ - ცხელება.

ექსპედიცია, გარდა იმისა, რომ მკურნალობას გაუწევს მოსახლეობას, გამოიკვლევს მას მალიარიის გავრცელების თვალსაზრისით.

დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულთ

ორი ვაგონი ფქვილი წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის.—40.000 მანეთის გადადება ღარიბთა ფონდიდან. — სახ.-სამ. ბანკს წინადადება მიეცა წყალდიდობისაგან დაზარალებულ რაიონებს გაუდიდოს სესხი და გაახანგრძლივოს გადასახადის ვადა.—კომისიამ საჭიროდ სცნო გაანთავისუფლოს წყალდიდობისაგან დაზარალებულები 1927 — 28 წ. სახ.-სამ. გადასახადისაგან

ა.-წ. აგვისტოს 12-ს ამხ. ს. ჯუღელის თავმჯდომარეობით შესდგა წყალდიდობისაგან მოსახლეობისათვის მიყენებულ ზარალის გამომკვლევ კომისიის სხდომა. კომისიამ საჭიროთ სცნო სასწრაფო დახმარება გაეწიოს დაზარალებულ რაიონებს. ამისათვის დაზარალებულ რაიონებში ღარიბ მოსახლეობას უნდა დაურიგდეს ორი ვაგონი ფქვილი. სახ.-სამეურნეო ბანკის გამგეობას დაევალა გაიღოს 40.000 მან. ღარიბთა ფონდიდან, მასვე დაევალა გააძლიეროს კრედიტების გაცემა დაზარალებულ რაიონებისათვის და გაცემულ კრედიტების გადახდის ვადა გააგრძელოს. კომისიამ საჭიროდ სცნო განთავისუფლებულ იქნეს დაზარალებული რაიონები 1927—28 წ. სახ.-სამეურნეო გადასახადისაგან.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაევალა მიიღოს გადამჭრელი ზომები დამხმარე ტოტების დასახურავათ და წყლით დაფარულ კულტურების ამოსაშრობათ, რისთვისაც ევალება მას სასწრაფოთ შეადგინოს სამუშაოთა გეგმა. მასვე დაევალა წარმოადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა მდ. ინგურის ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოთა შესახებ და სამუშაოთა ხარჯებისათვის საჭირო თანხა გამოითხოვოს 1927—28 წ. საგანგებო კრედიტებიდან.

რკინის გზის მმართველობას დაევალა გასცეს სასწრაფო განკარგულება, რათა უფასოთ იქნეს გადაყვანილი მოსახლეები მათ მიერ გაკეთებულ ბორანებით.

ვინაიდან მთის ნიაღვარს ქ. გორთან არა აქვს გასავალი გზა, დაევალა რკინის გზის მმართველობას გააკეთოს აკვედუკები წყლის მიმართულების მისაცემათ მდ. მტკვრისაკენ.

საგეგმო კომისიას დაევალა გამოაკვლიოს მასალების მიხედვით მთელი ზარალი და აღძრას შუამდგომლობა დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად.

ქრონიკა

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოყო განსაკუთრებული კომისია: ლ. სუხიშვილის, ვ. მესხის, ივანოვ-კავკასიელის, მაჩაიძის, ქაცარავას, თხილავას, იაგარჯიანს; ტატიევის, ტოროკაშვილის, მაქსიმოვის და სულაძის შემადგენლობით.

მოხსენება ზაჰესის შესახებ

ხვალ, 4 აგვისტოს საღამოს 7 საათზე, პროფკავშირთა მცირე დარბაზში შესდგება თბილისის საინჟინერო - სატეხნიკო ძალთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვლენ ზაჰესის მიმღებ საექსპერტო კომისიის წევრები.

მოხსენება იქნება შემდეგ თემაზე: „ზაჰესის ელექტრომექანიკური მოწყობილობანი". კრებაზე დასწრება შეუძლია ყველას.

მოსახლეობის საყურადღებოდ

ქალაქ თბილისისა და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს, თბილისის მოსახლეობის საყურადღებოდ, რომ კოჯრის გზასა და მიწატყის მუშაკთა ნაკვეთს შუა იწარმოებს სროლა თოფებიდან.

მცირეწლოვან დამნაშავეთა კომისიაში

მცირეწლოვან დამნაშავეთა კომისიის ცნობით თბილისში მცირეწლოვანების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებათა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა; ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ უპატრონო ბავშვების დიდი რაოდენობა მიღებული იქნა საბავშვო ახალშენებში და სახლებში.

ივლისის თვის განმავლობაში ბოროტმოქმედებისათვის დაპატიმრებული იყო სულ 52 ბავშვი. მათ შორის ორი ქალია. ეროვნების მიხედვით მათ შემადგენლობა ასეთია: ქართველი 8 სომეხი—29. რუსი—7 და 8 მაჰმადიანი. ამ ბავშვების უმრავლესობა უკვე დანაწილებული იქნა საბავშვო თავშესაფრებში.

ფასების დაკლება

საპონ-ზეთის ტრესტის ფასების დამკლებ კომისიის ცნობით ფასების დაკლების კამპანიის განმავლობაში ტრესტის ნაწარმოებებზე სულ დაკლებული იქნა 196.000 მან.

ფართალი

სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო 141 ვაგონი ფართალი.

პური

სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა ჩრდილოეთ-კავკასიის პურის დამამზადებელ საზოგადოებამ „კავხლებთან" დასდო ხელშეკრულება საქართველოსათვის 840.000 ფუთი პურის ფქვილის მიწოდების შესახებ.

ტყავეულობის ნაწარმოებები

სახ. ვაჭრობის კომისარიატმა 1927—28 წელში ტყავეულობის ნაწარმოებზე შესაძენად გადასდო 12 მილიონი მანეთი. ტყავის ნაწარმოებები უმთავრესად შეძენილი იქნება მოსკოვის ტყავის სინდიკატიდან.

მასიური ექსკურსიები

პროფკავშირების ცენტრალური გამგეობებმა მოაწყვეს მასიური ექსკურსიები. გუშინ დილის ორ საათზე ექსკურსიები გაემგზავრა ბათომში, ბორჯომ-ბაკურიანში და სამხედრო გზით კავკავში.

ექსკურსია მოსკოვში

პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება 17 აგვისტოს აწყობს დიდ ექსკურსიას მოსკოვში. ექსკურსანტებს სამგზავრო ბილეთები დაეთმობათ 50 პროც. დაკლებით. თითო ექსკურსანტს მოსკოვში ჩასვლა, უკან დაბრუნება და 6 დღის ხარჯები დაუჯდება 56 მან.

ადგილობრივი მრეწველობა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი ადგილობრივი მრეწველობის ხუთ წლიანი პერსპექტიული გეგმა ორი თხილის საწმენდი ქარხნის გამორიცხვით.

საგეგმო კომისიას წინადადება მიეცა შეისწავლოს ოზურგეთის მაზრაში კონიაკის ქარხნის მოწყობის საკითხი.

ს. მ. ღ. საბჭოს პრეზიდიუმს წინადადება მიეცა შეისწავლოს საკითხი საქართველოში ცარცის საბუდოების შესახებ.

თბილისის აღმასკომში

◆ გარეუბნებში ელექტრონის ქსელის გასაყვანად დამატებით გადადებულია 17,196 მანეთი.

◆ თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტის მდგომარეობის შესასწავლად გამოყოფილია ცალკე კომისია ამხ. ფარნიევის თავმჯდომარეობით.

◆ **ტრამვაის გასაჩერებელ მთავარ ადგილებზე.** ტრამვაის დირექციას განზრახვა აქვს მოაწყოს გადახურული ბაქნები.

◆ **საზამთრო ბაკი.** საზამთრო ბაკისა და მოედნის მოსაწყობად გადადებულია 2.283 მანეთი.

◆ **მცხოვრებთა რაოდენობა.** აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების უკანასკნელი ცნობით თბილისში მცხოვრებთა რიცხვი უდრის—292,440 სულს, აქედან—149.904 ქალია.

განათლების კომისარიატში

◆ **ტეხნიკუმებში** მისაღები განცხადებების მიღება დამთავრდება 25 აგვისტოს.

◆ **გლეხები აგებენ სკოლას.** განსახკომის ცნობით სოფ. გომის გლეხებმა თავიანთი თანხით ააგეს სკოლის შენობა

◆ **ბიბლიოთეკართა კურსები.** ბათომში ამ დღეებში გაიხსნება ბიბლიოთეკათა მოსამზადებელი ორთვიანი კურსები.

◆ **საღამოს საერთო განათლების კურსებზე** წელს არ იქნებიან მიღებული ახალი მსმენელები.

◆ **ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის** თავის დღესასწაულის ჩასატარებლად განსახკომმა გამოყო კომისია 8 წევრის შემადგენლობით.

◆ **ახალი სასწავლებლების მისაღები** განცხადებების მიღება სკოლებში დაიწყება 15 აგვისტოს და იწარმოებს 25 აგვისტომდე.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **მუშათა დასასვენებელი სახლები.** შრომის კომისარიატის ცნობით აგარაკ ბახმაროზე მომავალ წლიდან აგებული იქნება დასასვენებელი სახლი. ტვირთმზიდველ მუშებისათვის.

◆ **ხელფასის გადიდება.** მილიციელთა ხელფასის გასადიდებლად შრომის კომისარიატი შეუდგა ცალკე გეგმის გამომუშავებას.

◆ **მეჩექმეთა მეორე კოლექტივი.** შრომის ბირჟა ახლო ხანში მოაწყობს მეჩექმეთა მეორე კოლექტივს.

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

შრომის ბირჟა სამშაბათს, 16 აგვისტოს, სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: აკაკი ამაშუკელს, ალექსი ბიძინაშვილს, ნიკოლოზ ბრეგაძეს, ნინო ჩიქვილაძეს, ვლადიმერ ჩიქოვანს, თედორე ბიუჩენკოს, ტატევოს გასპარიანს, შალვა ზვაველსკის, რაფიელ კოჟაროვს, ნიკოლოზ ხერციძეს, არმენაკ კისელიანს, პეტრე აგარკოვს, სერგო ბაბახჩევს, გრიგოლ ოსიპიანცს, სურენ საგარჩინს. ალექსი ალექსეევს, ნიკოლოზ დავიდოვს, რუბენ სოგომონიანს, ვლადიმერ ბოგატიროვს.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: ანნა გაბრონიძეს. ევგენია კორშნიკოვას.

სხვადასხვა

◆ **შრომის ბირჟაში** უმუშევართათვის ახლო ხანში გაიხსნება კლუბი

◆ **ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი,** რომელიც დახურული იყო რემონტის გამო, გაიხსნება 16 აგვისტოს.

შემთხვევები

◆ ზაფიქრო სინდიკატის მაღაზიაში შაქრო ლეჟავაშვილს 12 აგვისტოს ჯიბიდან ამოაცალეს 35 მან.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 12 აგვისტოს გოგოლის ქუჩა № 66 მიხეილ ლორთქიფანიძის ბინიდან მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.

◆ **ამავე დღეს** ეორესის ქუჩა № 25 გაქურდეს მიხეილ შტრეინბერგის ბინა.

◆ **კარების შემტვრევის საშუალებით** 12 აგვისტოს ელისაბედის ქუჩა № 128 გაქურდეს ალაზეგა ხაჩატურიანის ბინა.

თბილისის პროლეტარიატი

ამხ. მარო ბოჭორიძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისს პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად **5 მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის ასისტენტებს: დოსტაქარ ვლ. ხაზარაძეს, თერაპიულ კლინიკიდან ი. მჭედლიშვილს, ნერვიულ კლინიკიდან ა. ქავთარაძეს.

ჩხარის აფთიაქის გამგეს — გრ. იმხნელს.

ექ. ი. ჭიჭინაძე.

—:—

ნოე გამსახურდიას გამოწვევით შემომაქვს, „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად 2 მანეთი, და ვიწვევ ილარიონ ძიმისტარაშვილს, ივანე ჩოხერს, გიორგი კორინთელს, გიორგი გზირიშვილს.

პავლე ქავთარაძე.

—:—

ალექსანდრე ხოჯიაშვილის გამოწვევით „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდში შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ—ტერ-ავაკიმოვს, მ. ლიუბანსკის, შ. ტერ-სარქისოვს.

დიმიტრი გვანცელაძე.

—:—

ამხ. შაქრო მიქელოვის გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად ორი მანეთი, და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: პავლე ჩხუტიაშვილს, გრიგოლ დურგლიშვილს, მიშა სუდჯიაშვილს, ვალიკო ბაქრაძეს, მიშა ოსიტაშვილს, დათიკო მდივნიშვილს, იოსებ გელაშვილს, გიორგი ნავდარაშვილს, ლექსო ლაფანაშვილს, თებრო ბუზიაშვილს, ნიკო გრიგოლაშვილს, ქრისტე ფიცხელაურს.

ლ. ლალიაშვილი.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ: მ. ირ. საყვარელიძეს, ლ. დ. რუბინშტეინს, მ. გ. ცხოვრებაძეს, (კირ-გაჯ-ქიშ-მრეწველობა"-დან); მ. პ. ნადარეიშვილს, სევასტი გაჩეჩილაძეს, მიშა წივწივაძეს („ბალის შრომა"-დან); კოოპერატიული სარეწაო ნადებს: „კომუნა"-ს, „ხპილოს", „მოსავალი"-ს, „აგური"-ს, „ტრიკოტაჟი"-ს, „ავტოტრანსპორტის" და რესპუბლიკის ყველა ნადების გამგეობების წევრებს.

დიანოზ სამხ. აბრამიშვილი.

—:—

ამხ. ლუბა კალაძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხ.: სამტრედიიდან დათიკო კალაძეს, აკაკი მეძმარიაშვილს, აქვსენტი ნინუას, ვალოდია შარაშენიძეს, ლეო კორძაიას და სერგო კომახიძეს.

ქეთო აბზიანიძე-ახობაძისა.

ამხ. ლიუბა კალაძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხ.: ოლია კოპალეიშვილს, ილიკო სხვიტარიძეს, ილია გოგიას.

მარო სტურუა.

—:—

ამხ. ოლია სტურუას გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოთ სამი მანეთი.

ევგენია კანდელაკი.

—:—

ამხ. ოლია სტურუას გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატი"-ს სასარგებლოთ სამი მანეთი. და ვიწვევ შემდეგ ფაბკომებს: ოზურგეთის ძაფ-სალებ ფაბრიკის ფაბკომს, ხონის ძაფ - სალებ ფაბრიკის ფაბკომს და თელავის ძაფ-სალებ ფაბრიკის ფაბკომს.

ნინა არეშიძე.

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ასაგებ ფონდში ოლღა გედრხელიძის გამოწვევით 2 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ხლუსოვა ლუბა, გედევანიშვილი გიორგი, კიკნაძე მიხეილი, ქავთარაძე ნადეჟდა, მაიერი ალვინი, ხელაია სოფიო, ნოდია კალისტრატეს, სანიკიძე სილოვანი.

ნინა ელიავა.

—:—

შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდში გასაძლიერებლათ, ამხანაგ გერხელიძის გამოწვევით, 2 მანეთი.

ანნა მიხაილოვა.

ავჭალის თემკომის მდივნის ამხ. კოროშენიძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ქუთაისიდან 1) გიორგი ცომაიას (დასავლეთ საქ. რკ. გზების უფროსს), 2) შალვა კახაბერს, 3) შალვა მახარაძეს — „რიონჰესიდან"; ხაშურიდან —1) კოსტა დავიდოვს (სად. ხაშურის უფროსს); გორიდან — 1) გრიშა ალადანიას, 2) პლატონ ბერიძეს, 3) სიმონიკა უჯმაჯურიძეს; თბილისიდან — 1) ნადია შალიკაშვილს (სადგურ თბილისის თანამშრომელს), 2) ქეთო ულენტს, 3) გრიგოლ ხეცურიანს (სასინჯი პალატის კონტროლიორს), 4) დიომიდე თოფურიას (პირველი ინდუსტრიალური ტეხნიკუმის გამგეს), 5) ონისიმე ყურაშვილს (გზატკეცილთა დისტანციის გამგეს) და ლენინგრადიდან ექიმ იოსებ მიხეილის ძე დონჭაშვილს.

მამია იოსელიანი.

—:—

დღეს შემოვიდა 41 მან. წინეთ შემოსულთან—6.573 მ. 82 კ. და ერთი ოქროს მაჯის საათი.

მადათოვის კუნძულის გაფართოება

განზრახულია მტკვარის მარჯვენა შტოს ამოშრობა მადათოვის კუნძულთან.—მადათოვის კუნძულის ახალ ტერიტორიაზე ეწყობა ბაღი და ბაზარი

თბილისის აღმასკომის კეთილ - მოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა გააუქმოს მადათოვის კუნძულზე მარჯვენა მხარეზე მომავალი მტკვარის ტოტი და ამ ტოტის ადგილას მოაწყოს ბაღი, ბაზარი და სხ. ამის გამო ახლო ხანში შეუდგებიან ვერის ხიდიდან მარქსის ხიდამდე კედლის აგებას. ამავე მანძილზე, აგრეთვე გაყვანილი იქნება 10 საჟენიანი გზა-ტკეცილი.

მტკვარის მარჯვენა ნაპირის გასამაგრებლად საჭირო იქნება მაღალი კედლის ამოყვანა, რომელიც დაჯდება 804.000 მანეთი. რადგან ეს თანხა ჯერ-ჯერობით არ არის დაგროვილი მთლიანად, ამიტომ პირველ ხანებში ააშენებენ დაბალ კედელს; რაც დაჯდება 100 ათასი მან. მუშაობა დაიწყება წელსვე.

თბილ. მაზრის კურორტები

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ჯანმრთელობის განყოფილების გამგის ამხ. მამულიას მოხსენების მიხედვით, დაადგინა თბილისის მაზრის აგარაკები მანგლისი, კიკეთი კოჯორი გამოაცხადოს კურორტებად. ვინაიდან ეს აგარაკები არაფრით არ ჩამორჩებიან რესპუბლიკის სხვა კურორტებს. ამ აგარაკების კურორტებად გამოცხადების გამო, მათი კეთილმოწყობის მიზნით პირველ რიგში გადადებული იქნება 50.000 მანეთი. ამ კურორტებზე გაყვანილი იქნება წყალსადენი, კანალიზაცია, აგებული იქნება საავადმყოფოები, გაშენებული იქნება ბაღები და წიწვიანი ხეების ტყეები და სხვა. განზრახულია ახალი საავარაკო სახლების აგება ქართულ სტილზე და სხვა.

პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა მიწათმოქმედების კომისარიატებთან ერთად მომავალი წლიდან შეუდგეს ამ კურორტების საზღვრების გამორკვევას.

ხელოვნება

სიმფონიური კონცერტები

(პიანისტი ქალი მარიამ ასათიანი და მომღერალი ქალი ავეტისოვა)

საორკესტრო მუსიკოსების 1-ლი შრომის კოლექტივის კონცერტი, რომელიც შესდგა 10 აგვისტოს, მეტად საინტერესო იყო როგორც პროგრამით, ისე იმით, რომ კონცერტში მონაწილეობას იღებდა ორი ახალგაზრდა მსახიობი, რომელნიც დიდ იმედებს იძლევიან.

პროგრამის უმთავრესი ნომერი იყო ბეთჰოვენის პირველი სიმფონია. კარდაშევი სისწორით იცავს დიდი კომპოზიტორის სტილს. ორკესტრმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი მასიური მუსიკალობა. თუ მუსიკალური ფორმის პირველ ნაწილს ემჩნეოდა მცირეოდენი ნაკლი. სამაგიეროდ მეორე ნაწილი დამთავრებული სახით იქნა შესრულებული. მხოლოდ არ არის მიზანშეწონილი ის, რომ კარდაშევი შეუწყვეტლად ასრულებს ორთავე ნაწილს; ეს ნაწილები ერთი მეორის მოპირდაპირეა როგორც შინაარსით, ისე იდეით და ამიტომ ცალცალკე უნდა იქნას შესრულებული. მაგრამ იყო შესრულებული სიმებიანი ინსტრუმენტების მშვენიერი ფუგა მეორე ნაწილში. ეს მხატვრული მომენტია. სავსებით სტილისტიურად იქნა შესრულებული მე-3 და მე-4 ნაწილი ნათელი ფინალით.

კონცერტის მეორე ნომრად შესრულებულ იქნა ჩაიკოვსკის მშვენიერი ფანტაზია „ფრანჩესკა და-რიმინი", ამ ნაწარმოებში ჩაიკოვსკიმ გასაოცარი სიცხოველით განასახიერა მუსიკაში ეპიზოდი დანტეს პოემიდან „ჯოჯოხეთი" (დანტეს ფანტასტიური შეხვედრა ჯოჯოხეთში მყოფ ფრანჩესკა და-რიმინთან, რომელიც მოკლულ იქნა მისი ქმარის მიერ, იმის გამო, რომ ვითომც მან უღალატა ქმარს და შეიყვარა პაოლო მალატესტა). აქ ჩაიკოვსკიმ მოგვცა იმდენი შესანიშნავი მომენტები (ტანჯვა ჯოჯოხეთში, გოდება ფრანჩესკასი და პაოლოსი, რომელნიც უდანაშაულოდ იტანჯებიან და სხ.), რომ პოემა მსმენელს იტაცებს ხმების სილამაზით და შინაარსიანობით. პოემა მშვენივრად იქნა შესრულებული — ორკესტრმა ძლიერი განცდის გამომწვევი მუსიკით აღფრთოვანებისა და ტანჯვის ნათელი სურათი მოგვცა. უნდა აღინიშნოს ერთი რამ: ფრანჩესკას და პაოლოს თემა ვიოლონჩელის კვარტეტში ფლეიტის რეპლიკით შესრულებულ უნდა იქნას ხმის სრული მთლიანობით.

მარიამ ასათიანმა შეასრულა ჩაიკოვსკის ცნობილი საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრის დახმარებით. უეჭველად შესანიშნავი ნიჭი აქვს ახალგაზრდა პიანისტკას: მას აქვს საუცხოვო ტეხნიკა, ბევრი მუსიკალობა, ლამაზი ფრაზა. ასათიანი მუსიკალურ სწავლას იღებს პიანისტკა ტატუროვასთან, რომელიც მიმდევარია მოსკოვის ცნობილი პიანისტის იგუმენოვის, რომელთანაც მან დაამთავრა თავისი მუსიკალური სწავლა. აქ სჩანს იგუმენოვის მშვენიერი სკოლის გავლენა.

ავეტისოვამ სწავლა დაამთავრა პროფესორ ბარერთან. მას ლამაზი ხმა და საუცხოვო დიქცია აქვს. არია ოპერა „ორლეანელი ქალწულიდან" შესრულებულ უნდა იქნას უფრო მეტი სიფრთხილით. რომანსი კარგად იყო შესრულებული.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **დიდი საღამო კონცერტი.** დღეს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის კლუბში გაიმართება კონცერტი ოპერის მომღერალთა მონაწილეობით.

— **ქუთაისის** აკადემიურ თეატრის ხელმძღვანელად წელს მოწვეულია რეჟ. მხ. ქორელი.

—**მუშათა** ახალ კლუბში დღეს გაიმართება სატირის საღამო.

— **კომკავშირელ მწერალთა** წრის ბიურო აცხადებს კომკავ. მწერლების საყურადღებოდ, რომ ა.-წ. 3 სექტემბრისათვის (კომკავშირის ათი წლის თავის აღსანიშნავად) გამოდის ლიტერ. ალმანახი; მასალები უნდა გამოგზავნილ იქნას არა უგვიანეს 20 აგვისტოსა. მისამართი: რუსთაველის გამზირი № 23, ვ. ლუარსაბიძეს.

დღეს კინოებში

— **დარბაზში** — „ბოროტ-მოქმედების ღამე".
— **აპოლოში** — „კუნძულელი ქალი".
— **ეთერში** — „შეიხი".
— **პალასში** — „ცეცხლის ალში".
— **მინიონში** — „კონფლიქტი".
— **ხრფასტოში** — „სოდომი და გომორა".

რკინის გზებზე

ახალი ხიდების მოსაწყობათ

მომავალ სამეურნეო წლისათვის რკინის გზების ცენტრალურ სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს დაუკვეთოს ფერმები ა.-კ. რკინისგზებზე შენებულ რამოდენიმე ხიდისათვის.

ახალი კოლხელშეკრულება

ა. წ. ოქტომბერში რკინისგზელთა ცენტრალურ კომიტეტსა და გზათა კომისარიატის შორის დადებული იქნება ახალი კოლექტიური ხელშეკრულება. წინასწარ ეს ხელშეკრულება განხილულ იქნება ტრანსპორტის მმართველობის საბჭოს პრეზიდიუმში.

დავალიანება

სოცდაზღვევის ანარიცხების თავის დროზე გადაუხდელობის გამო, ა.-კ. რკ. გზ. გამგეობა დავალიანდა საგზაო დამზღვევ სალაროს წინაშე — 100.000 მან. რაოდენობით.

გზის გამგეობამ დაადგინა ეს ვალი მოკლე ხანში გადაიხადოს.

გამფლანგველი

საშემოსავლო განყოფილებამ სადგ. ხუდატის ანგარიშების გასინჯვის დროს აღმოაჩინა, რომ **სადგურის უფროსის თანაშემწე** კვიტკოს გაუფლანგავს — 1.127 მანეთი.

ამასთანავე გასინჯულ იქნა ლენინაკანის ქალაქის სადგურის ანგარიშებიც და იქ გამოირკვა, რომ ქალაქის სადგურის უფროსის თანაშემწეს მესტონოვს გაუფლანგავს — 748 მან. 90 კაპ. ორთავე გამფლანგველი დაპატიმრებულია.

პატარა ფელეტონი

პოლიანდრე რაკრიკაძის მოგზაურობა ეს-ეს-ერ-ში *)

V

პოლიანდრეს აზრი რწყილზე, როგორც ასეთზე. — პოლიანდრე მენშევიკების გასამართლებაზე ხარკოვში

მძინავს, ცხელა, მეტად ცხელა.
ოფლის ღვარმა დამანელა
რაც რწყილია და ბაღლინჯო
მე მესევა თურმე ყველა.
გამეღვიძა. გავიხედე
პოლიანდრეს ტკბილად სძინავს,
როგორც ჩვენი ორთქლმავალი
ისე სუნთქავს, ისე ქშინავს.
გადავბრუნდი, ვსცადე ისევ
ჩემს თაროზე დაძინება,
მაგრამ წყეულ რწყილ-ბაღლინჯომ
აღარ მომცა ძილის ნება.
ვიტრიალე, ვიწრიალე;
ავდექ, სანთელს აუკიდე,
(პოლიანდრეს ისევ სძინავს
პოლიანდრე ხვრინავს კიდევ)
ნეტავ რწყილი არ აწუხებს,
გავიფიქრე, ან ბაღლინჯო?
მე ხომ ლამის სიმწარისგან
ტანზე კანი ავიგლიჯო.
ნუ თუ, კაცო, რწყილმაც იცის,
თუ ვინ არის მეცნიერი
და იმიტომ არ კბენს იმას...
არ სურს იყოს კადნიერი?!

ან, ვიფიქრე: ჩვენს მეცნიერს
იქნება აქვს საშუალება,
რომ თვალიდგან ამაცილოს
ამნაირი გაწვალება.
გავაღვიძო.. რით გავბედო,
რით გავბედო გაღვიძება.
ჩვენს მეცნიერს ძილი უფრთხოს
აქვს კი ვინმეს ამის ნება?
თუ არა და რა ვიღონო,
რწყილი როგორ მოვიშორო.
ნუ თუ თავხედ რწყილისათვის
ღამე დღესთან გავასწორო..
ისევ ხერხი ვამჯობინე:
— პოლიანდრე მეძახოდი?.
გადავძახე: პოლიანდრე,
რათ გინდოდი, რათ გინდოდი?
ხმა არ გამცა... — პოლიანდრე!—
უფრო მაღლა მივაძახე:
პოლიანდრე, რა გიხდოდა
წელან რატომ დამიძახე?
— ა... ჰო... ვინ ხარ? - მიპასუხა
მოიფშვნიტა თვალი ხელით.
— მეძახოდი პოლიანდრე?
აი,აქ ვარ, გაეახელით.
— ვინ გეძახდა? — გაიკვირვა,
— განა თქვენ არ დამიძახეთ?.
მე გეძახდი? მე მეძინა—
ერთი აბა ამას დახეთ.
— თქვენ მეძახდით... არც ვიცოდი,
კაცმა რომ სთქვას, თუ გეძინა...
(პოლიანდრემ დაამთქნარა,
პირი აღლზე დააჩინა)
— პოლიანდრე, — შევეკითხე,
განა რწყილი არ გაწუხებს?
მე არ მომცეს მოსვენება,
არ მაძინეს სულაც წუხელ.
შემომხედა პოლიანდრემ:
— რა უციცი რამა ხარო,
რწყილსაც რომ ვერ მოერიე
როგორ გინდა გაიხარო?.
რწყილი, კაცო... რაა რწყილი,
კაცმა ვსდრიკე მზე და მთვარე,
შენ კი რაღაც რწყილის გამო
მთელი ღამე გაიმწარე.
ვერ მითხარი? მე მოგცემდი
შენ უებარ საშუალებას.
მოგრჩებოდი იმავ წუთში
იმ ტანჯვასა და წვალებას.
პოლიანდრე ადგა ზეზე,
თაროს ხელი გაუწოდა,
იქ ასანთი ჩამოიღო
და გასინჯა თუ იწოდა.
შემდეგ დანით ასანთის ღერს
ჩამოფხიკა ხოლმე თავი,
ხელის გულზე დაიყარა
და მომიყვა ეს ამბავი:
— რწყილი, ხოზიკ, მეტის მეტად
მაბეზარა ცხოველია;
ის სიკვდილის ღირსი არის,—
კაცის სისხლის მწოველია.

აი, ხედავ? ხელის გულზე
წუმწუმა მაქვს აგერ არა?
ვსთქვათ, რომ ეხლა შენს სხეულზე
რწყილ - ბაღლინჯომ გაიარა.
დაიჭირე ორ თითს შუა
მოათავსე მაბეზარა.
(ფრთხილად იყავ არ გაგექცეს,
ის ტრიალებს როგორც ჯარა)
მოათავსე და ეცადე,
რომ გაუღო დიდზე პირი.
ეს საქმეა, უნდა გითხრა,
მეტის მეტად გასაჭირი:
ხელის გულზე რომ გიყრია
შენ წუმწუმის ხოლმე ფხვნილი,
იგი პირში ჩაუყარე,
(კვლავაც უნდა იყო ფრთხილი)
შემდეგ, ხოზიკ, ეგი საქმე,
ამნაირად პროსტოდ ხდება:
ფხვნილს ასანთით აანთებ
და რწყილიც ხომ აფეთქდება?!
— როგორ, ვკითხე: რწყილი ვძებნო,
დავიჭირო, პირი უღო,
პირში ფხვნილი ჩაუყარო,
ერთ რწყილს ვსდიო, სხვას რა უყო?
არ სჯობია? თუ დავიჭერ
ფრჩხილს დავადებ მყისვე ზედა,
და გავსრისავ. განა ასე
უფრო „პროსტოდ" არ მოხდება?
რაო? ფრჩხილით გასრისოვო?!
როგორ, როგორ? ფრჩხილი ზედა?
ჰო, კი, რატომ, თუ შენ გინდა
ამგვარადაც შეიძლება.

* * *

ამ ერთობ რთულ საუბარში
დაგვათენდა თავზე კიდეც.
ორთქლმავალი ისევ მიქრის,
გზას არ უჩანს ზღუდე-კიდე,
უკრაინის გაშლილ ველებს,
შემოურტყამს ირგვლივ ალყა,
პურეულის ოქროსფერ ზღვას
ცის კიდემდე თვალი აჰყავს.
მთები ცქერას აღარ ზღუდავს,
თვალებს ავსებს ოქროს ყანა
და დილის მზით შეფერილი
მხიბლავს, ლაღი ეს ქვეყანა.
ოქროს თავა ყანის ზღვაში.
წარმტაც ზღაპრულ სილამაზით,
თეთრი ცაცხა ჩამალულა,
თავმორთული ჩალით და ბზით,
როცა დილით ნელი სიო
ყვითელ ყანებს აშრიალებს,
ქარის წისქვილს ეჭიდება
და მის ფრთებსაც ატრიალებს.
ორთქლმავალმა ადრე დილით
მიგვაქანა ქალაქ „ხარკივს"*).
დაღალული, დაქანცული
ფრთა ჩამოყრილს გავდა არწივს.
მომაგონდა ხარკოვში რომ
მენშევიკთა პროცესია,
რომ არჩევდა სასამართლო
ვის, სად და რა „უთესია".
გაუბედე პოლიანდრეს:
—არ დარჩებით ცოტას განა?
საჭიროა ამ პროცესზე
თქვენი აზრის გამოტანა.
—პროცესია? შემეკითხა.
—ვინ მოაწყო პროცესია?

არ მასვენებს მე ეს ხალხი,
ხალხი აქაც დამესია.
—მე პროცესზე მოგახსენებთ,
პოლიანდრეს გაუბედე:
—დღეს ხარკოვში საქართველოს
მენშევიკებს ბრალსა სდებენ.
სასამართლოს პროცესია,
კარგია თუ დაესწრებით.
კალინინთან მისვლას მაინც
ხომ ყოველთვის მოესწრებით.
აქაც ხომ კი უნდა ნახოთ
პეტროვსკი და თან ჩუბარი.
მოძმე ხალხის ხელმძღვანელთან
სწორედ გმართებთ საუბარი.
—ოჰ? მაშ კარგი, თანახმა ვარ
გადავიდეთ სასტუმროში.
მაგრამ საქმე უნდა მოვრჩეთ
მეტის მეტად მოკლე დროში,
ნეტავ, კაცო, ამდენი დრო,
ვერ გავცდები მეცნიერი,
—პოლიანდრე, მოვახსენე:
—თქვენს აზრს ელის მთელი ერი.
ერთი სიტყვით, მოკლეთ რომ ვსთქვათ,
სიტყვა რაღა გავაგრძელო,
დამეთანხმა მეცნიერი,
გავიტანე ჩემი ლელო.
ის კი მითხრა: ხომ კი გახსოვს,
ვმოგზაურობ ინკოგნიტოთ.
შტობი ნიზნალ ეტო ამბავ
შტობი ნიზნალ ეტო ნიკტო.
ჩვენ ორთავე მივადექით
სასამართლოს ფართო კარებს,
ქუჩა ხალხით გავსილია,
ახლოს ვინღა გაგაკარებს.
ვფიქრობ: რა ვქნა. ხალხის კედელს,
რა გაარღვევს ასეთს ნეტა.
თუ არა და სასამართლო
კარი ჩვენთვის დაიკეტა.
დავარღვიო მოდი სიტყვა.
გავამხილოდ ვინ ვართ ჩვენა.
როგორ გინდა პოლიანდრეს
რისხვისაგან გადარჩენა.
არა ვსთქვა და როგორ შევხვალ
ამ ხალხს დასძლევს რა ჯანდაბა,
გადავსწყვიტე, უნდა მეთქვა,
მაშ რა მექნა, თქვენ სთქვით აბა.
მაგრამ ისევ მეცნიერის
მომშველა აზრი ხადი,
მითხრა: ხოზიკ, შენ მცველი ხარ,
ვითომ, ჰო და, მე ტუსაღი.
ამოიღე შენი ფიშტო.
დაიჭირე მარჯვენით ხელში,
ქუდი თავზე გაისწორე,
გაიმართე კარგათ წელში.
მართლაცა ასე მოვიქეცით.,
ვუყვირი: აბა, ბერეგიცა...
დაროგ დავაი, დაროგ დავაი,
არესტანსკი იდოტიცა...
ხალხი მიიწ-მოიწია,
გაკვირვებით იწყეს ცქერა.
მოხალისეც კი გამოჩნდა
გზის მკაფავი,—ვიღაც ქერა.
ამნაირად, ოსტატობით
მივაღწიეთ ჩვენს ჩვენ მიზანს,
ეხლა უკვე დარბაზში ვართ,
ვინ რას გვეტყვის, ვინ რას გვიზამს.
დინჯათ დადის პოლიანდრე
სასამართლოს დიდ დარბაზში,
(გარეგანი შეხედვითაც
განირჩევა ის ათასში)

მე კუთხეში მოშორებით
ცალიერი სკამი ვნახე,
ჩამოვჯექი, ჩემთვის მარტოდ
მყუდროდ ყოფნა განვიძრახე,
ვხედავ ჩვენი მეცნიერი
მაგიდისკენ გაემართა
(თქვენს მტერს, ნალხო, იმისთანა
რაც იმას დღე დაემართა).
მივიდა და წამოსკუპდა
პროკურორის სავარძელში
შორს ვარ მაგრამ, შიშისაგან
გამაცივა მაინც წელში.
დაჯდა ნელად გადაშალა
პროკურორის სქელი საქმე
(ვწუხვარ, ვწუხვარ, ველარ ვდგები,
ვერ ვისვენებ სკამზე აქ მე)
გადაშალა და კითხულობს
თითქო იყოს პროკურორი.
(შვენოდა კი უსათუოდ
კაცმა რომ სთქვას აქვე სწორი)
გავიხედე, რას შეხედავ.
ვინ ვიხილე, რა გგონიათ,
პოლიანდრეს ფანქრით ხელში
გვერდს მოუჯდა ა. ქყონია.
უკითხება:—ამხანაგო,
თქვენი აზრი როგორია,
ჯაშუშებთან რომ გვაქვს საქმე
ხომ მართალი და სწორია?
პოლიანდრემ ჯერ ახედა,
თვალი ნელა ააყოლა,
შემდეგ (სწორედ გამიკვირდა)
პაპიროსი გააბოლა,
და დაბოლოს ა. ქყონიას
მან „ნებრეჟნათ" ჰკითხა ასე:
—ვინ იქნებით თქვენ, ყმაწვილო
შეკითხვებით რომ ხართ სავსე
—მე ვინა ვარ? „კომუნისტი"-ს
სპეცკორი ვარ, ჰა მანდატი,
შეკითხვები უნდა მოგცეთ
მე თქვენ ბარე ოცდაათი.
პოლიანდრეს გარს ეხვია
ამ დროს ათი რეპორტიორი
ყველას სურდა გაეგონა
მისგან აზრი ერთი-ორი.
—მაშ ჩასწერეთ, განაცხადა
პოლიანდრემ ისევ დინჯათ.
არ მცალია, მაგრამ რა ვქნა
გეტყვით ჩემს აზრს, რაკი გინდათ.
ვაზჩე ნადა ატმეტიტი,
ეტო ოჩენ ბინძურ დელა
სამ პასმატრი, ეტო ხალხი
პოლონეთში შპიონ დელალ.
ტეპერ კაცო ეტო ნედელ,
ეტო მესტა ნაში სუდი,
ზაპრასიტი სდელოტ ბუდიტ,
პასმატრიტი ტუდი-სუდი,
შო და, პატომ ნეპრემენში
სდელატ ბუდიტ განაჩენი...
არ მცალია მეტი ეხლა,
მოაწერეთ დანარჩენი.
პოლიანდრემ ის ის იყო,
მოათავა საუბარი,
რომ დარბაზში სასამართლოს
ზიზრმანების დაჰკრეს ზარი.
შემოვიდენ დამცველები,
შოიყვანეს ტუსაღები
სათათბირო ოთახშიაც.
გადაბრუნდა გასაღები,
შემოვიდა პროკურორიც

და აქ მოხდა საქმე ძნელი.
ხედავს, ვიღაც კაცს უჭირავს
ხოლმე მისი სავარძელი.
—ვინ ბრძანდებით ეკითხება:
—თქვენ ვინა ხართ მიპასუხეთ.
პოლიანდრემ გადახედა
იმ პროკურორს მეტად მწუთხედ.
—მე ვინ ვარ და პროკურორი,
თქვენ ვინა ხართ, აბა თქვენა.
—მე... მე.. ისე.. მოქალაქე..
პოლიანდრეს ედრძო ენა:
—პოლიანდრეს წამოსვლა სურს,
არ ეშვება პროკურორი
ეკითხება: ამ ჩემს საქმეს
რათ დაადეთ თქვენი ტორი,
ვხედავ, ვატყობ პოლიანდრეს
საქმე უკვე ცუდათ არი.
ვატყობ, ეხლა მომიხდება
გამჟღავნება მისი გვარის.
გავექანე და პროკურორს
ჩავჩურჩულე ჩუმად ყურში
—რას სჩადიხართ, ფრთხილად ცოტა,
ხომ არ ზიხართ კაცო ჭურში.
პოლიანდრე რაკრიკაძე
თქვენ არ იცით არის ვინა?
მისი ქება და სახელი
მთელ ქვეყანას მოევლინა.
—პოლიანდრო, გაიგონეს,
აგრიალდა მთლად დარბაზი,
ყველას უნდა მისი ნახვა
ხალხი ერთ-ერთს ზურგზე აზის.
პოლიანდრე ალტაცებით
მყისვე ხელში აიყვანეს
და სულ ვაშას შეძახილით
რონოდამდე მოიყვანეს.
რონოდაში პოლიანდრე
დაიმალა რეპორტიორებს,
მაგრამ განა ამ ჯურის ხალხს
კაცი სადმე მოიშორებს?
პოლიანდრემ მისცა იმათ
ამნაირა „საუბარი":
ბოდიშს ვითხოვ, რომ ვერ ვნახე
მე პეტროვსკი და ჩუბარი
გთხოვთ გადასცეთ მათ სალამი
და თან აჰ ეს საჩუქარი.
აწინდების გასარკვევი
საშუალება უებარი...
შევამჩნიე თქვენც ნახავდით
აქ უამრავ ქარის წისქვილს,
მე არ ვიცი როგორა სჭამთ
ქარი რომ ფქვის—ხოლმე იმ ფქვილს,
განზრახვა მაქვს, აგიშენოთ
ყველგან წყალის წისქვილები
მაშინ ნახეთ და გასინჯეთ
იმ წისქვილის დაფქვილები.
—რომ არა გვაქვს წყალი?—ჰკადრეს,
—წყალი არ გვაქვთ, რაა მერე,
თქვენ არხებით გადასერეთ.
მერე მოვალ და იმნაირ
წყლის წისქვილებს ავაშენებ,
რომ სულ ყველას გავაკვირვებ
და თქვენს მხარეს დავამშვენებ.
გაათავა პოლიანდრემ
ამ სიტყვებით საუბარი,
და ნელ-ნელა მოსკოვისკენ
ჩვენ ისევე დავიძარით.

ხოზიკა.

---

*) რედაქციამ გადმომცა მის სახელზე მიღებული ჩემთვისა და რედაქციისათვის სრულიად უცნობ მოქალაქე რიკრიკაძის წერილი, სადაც ავტორი საყვედურს გამოსთქვამს იმის გამო, რომ ჩემ ფელეტონებში „სასაცილოდ" არის აღებული რიკრიკაძის გვარი. წერილში სწერია სხვათა შორის შემდეგი: „აგერ ორი წელია, რაც „კომუნისტი"-ს ფურცლებზე თავსდება სახუმარო ლექსები სათაურით „პატარა ფელეტონი" პოლიანდრე რიკრიკაძის შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ საერთოდ ფელეტონის წინააღმდეგ მე არაფერი მაქვს, მაგრამ, როდესაც ამხ. ხოზიკა ჩემს გვარს სამასხროდ იღებს აგერ მეორე წელია — ეს არაა ლამაზი... სულ მთელ საქართველოში 3 ოჯახია რიკრიკაძეებისა და თუ ჩვენ არა, სხვას არავის შეეხება ხოზიკას ოხუნჯობა... გთხოვთ ჩემი გვარი არ იქნეს კიდევ გაზეთის ფურცლებზე".

ამის შესახებ მოქ. რიკრიკაძეს უნდა მოვახსენო შემდეგი:

ჩემი „გმირის" გვარია არა რიკრიკაძე, როგორც ეს შეცდომით გავიდა ერთხელ გაზეთში, არამედ რაკრიკაძე. ეს ფორმალური მომენტი. არსებითად კი მე კატეგორიულად და გულწრფელად ვაცხადებ ავტორის საყურადღებოდ, რომ რაკრიკაძის გვარი ჩემ მიერ აღებულია სრულიად შემთხვევით და არასოდეს არ მიფიქრია ვინმესთვის პირადად რაიმე შეურაცხყოფა მიმეყენებია, მით უმეტეს, რომ არავითარი ნაცნობობა ვინმესი რიკრიკაძის (ან მით უმეტეს, რამდენადაც ვიცი, არ არსებული რაკრიკაძის) გვარიდან მე ჩემს სიცოცხლეში არ მქონია. იმედი მაქვს, რომ ამ განმარტებით დაკმაყოფილდება წერილის ავტორი.

ხოზიკა.

*) ასე ეწოდება უკრაინულად ხარკოვს.

პირშერცხვენილი—თამბა-ტეხილი

თბილისის ზღუდეს მოადგა
ოქტომბრის რევოლიუცია.
ზოგი გაიქცა — წაიქცა,
ზოგს თავიც ველარ უცვნია.
ნოე გაცურდა კიდობნით,
სხვა ნოეც მიუტკუცია.
ბრელიოს უთქვამს: მობრძანდით!
პარიჟს ნუგეში უცია.
დაჯექ, წერილი დასწერე,
წონით თუნდ ერთი უნცია,
მით კომუნისტებს დაამხობთ
და თვალს აუხელთ ბრუციანს.
წყალწაღებულის იმედი
ქაფზე მობმული ხავსია;
დასხდნენ და მართლა დასწერეს,
ნაწერი კიტრის ფასია.
„—ინგლისი ნოტას ამზადებს,
(ის ხომ ვერაგი, ნავსია.)
ჩვენი პილსუცკი—პირწუწკი
თოფზარბაზნებით სავსეა.
ქართველიც უნდა წამოდგეს,
ეყო მუცელზე გდებაო.
ნოეს შაშხანა თოფი აქვს,
მეხივით გავარდებაო.
მხოლოდ საფრთხე კი ერთი გვაქვს,
თუმცა ღმერთია სვიანი:
აქ ფაშისტებათ გაგვიხდენ,
ბელადობს ასათიანი.
თუმც რომის პაპი ჩვენ გვწყალობს,
კიდევ ჩემბერლენ-ბრიანი
მაინც კი გვმართებს სიფრთხილე,
რომ ავიცილოთ ზიანი.
თუ პორტფელები წავართვეს,
დღე რაღად გვინდა მზიანი?
ან საქართველო რათ გვინდა,
ოხრადაც დარჩეს ტიალი!
ვაგზავნი ჩემსა ემისარს,
სცან, იგი არის სხვა ლომი;
გვარად თუმც ქარცივაძეა,
დავარქვით აბესალომი.
აქეთ გორასა წიხლსა ჰკრავს,
იქით გორასაც ძვრას უზამს!"
(მკითხველო ყური დაუგდე,
ჩეკა მას როგორ წაჰკუზავს.)

—:—

ასათიანმა გაიგო,
სთქვა თუ რა მოუჩმახია;
ორი დღე ბუშტი იზილა,
ნოე არ დაუნახია.
გათენდა, კარზე მიუხტა,
ფანჯრებს გაჰქონდა ზანზარი;
ერთი რომ ცხვირში დაადო
ყვირილი ასტყდა საზარი.
ჩხენკელი ველარ აშველებს,
თვითონ გაიქცეს, მზად არი.
და ნოე, თვითონ ფაშისტი,
დაზილა, მაგრა გალახა;
ქაჩლები იქ რას იყოფენ—
ეს უწყის მხოლოდ ალახმა.

ფიდო ლამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურებ-ჩოხატაურის გზა

მართა კალანდაძის ასული რამიშვილის გამოწვევის თანახმად, სურებ-ჩოხატაურის გზის სასარგებლოდ შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდე პირებს: ეკატერინე რამიშვილისას, თებრონე გლახუნ რამიშვილის ასულს, აგრაფინა ჟღენტს; ბაისო ბერაშვილის ასულს რამიშვილისას; მარიამ მდინარაძის ასულს რამიშვილისას, ოლღა ბარამიძის ასულს რამიშვილისას; ფაცია და ნინა რამიშვილებს: საველი ტრიფონისძე გორგაძეს. ნატაშა ზურქულაძეს; მაშო და ილიკო რამიშვილებს; მარო ტრაპაიძეს, სელო რამიშვილს.

ელისაბედ ბარამიძის ასული რამიშვილისა.

სოფიო გიგინეიშვილის გამოწვევით შემომაქვს სურებ-ჩოხატაურის გზისთვის სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ პირებს: პეპე ბარამიძე, ნინა ბარამიძისა; ვარდო ბარამიძისა; ჯიმშერი ბარამიძე; ეგანა გიგნეიშვილს და ვასილ ბარამიძეს.

მართა ბარამიძისა.

ამხ. გრიშა შარაშიძის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი, ჩოხატაურის გზის ფონდში.

ზინოვი კალანდარიშვილი.

თანახმად მელიტონ ივანესძე რამიშვილისა და მართა რამიშვილის გამოწვევისა სურებ-ჩოხატაურის გზის სასარგებლოდ შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თანახმად მელიტონ ივანესძე რამიშვილისა აკობი დარსალიას; ერგვენ გლახუნისძე რამიშვილს; ლიპარტი გიორგისძე რამიშვილს; ნოე გგილოსძე რამიშვილს; კოლა ქიშვარდისძე რამიშვილს; ტატიანა ქიშვარდის ასული რამიშვილს; ქეთო რამიშვილი—გრატიაშვილისას; რუთი რამიშვილი-კალანდაძისას და კალისტო არჯევანიძე რამიშვილს.

შალვა ესოფისძე რამიშვილი

სურებ-ჩოხატაურის გზის გასაყვან ფონდის გასაძლიერებლად სულ შემოვიდა 1797—84 კ.

სასამართლო

ტრაგიკულად დასრულებული ქეიფი

ალექსი ბარუჩიანცი, სარქის აჩნაზაროვი, კარაპეტ ვართაზაროვი მეტ სახელად „ჩოპკა“ და გურგენ როსტომოვი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. ერთ დღეს, შეხვედრისას, მათ გაცხოველებული სჯაბაასი გამართეს „საჭირბოროტო“ საკითხებზე. კარაპეტი თავგამოდებით იცავდა იმ აზრს, რომ უფულოდ ცხოვრება არა ღირს. დანარჩენები უფრო ოპტიმისტურად უყურებდენ ცხოვრებას და ამტკიცებდენ უფულოთაც შეიძლება კარგათ ცხოვრებაო; — აგრე შევადგინოთ ჩვენებრ მხიარული ვაჟკაცთა გუნდი და რაც ვიშოვოთ სულ ლხინში ვხარჯოთო.

„მეგობრებმა“ სიტყვა საქმეთ აქციეს და დაარსეს „მუშტ - კრივისტების“ გუნდი, სახელწოდებით „ჩოპკა“.

ა. წ. 15 აპრილს, მეგობრებმა მთელი დღე სვეს. საღამოს ათ საათზე შევიდენ სასადილო „შუა მთის წყარო“-ში (რუსის ქ. 3) და განაგრძეს სმა. ქეიფის დროს როსტომოვი და ბარუჩიანცი წალაპარაკდენ. როსტომოვმა უწმაწური სიტყვებით შეამკო ბარუჩიანცი და თანაც დასძინა:

— „შენ უსინდისო კაცი ხარ და გაგვეცალე აქედანო“. ბოლოს მან აიღო სუფრის დანა და მსუბუქად ფეხში დასჭრა ბარუჩიანცი.

„მეგობრები“ განცვიფრებაში მოვიდენ როსტომოვის მოქმედებით და მიმართეს მას თხოვნით თავი დაენებებია ჩხუბისათვის. როსტომოვი მაინც ღელავდა და გაიძახოდა:

— „კაცი არ ვიქნები, თუ ბარუჩიანცს არ დავუმტკიცე ჩემი ვაჟკაცობაო“.

დიდის ვაი - ვაგლახით როსტომოვი დაამშვიდეს. მეგობრები წავიდნენ თავიანთ სახლებში.

ბარუჩიანცმა გადასწყვიტა საჩქაროდ ეძია შური „მეგობარზე“.

მან მეორე დღეს, საღამოს, წაიყვანა 4 ამხანაგი და საბჭოს ქუჩაზე სასტუმრო „ავრორა“-ს წინ შეხვდა როსტომოვს. ამ უკანასკნელს ბარუჩიანცის მეგობრებმა თავაზიანად მიესალმენ და უთხრეს მას:

— „ჩვენ განზრახვა გვაქვს დავლიოთ 10 კვარტი ღვინო და გთხოვთ წამოხვიდეთ ჩვენთანო“. როსტომოვი დასთანხმდა.

რესტორანის მაგიერ ბოროტგამზრახველებმა როსტომოვი ბნელ კუთხეში მიიყვანეს. ბარუჩიანცმა დაცინვის კილოთი უთხრა მას:

— „გურგენ ვინ აღმოჩნდა ჩვენს შორის უფრო ვაჟკაციო“...

როსტომოვი ირწმუნებოდა, რომ მან ყოველივე ჩაიდინა სიმთვრალით და არა ბოროტი განზრახვით. მიუხედავათ ამისა, ბარუჩიანცმა დანა ჩასცა მას მკერდში და შემდეგ კი მუცელი გამოღადრა. როსტომოვი იქვე გარდაიცვალა.

ბარუჩიანცი დააპატიმრეს, ხოლო დანარჩენი ბოროტმოქმედნი ვერ იქნენ აღმოჩენილნი.

თავდასხმა

ა. წ. 2 იანვარს, მეეტლე **ანდრო ბუდნიგოვმა** ბაზარზე გაიყვანა ცხენი გასასყიდათ. ცხენი გაჰყიდა 120 მანეთად. სახლიდან კი წაიღო 170 მანეთი. მას განზრახვა ჰქონდა ეყიდა კარგი ცხენი. „სალდათის“ ბაზარზე ბუდნიგოვს უეცრად დაეჯახა ვილაც ყრუ-მუნჯი **სამადუროვი**. შეიქნა მათ შორის ხელჩართული ბრძოლა. გასაშველებლად მივიდენ **მიხეილ სამადუროვი და გრიგოლ პერიასლავცევი**. ყველაფერი ეს ამ უკანასკნელთა ხრიკები იყო. მათ იცოდენ, რომ ბუდნიგოვს ჰქონდა ფული და უნდოდათ გაეძარცვათ იგი. ბრძოლის დროს „გამზავებელმა“ მ. სამადუროვმა „ორი თითი“ ჩააცოცა ბუდნიგოვის ჯიბეში, მაგრამ ეს უკანასკნელი მიხვდა რაშიც იყო საქმე და სწრაფად გაუსხლტდა მათ ხელიდან.

ბუდნიგოვი დაშინდა და დაპატიჟა ორთავე მახლობელ სასადილოში და აქეიფა... ბოლოს იგი ჩაჯდა ეტლში და წავიდა სახლისაკენ. მცირე მანძილის გავლის შემდეგ ბუდნიგოვმა შესძახა მათ:

— „აი, თქვენ დედაკაცებო! გსურდათ ჩემი გაძარცვა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეთ. აფსუს! რომ პურ - მარილზე დაგპატიჟეთ“.

ამ სიტყვებზე სამადუროვი და პერიასლავცევი დაედევნენ ბუდნიგოვს და რიყის ქუჩაზე თავს დაესხენ. ბევრი სცემეს და შემდეგ წაართვეს ფული. გატაცებული ფულის ნაწილი თავდასხმელებმა დახარჯეს რესტორანში, ხოლო 150 მანეთი კი შეინახეს სამადუროვის სახლის ჰერზე.

აღნიშნული თანხა ჰერზე აღმოჩენილი იქნა სისხლის სამართლის მილიციის მიერ.

სამადუროვი და პერიასლავცევი პასუხისგებაში არიან მიცემული. საქმე გადაეცა ოლქის სასამართლოს.

მოხერხებული გამგე

დავით არსენის ძე ჭეიშვილი ირიცხებოდა მუშკოოპის მეოთხე საბაკალეინო მაღაზიის გამგეთ. იმის განკარგულებაში საკმაოდ მოიპოვებოდა საქონელი და კოოპერატიული ფული.

ერთ დღეს მან გადასწყვიტა „დაებრუნებია“ ეს ფული და „გემოზეც“ მოიხმარა. თქმა და შესრულება ერთი იყო. ჭეიშვილს სრულიადაც არ აწუხებდა რევიზიის მოხდენის შესაძლებლობა. ამ „შავი დღისათვის“ მას გაჭირვების ტალკვესად მიაჩნდა ერთი თავისი ძმათ ნაფიცი მოლარე.

როცა რევიზია დაიწყებოდა, ჭეიშვილი დროებით ისესხებდა თავის მეგობრისაგან დანაკლის ფულებს და როცა ქარტეხილი გადიოლიდა, ისიც პატიოსან კაცსავით უკან უბრუნებდა ნათხოვარ ფულებს.

ამგვარად ჭეიშვილი მუდამ უმწიკვლო გამოდიოდა მოსალოდნელ ხათაბალიდან და თავიც მაღლა ეჭირა.

გავიდა ხანი. უეცრივ მოხდა საგანგებო რევიზია. ჭეიშვილს გაფლანგული აღმოაჩნდა 2.500 მანეთი.

მაგრამ ჭეიშვილი არ დაიბნა. მან განაცხადა, რომ რევიზია არ არის სამართლიანი (ალბათ, რადგან არ შეატყობინეს წინასწარ).

— აქ უეჭველათ რაიმე გაუგებრობაა. მე მოვითხოვ ხელახალ რევიზიასო.

მოახდინეს ხელახალი რევიზია, მაგრამ ჭეიშვილს მაინც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მეგობარმა უმუხთლა ამ გაჭირვების დროს და ძველებურად ველარ გაუმართა ხელი და განმეორებითი რევიზიამ აღმოაჩინა უკვე 2.554 მანეთი დანაკლისი.

ჭეიშვილი მაინც არ გამოტყდა დანაშაულში და უტიფრად განაცხადა, რომ დანაკლისი ფულის ნაწილი გადააყოლა მუშტრებს, ხოლო ზოგიერთი თანხები არ ჩამოსწერა მას ბუჰგალტერიამ. გამოძიებით ჭეიშვილის განცხადება არ დადასტურდა.

ჭეიშვილი დაპატიმრებულია და ახლო ხანში წარსდგება ოლქის სასამართლოს წინაშე.

კ.

ბიბლიოგრაფია

ი. სტალინი „რევოლიუცია ჩინეთში და ოპოზიციის შეცდომები“.

(ორი სიტყვა)

სახელგამი, გვ. 86. ფასი 35 კაპ.

პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში ოპოზიცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან სადავო საკითხად აყენებდა და აყენებს ჩინეთის პრობლემას. ოპოზიცია ცილს სწამებს პარტიის უმაღლეს ორგანოს, რომ ვითომდა მან „დალუპა“ ჩინეთის რევოლიუცია, არ მიიღო რა თავიდანვე ოპოზიციის მიერ წამოყენებული „უებარი“ ლოზუნგები ჩინეთის შესახებ.

ყველასათვის და განსაკუთრებით პარტიული მასისთვის ცნობილია, რომ ოპოზიციას ჩინეთის საკითხში, არ გააჩნდა ერთი ჩამოყალიბებული შეხედულება, რომ ოპოზიციის ცალკე ბელადთა შორის არ სუფევდა აზრთა თანხმობა, რომ ხშირად „მარჯვენა ხელმა არ იცოდა, თუ რას აკეთებდა მარცხენა“. ჩინეთის რევოლიუციის მიერ განვლილ ეტაპების მაგალითზე ყველა ირწმუნდება, რომ ოპოზიციის შეხედულებანი, მათი ლოზუნგები მიუღებელი იყო ჩინეთის რევოლიუციის წინა ეტაპებზე, რომ ის არ შეიძლება ყოფილიყო მაშინ წამოყენებული, როგორც ამხ. **სტალინი** ლაპარაკობს, როგორც მომენტის, დღის ლოზუნგები.

პარტიულ მასას და მთელ მუშათა კლასს უნდა განემარტოს, რომ ოპოზიცია შემცდარია ჩინეთის საკითხში, რომ მან „ულტრა მემარცხენე“ ლოზუნგების წამოყენებით სრულებითაც არ გაუწია ანგარიში ჩინეთის, როგორც კოლონიალურ ქვეყნის თავისებურებას და ყალბათ შეაფასა რევოლიუციის მომქმედი ძალები. ოპოზიციის შეცდომათა საუკეთესო დახასიათება ჩინეთის საკითხში, მოგვცა ამხ. სტალინმა თავის „შენიშვნებში თანამედროვე საკითხების შესახებ“.

სარეცენზიო ბროშიურა შესდგება ამხ. სტალინის ორი სიტყვისაგან, რომელთაგან ერთი იყო მის მიერ წარმოთქმული კომინტერნის აღმასკომის მაისის გაფართოებულ პლენუმზე და მეორე წარმოადგენს საუბარს სუნ-იატ-სენის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ჩატარებულს, მიმდინარე წლის 13 მაისს. ასე რომ ხსენებული სიტყვები შეეხებიან იმ პერიოდს, როდესაც ჩინეთის რევოლიუციაში მომხდარი იყო კლასთა ახალი გადაჯგუფება, როდესაც ჩან-კაი-ში და გომინდანი ნანკინში ნაციონალური კონტრ - რევოლიუციის მეთაურად მოგვევლინა, ხოლო გომინდანი უხანში და უხანის მთავრობა ჯერ კიდევ წარმოადგენდა ბურჟუაზიულ - დამოკრატიული რევოლიუციის ცენტრს. ამიტომ ვერ იხილავს მკითხველი ამ წიგნაკში ჩინეთის რევოლიუციის დღევანდელი, მიმდინარე ეტაპის შეფასებას, რომელიც მოგვცა ამხ. სტალინმა თავის შემდგომ წერილში. *)

როგორც სუნ-იატ-სენის სახელობის უნივერსიტეტში, ისე კომინტერნის აღმასკომის მაისის პლენუმზე ამხ. სტალინი ასაბუთებდა ოპოზიციის მტკიცების უსაფუძვლობას ჩინეთში ფეოდალიზმის არ არსებობის, საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნის, უხანის მთავრობიდან გამოსვლის გომინდანის და სხვათა შესახებ.

„თუ რომ—ლაპარაკობს ამხ. სტალინი — არ არსებობდეს ჩინეთში ფეოდალიზმის ნაშთები, თუ რომ ამ ნაშთებს არ ჰქონდეთ სერიოზული მნიშვნელობა ჩინეთის სოფლისათვის, მაშინ არ იქნებოდა ნიადაგი აგრარული რევოლიუციისთვის, მაშინ არ ღირდა ლაპარაკი აგრარულ რევოლიუციაზე, როგორც კომპარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანაზე ჩინეთის რევოლიუციის ეხლანდელ ეტაპზე“.

ამხ. სტალინს შემცდარათ მიაჩნია ის შეხედულება, რომ ვითომდა შესაძლებელია ჩინეთის რევოლიუციის მშვიდობიანი განვითარება. შეუძლებელია ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლიუციის მშვიდობიანი გადაზრდა პროლეტარულ რევოლიუციად, მაგრამ ასევე შეუძლებელია ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლიუციის პერიოდში მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა. „მე ვფიქრობ, ლაპარაკობს სტალინი — რომ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა აუცილებლად მოგვიხდება ჩინეთში გარდამავალ პერიოდში ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლიუციიდან პროლეტარულ რევოლიუციაზე, რადგან მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების გარეშე შეუძლებელი იქნება ასეთი გადასვლა“. ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლიუციის გადასვლა სოციალისტურზე კი, შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ ჩინეთში განვითარდებოდა ფართედ აგრარული რევოლიუცია. მაგრამ ასეთი გადასვლა არ მოხდა, რადგან უხანი არ გადაიქცა აგრარულ - გლეხური რევოლიუციის მთავრობად და მეორეს მხრივ გომინდანმა არ შეავსო თავისი ხელმძღვანელი მაღლობი აგრარული მოძრაობის ახალი ლიდერებით-გლეხებიდან და მუშებიდან, არ გააფართოვა თავისი ქვედა ორგანიზაციები მასში გლეხური კავშირების, მუშათა პროფკავშირების საბჭოების და ქალაქისა და სოფლის სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციების შეყვანით. ამ შემთხვევაში სავსებით გამართლდა ამხ. სტალინის შეფასება.

ოპოზიცია კი, არ უწევდა რა ანგარიშს რევოლიუციის ერთი ეტაპიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობას, მოითხოვდა საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნას, ორძალაუფლებიანობის დამყარებას ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლიუციის დაწყებით ფაზაში. კომუნისტური პარტია უარყოფდა რა ჩინეთში საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნას, რჩებოდა გომინდანში და თვით უხანის მთავრობაში, რადგან როგორც სტალინი ლაპარაკობდა მაშინ—„უხანისთვის მხარის დაჭერის პოლიტიკა წარმოადგენს ამავე დროს ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლიუციის გაშლას ყველა მისგან გამომდინარე შედეგებით“. აღსანიშნავია ის, რომ ოპოზიციას არ ჰქონია ერთგვარი შეხედულება უხანის მთავრობაში მონაწილეობაზე. ასე მაგ. ტროცკი უხანს არარაობას (ფიქციას) უწოდებდა, ამხ. ზინოვიევი კი ქემალისტებს. მაგრამ ამის მიუხედავათ ვერც ამხ. ტროცკი და მით უმეტეს ვერც ამხ. ზინოვიევი კატეგორიულად არ მოითხოვენ უხანთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას. ამხ. სტალინის თქმით, ზინოვიევი პირიქით ყველაზე მეტ წინააღმდეგობაში ვარდებოდა. ის ერთის მხრივ ქემალისტებათ ნათლავდა უხანს და მეორეს მხრივ კი მოითხოვდა „უხანისთვის ყველაზე ენერგიულ და ყოველმხრივი დახმარების გაწევას“.

ასეთივე ულოღიკობა და წინააღმდეგობა ახასიათებდა ოპოზიციას გომინდანში მონაწილეობის, უცხოეთის იმპერიალიზმის, შინაური კაპიტალიზმის და სხვათა შეფასებაში.

ხსენებული ბროშიურით მკითხველი დარწმუნდება, რომ ამხ. სტალინი ჯერ კიდევ სამი თვის წინ იძლეოდა ჩინეთის რევოლიუციის მიერ წამოჭრილ ყველა მტკივნეულ საკითხებზე ღირსეულ პასუხს, რომელიც მთლიანად გაამართლა ჩინეთის უკანასკნელი დროის ამბებმა.

ჩვენ ურჩევდით ყოველ პარტიულ ამხანაგს და საერთოდ ჩინეთის საკითხით დაინტერესებულ მკითხველს აუცილებლად წაეკითხა ეს ბროშიურა.

ბ. ვ.

---

*) ამხ. სტალინის „შენიშვნები თანამედროვე საკითხების შესახებ“ უკვე გამოვიდა ქართულ ენაზე სახელგამის გამოცემაში.

სახელგ. ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის წიგნის მაღაზიებში შემდეგი ახალი გამოცემანი: 1) **სიმ. ხუნდაძე** — „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ ტ. 2. გვ. 320. ფასი 2 მ. 25 კ.; 2) **ი. სტალინი**—„რევოლიუცია ჩინეთში და ოპოზიციის შეცდომები“, (ორი სიტყვა) გვ. 87, ფ. 35 კაპ., 3) **თ. თურდოსპირელი** — „ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე“ — გვ. 60, ფასი 30 კ.; 4) **მიხ. ჭავჭანიძე** — ბიოლოგია (სახელმძღვანელო მეორე საფეხურის სკოლისთვის) გვ. 436, ფასი—2 მ. 60 კ.; 5) **ს. იაშვილი** — ს. ს. რ. კავშირის მოკლე გეოგრაფია—(სახელმძღვანელო 6 ჯგუფისათვის); გვ. 67 5 რუკა—ფ. 1 მ., 6) **ა. ხარაბაძე** — მათემატიკური ამოცანები—(მე 6 და მე-7 ჯგ. სახელმძღ.) ფ. 1 მ. 50 კ.; 7) **ა. ხარაბაძე**—მათემატიკური ამოცანები (სახელმძღვ. მე-5 ჯგ.) ფ. 1 მ.; 8) **ემ. იაროსლავსკი**—„ახალი ოპოზიციის გზა“—ფ. 45 კ.; 9) **ს. ოცხელი და პ. წულუკიძე** — მათემატ. ამოც. კრებული (სახ. მე-3 ჯგ.) 92 გვ. ფ. 60 კაპ.; 10) **ოცხელი** და **პ. წულუკიძე** — მათემატ. ამოცანათა კრებული (4 ჯგ.) გვ. 120 — ფ. 75 კაპ.; 11) **ს. ნიკიტინ - ზუბროვსკი** — მილიციური არმია, გვ. 90 — ფასი 40 კაპ.; 12) **ს. დ. ფურცელაძე**—„Живая Струйка“ (რუსული ენის სახელმძღ.) გვ. 272, ფ. 1 მ. 50 კ.;

ლურსმული წარწერების აღმოჩენა

სომხეთის სიძველეთა დაცვის კომიტეტიდან მიღებულია ცნობა, რომ ამ რამოდენიმე დღის წინად ქალ. ნორბაიაზეთის ერთ-ერთ საჯარო სასაფლაოზე ნახულია გათლილი ლოდი ლურსმული წარწერებით. როგორც გამოირკვა ლოდი წამოღებულია რომელიღაც უძველეს ციხე-კოშკის ნანგრევებიდან და გარდაცვალებულის სამარეზე დადებულია როგორც საფლავის ქვა. არქეოლოგების დასკვნით, ლოდის ლურსმული წარწერები წარმოადგენენ ურართულ ენაზე დაწერილ რაღაც ამბავს. აღმოჩენილი ლოდი წარწერებით სიძველეთა დაცვის კომიტეტის მიერ ჩამოტანილია ერევანში და მოთავსებულია საისტორიო - საარქეოლოგიო მუზეუმში.

ამჟამად სპეციალისტები ლოდიდან იღებენ ესტამპაჟს, რომელიც გაიგზავნება ლენინგრადის სამეცნიერო აკადემიაში. წარწერების ამოსაკითხად. ამ ლოდის აღმოჩენამდე ურართული ნაწერები აღმოჩენილ იყო ნორბაიაზეთის მაზრაში სოფელ ზაგალუსა და ორდაკლიუში აღმართულ კლდეებზე. ამ კლდეებზე ამოჭრილი წარწერები უკვე ამოკითხულია მეცნიერების მიერ.

ნარევი

ბუს ექსპორტი

ცოცხალი ბუების დიდი პარტია გაიგზავნა სან-დიეგოდან (კალიფორნია) ავსტრალიის ახლო მდებარე ერთ-ერთ კუნძულზე ვირთხების მოსასპობათ. ამ კუნძულზე ვირთხები გაჩნდენ ნავთსადგურში შემოსულ გემებიდან, სწრაფად გამრავლდენ და ანადგურებენ ნათესებს. კატების საშუალებით ბრძოლამ ვირთხებთან არავითარი შედეგები არ გამოიღო და კატებს ბუები მიაშველეს.

სატელეგრაფო ხაზების სიგრძე

მთელ მსოფლიოში არსებულ სატელეგრაფო ხაზების სიგრძე უდრის 6.549.000 მილს. აქედან ევროპაზე მოდის 2.262.000 მილი, ამერიკაზე კი 2.220.000 მილი სახმელეთო ხაზი და 97.000 მილი წყალქვეშა კაბელი.

რადიო პატიმრებისათვის

საბჭ. კავშირის საპატიმრო ადგილების სამმართველომ ნება დართო გამასწორებელ სახლებში მყოფ პატიმრებს მოაწყონ ცალკე კამერებში რადიო - მიმღები აპარატები, საერთო კამერაში მყოფ პატიმრებს კი — დაარსონ რადიო - მოყვარულთა წრეები. თითეულ პატიმარს მიცემული აქვს უფლება იქონიოს საკუთარი რადიო-მიმღები აპარატი. გამასწორებელ სახლების სახელოსნოებს წინადადება მიეცა მოიმარაგონ რადიოსათვის საჭირო ყველა მასალები. საპატიმრო ადგილების ბიბლიოთეკებში აუცილებლად უნდა მოიპოვებოდეს რადიო-ლიტერატურა. საპატიმრო ადგილების რადიო-ფიკაციის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს რადიოს მოყვარულთა საზოგადოებას. ლენინგრადის გამასწორებელ სახლში საერთო კამერებში უკვე დადგმულია ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატები.

აეროდრომების რაოდენობა შეერთებულ შტატებში

შეერთებულ შტატებში ამჟამად მოიპოვება 3.608 აეროდრომი. აქედან 310 ეკუთვნის ქალაქის თვითმმართველობებს, 66 — საფოსტო უწყებას, 102 — ქვეითა ჯარს, 40 — საზღვაო უწყებას, დანარჩენი 3.090 აეროდრომი ეკუთვნის კერძო კომპანიებს, რომლებსაც რეკლამის სამგზავრო - საფოსტო ფრენოსნობისათვის და სხვ მიზნით აეროპლანების მთელი ესკადრილიები ჰყავთ.

რადიო-დადგმულობათა რაოდენობა

შეერთებულ შტატების გენერალურ რადიო-სამმართველოს ცნობებით, მთელ მსოფლიოში ამჟამად ითვლება 15.000.000 რადიო-დადგმულობა. აქედან, შეერთებულ შტატებში 5.500.000.900 დიდი რადიო-სადგურიდან 500 შეერთებულ შტატებშია.

სამეცნიერო ლიტერატურის სიმრავლე

მთელმა რიგმა გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერებმა, მათ რიცხვში **ინკოვსკიმ, გრუბერმა, კლემპერერმა, აშორმა** და სხვ. გერმანიის უნივერსიტეტთა კავშირს მიმართეს განცხადებით, რომელშიც აღნიშნავს სამეცნიერო ლიტერატურის არაჩვეულებრივ სიმრავლეს. არა მარტო ბიბლიოთეკები, ინსტიტუტები და კლინიკები მოკლებული არიან შესაძლებლობას შეკრიბონ მთელი ლიტერატურა, რომელიც წლის განმავლობაში იბეჭდება, არამედ ცალკე მეცნიერებსაც უჭირთ, ხშირათ ვერც კი ახერხებენ გაეცნონ ნაბეჭდ მასალებს თავის ვიწრო სპეციალობის ფარგლებშიც კი.

განცხადებაში აღნიშნულია მთელი რიგი კონკრეტული ზომები სამეცნიერო ლიტერატურის სიმრავლესთან საბრძოლველად და კერძოდ ხაზგასმულია სამეცნიერო პერიოდული გამოცემათა რიცხვის გადიდების დაუშვებლობა.

რადიო-გადაცემა

კვირა, 14 აგვისტო

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

გლეხთა გაზეთი—ქართულ ენაზე (7—7—20).

კომკავშირელთა გაზეთი—რუსულ ენაზე (7—20—7—40).

კოოპერაცია, როგორც გზა სოციალიზმისაკენ—ქართულ ენაზე (7—40—8).

ჩინეთის ამბები—რუსულ ენაზე (8—8—20).

ტექნიკური კონსულტაცია (8—20—8—40).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია ქართულ და რუსულ ენებზე—(8—40—9).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (9—11).

ორშაბათი, 15 აგვისტო

ამიერ-კავკასიის ბიუჯეტი თურქულ ენაზე (7—7—20).

კოოპერაცია, როგორც გზა სოციალიზმისაკენ—სომხურ ენაზე (7—20—7—40).

ჩინეთის ამბები—სომხურ ენაზე (7—40—8).

საუბარი რადიო-ტექნიკაზე ქართულ ენაზე (8—8—20).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია ქართულ და რუსულ ენებზე (8—20—8—40).

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია (8—40—11).

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 12

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. „10“ აგვისტო

აღურიცხველი შრომის განყოფილებისა და დაკმაყოფილების წესის შესახებ

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 94 მუხლის შენიშვნისა, საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი საქართველოს პ.-კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს:

1. აღურიცხველი შრომის გამოყენება დაიშვება:

ა) იმ პირთათვის, რომელნიც ხელფასს იღებენ პასუხისმგებელ პოლიტიკური, პროფესიონალური საბჭოთა, კოოპერატიული და სამეურნეო განაკვეთით;

ბ) სპეციალისტებისათვის, რომელთა ხელფასი განისაზღვრება ინდივიდუალური ხელშეკრულებით.

შენიშვნა: იმ პირთათვის, რომელნიც ხელფასს პერსონალური განაკვეთით იღებენ აღურიცხველი შრომა ითვლება მოხსენებულად იმ ხელფასში, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ ჯგუფების გარდა აღურიცხველი შრომის გამოყენება დაიშვება ამა დადგენილებასთან დართულ ნუსხაში აღნიშნულ კატეგორიის მუშაკთათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნუსხაში ჩამოთვლილ თანამდებობის სამუშაო პირობები ნორმალურ მუშაობის გარეშე მოითხოვენ ზედმეტი მუშაობის აუცილებლად წარმოებას და შეუძლებელია დამატებითი წყების ან ქვეწყების შემოღება.

შენიშვნა: ამა მუხლში აღნიშნულ ნუსხის ფარგლებში, თანამდებობათა სიას თვითეულ ცალკე შემთხვევაში წარმოება - დაწესებულებანი სათანადო კავშირებთან შეთანხმებით აწესებენ და ურდგენენ შრომის ინსპექტორს წინასწარ დასამტკიცებლად.

3. დატვირთვის რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითად ჯამაგირის 50 პროც.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი მიიცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის კანონების მიხედვით.

საქ. ს. ს. რ. შრომსახკომის მოადგილე ი. ჭელიძე.

საერთო საორგ. გან. გამგე ვ. კვირიკაშვილი.

შეთანხმებულია ს. კ. პ. ს. ს. ხვედელიძე.

ნუსხა

1) წარმოება - დაწესებულებათა გამგენი და მათი მოადგილეები.
2) წარმოება - დაწესებულებათა განყოფილების გამგენი.
3) წარმოება-დაწესებ. ქ.-გან. ბიუროების და ნაწილების გამგენი.
4) საქმეთა მმართველები.
5) მდივნები.
6) ინსპექტორები, ინსტრუქტორები, რევიზორები, კონტროლიორები და მოლარეები.
7) მთავარი ბუჰგალტერები და ბუჰგალტერები, რომელნიც დამოუკიდებლად განაგებენ საბუჰგალტერო ნაწილს.
8) იურისკონსულტები.
9) სასამართლოს გამწესრიგებელნი და სასამართლოს აღმასრულებელნი.
10) ემისრები.
11) სამნეო ნაწილის გამგეები, მაღაზიის საწყობების გამგენი და მათი თანაშემწენი.
12) რწმუნებულები, აგენტები, ექსპედიტორები და შემსყიდველები.
13) რედაქტორები.
14) ლაბორატორიის გამგენი, ლაბორანტები.
15) უფროსი მეპაღენი, მებოსტნეები.
16) უფროსი მზარეულები, ეკონომები.
17) ექიმები, ლეკთანაშემწენი, ბებია ქალები, ფარმაცევტები, დეზინფექტორები.
18) უფროსი ფოსტალიონები, საგუბ. ქალაქებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში.
19) დამცველთა რაზმის უფროსნი.
20) კომენდანტები, სახლების მმართველები და სახლების მეთვალყურენი.
21) შოფერები, მექინიბეები და მეეტლეები.
22) მეტოროლოგიური სადგურის გამგენი.
23) მიწის მზომელები.
24) ტყის მცველები.
25) სამთო-მადნო ასისთავები.
26) სამთო-მადნო შტეიგერები.
27) კინო - თეატრების გამგენი.
28) თეატრების და საერთოდ სანახაობათა და წესებულებების ადმინისტრ.
29) საპატიმრო ადგილების უფროსნი.
30) მათი თანაშემწენი.
31) გემების უფროსი მემანქანეები.
32) გემებიდან საწყობებში საქონლის მიმღებნი.

საქ. ს. ს. რ. შრომსახკომის მოადგ. ი. ჭელიძე.

საერთო საორგ. განყ. გამგე კვირიკაშვილი

შეთანხმებულია ს. პ. კ. საბჭოსთან ს. ხვედელიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სამშაბათს, 16 აგვისტოს დილის 11 საათზე ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში **მოწვეულია თათბ.**, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხ. **იმედაძე, მამულაიშვილი, ადამაძე, ფანჯავიძე; რაფავა; პაპავა; გობეჩია.**

აღნიშნულ ამხანაგებს ვთხოვთ დაუგვიანებლივ **გამოცხადდენ.**

ორშაბათს, 17 აგვისტოს დილის 11 საათზე ცეკას აგიტპროპ განყოფილებაში **დანიშნულია თათბირი**, რომელზედაც მოწვეულნი არიან: **კვიცარიძე, აკ. კალაძე, სიმონ ხუნდაძე, ხაჭაპურიძე, ჩერქეზიშვილი, არუთინოვი, ტატულოვი და დ. ორაგველიძე.**

სამშაბათს 16 აგვისტოს საღამოს 6 ნახ. საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას შენობაში შესდგება ცეკას **საორგანიზაციო კოლეგიის მორიგი სხდომა**, დასწრება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების სავალდებულოა.

1. ლოლოზერიძე, 2. ჟღენტი, 3. ელისაბედაშვილი, 4. ლიცინოვი, 5. მამულოვი; 6. მელიქაძე; 7. მეგრელიძე; 8. მუმიშვილი 9. ხაცკევიჩი, 10. ფანცხავა; 11. რუბენი; 12. შოგირაძე; 13. ჯავახიძე; 14. ადამაძე, 15. ნემერზელი, 16. არტო; 17. მათიკაშვილი, 18. ოლინი; 19. ბლუაშვილი, 20. დუგლაძე; 21. ბოლქვაძე, 22. ჩილინკირიდი, 23. კალატოზოვი; 24. ვარო ჯაფარიძე; 25. ესაიახი, 26. ჩერქეზიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 16 აგვისტოს, დილის ათ საათისათვის, რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში უნდა გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის კომუჯრედების მდივნები შესაფერისი ლიტერატურის მისაღებად.

სამშაბათს, 16 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში შესდგება **თბილისის საბჭოს ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა.**

სამშაბათს, 16 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე შესდგება **სახ. უნივ.** არსებულ ამხ. „მიხა ცხაკაიას“ სახელობის **ქართული მუშათა ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. არა მორიგე კრება**. კ. კ. წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საღორიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ა. წ. 18 აგვისტოს [illegible] თარხანოვთან საქართველოს კომპარტიის—თბილისის კომიტეტის საღორიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

1. [illegible] ასული. 2. მაცაბერიძე იერემია მარკოზისძე, 3. ამბოკაძე სიმონ გიორგისძე, 4. სვანიძე სილიბისტრო ალექსისძე; 5. ციტოხცევი მიხეილ გრიგოლისძე; 6 მოლოტოვი ვასილი ანდრიასძე; 7. ახმედოვი ბაბა, 8. გავრილიუკი ზაქარია ივანესძე, 9 კოსმინინი ალექსანდრე ბორისისძე; 10. კრიგინი ტიმოთე რომანისძე; 11. სემიონოვი ალექსანდრე მათესძე; 12. ზარაფიანი სერგო აბრამისძე; 13. გოგოლაშვილი ხვთისო სიმონისძე, 14. იუხანაევი ვალენტინი ილარიონისძე; 15. სალარაძე ერმალოზ სოლომონისძე; 16. მარევიც მიხეილი ნიკოლოზისძე, 17. მამუჩაშვილი დავით ნიკოლოზისძე, 18. ბდლეიბა ბიქტორ მუტაფასძე, 19. ტარკიდი კონსტანტინე საკისძე; 20. რუბლევი მიხეილ ივანესძე, 21. როსტენკო ვასილი ვასილისძე; 22. ბურაკოვი ათანასე ერემასძე, 23. ხვარცქია მაქსიმე უკისძე, 24. რაკოვიჩი გრიგორი ბართლომესძე, 25. ვოლოვიკი მიხეილ ივანესძე; 26. ჟელტიშევი პავლე ტიმოთესძე; 27. მაიაცკი ანდრო ვასილისძე, 28. ძნელაძე ისმაილ ხასაიასძე; 29. სამოსოროვი გიორგი ივანესძე, 30. კაზაკოვი თედორე მაქსიმესძე, 31. ჟღენიძე მურადი ჰუსეინისძე, 32. იზჯარინი ივანე ფილატესძე; 33. აქსიუტინი ეგორი თედორესძე, 34. ჟუკოვი მიხა ივანესძე, 35. რიჟკინი ვლადიმერი ვასილისძე, 36. მაისურაძე ნიკოლოზ ილიასძე, 37. ეძგვერაძე ვასილი აბაკელისძე, 38. მამუკიანი ბაბკენი ამოზაენისძე, 39. პეტროსიანი სურენი აკოპისძე, 40. ამბრიაშვილი სიმონი ესტატესძე, 41. პანკოვი ბორისი ნიკიფორესძე; 42. ჩომახიძე დავით ბესარიონისძე; 43. როგავა ივანე ელიზბარესძე; 48. დუნინი ვლადიმერი კლიმენტისძე; 45. თეთრაშვილი ალექსანდრე მხეილისძე; 46. ბერიაშვილი [illegible]

ღრმად დამწუხრებულნი ძმა ივახე დიმიტრის-ძე და ძმის შვილები შალვა, თინათინ და ვახტანგი ივანეს-ძენი ბოკერიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ შაბათს, 13 აგვისტოს, ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ლევან დიმიტრის-ძე ბოკერია

დაკრძალვა ქ. ქუთაისში, სამშაბათს, 16 აგვისტოს. (ე)

საშინელი მწუხარებით გულდამწვარი ბაბუა სოლომონი, ბებია ნინა (პატკუ), დეიდა ელეონორა (კუკნა) ბოლქვაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ აღარ გვყავს ჩვენი ოჯახის სიმხიარულე და სიამაყე პატარა ცქრიალა

ტეზიკო იოსების-ასული მუსხელიშვილი

დაკრძალვა 16 აგვისტოს ვერის სასაფლაოზე გამოსვენება ნაშუადღევის 4 საათზე ანდრიევის ქ. № 92. 3564

დღეს, კვირას, 14 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქ. თბილისში ხოჯივანქის სასაფლაოზე ოჯახისათვის ძვირფას და დაუვიწყარ

შუშანა პეტროსის ასული ჭეიშვილის

გარდაცვალების 6 თვის აღსანიშნავათ გადახდილი იქნება პანაშვიდი. რასაც აცნობებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ სამუდამოთ გულმოკლულნი ვასო, ნინიჩქა, ელისაბედ, დარო, სონა და მარუსა. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი: შვილები ევტიხი და მარო, რძალი ნადია, შვილისშვილები: კოკოშა, დავით და ლევანი ჩხატარაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ლიზა ლევანის ასული ჩხატარაშვილისა

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფელ შემოქმედში, 16 აგვისტოს, სამშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე ნ. 1574

სამშაბათიდან 16 აგვისტოდან!

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში) = **დარბაზი** (ბაღში პლეხან. პრ. № 91) = **აპოლო** („ა რ ტ ო ს“ ბაღში)

ამერიკის კინო-მრეწვ. სამხატ. შედევრი „ოკეანეს მონები“ მთავარ როლში ბარბარა ბერფორდ

ლეონ მატო სურ. გრაფ კალიოსტროს გმირი მხატვრ. კინო-პიესაში „ეშმაკი ქალაქში“

1-ლად თბილის. ამერიკ. მხატვ. სურ. „ძველ ცხოვრებისაკენ“ რენე ნავაროს მონაწ.

ანონსი: ახლო მომავალში მხატვრული სურათი „გიგანტების ბრძოლა“. ნ. 1573.

ეთერი (სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი (ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო (არტოს ბაღში).

რუდოლფ ვალენტინოს მონაწ. მხატვრულ შედევრი „შეიხი“

ანონსი: სამშაბათიდან—„ოკეანეს მონები“

უკანასკნელი მე-5 და მე-6 სერიები ამერიკულ კინო-რომანის „ბოროტმოქმედების დალი“

ანონსი: სამშაბათიდან „ეშმაკი ქალაქში“

ამერიკის პოპულიარული მსახიობი—ქალი მეი მურეი მხატვრულ სურათში „ქალი კუნძულიდან“

ანონსი: სამშაბათიდან „ძველი ცხოვრებისკენ“

ვინც შეიძენს კინოში შესასვ. ბილეთს არ იხდის ბაღში შესასვლელ ფასს

0—9 ნ. 1388

მალე: „გიგანტების ბრძოლა“

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობის **სამკურნალო** ხაწოლებით **ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ

ამ.-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 22 აგვისტოს, 1927 წელს, დილის 10 საათ. თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქ. № 34)

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება ამიერ-კავკასიის რკინის გზების სხვადასხვა სადგურებზე დარჩენილი მოუთხოვნელი ტვირთი და საქონელი.

იმ ტვირთის და საქონლის, რომელიც დარჩება პირველ საჯარო ვაჭრობის შემდეგ, გაყიდვის ვადას გამოაცხადებს კომისია, რომელიც აწარმოებს აღნიშნულ ვაჭრობას.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში სამუშაო საათებში, საჯარო ვაჭრობის დღეს კი—ვაჭრობის დაწყებამდე.

დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობში. ნ. 1575

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

მიღება სწარმოებს 15 აგვისტომდე ხელოსანთა კლუბის მდივანთან პლეხანოვის პროსპექტი, № 66. ან კურსების გამგესთან **იოვანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვთან, 1 თუმანოვის (ბოჭორიშვილის) ქ. № 13.** 3516

თბილისის გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 18 აგვისტოს 1927 წ. საათის 12 დღისა თუმანიანის ქ. № 23 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის შიმყონ მოშეს-ძე მიხელაშვილის უძრავ ქონებას ერთ ნახევარ უფლებას ორ სართულიან სახლისას, მდებარეს თუმანიანის ქ. № 23 (ყოფ. არღუთინის ქ.) გაუყოფელს იაკოფ გორელიშვილთან შეფასებულს 600 მან. დასაკმაყოფილებლად ლევი ლევიშვილისა 853 მ. 4 კ. %. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 372, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამარ. საპროც. კოდექ. 3562

ს. ს. ს. რ.

სახელმწიფო გამომცემლობა

დაიბეჭდა და იყიდება

სახელგამის მაღაზიებში

1. **კახიანი** კიდევ ქართული ემიგრაციის შესახებ 30 კ.
2. **სტალინი**—რევოლიუცია ჩინეთში და ოპოზიციის შეცდომები 35 კ.
3. **სტალინი**—შენიშვნები თანამედრ. საკითხებზე 15 კ.
4. **იაროსლავსკი**—ახალი ოპოზიციის გზა 45 კ.

ამ დღეებში გამოვა:

1. **კერჟენცევი**—ლენინიზმი
2. **მარეცკი**—მომავალი ომი და საერთაშორისო ბოლშევიზმი
3. **რაფესი**—ჩინეთის რევოლიუცია და ჩან-კაი-შის ღალატი
4. **ბუხარინი**—გზა სოციალიზმისაკენ
5. **საველიევი**—ჩინეთის გლეხობა
6. **ბუხარინი**—კომინტერნის პლენუმის შედეგები
7. **საქ. კ. პ. ც. კომიტეტის გაერთიანებულ პლენუმის სტენოგრაფ. ანგარიში:—ამხ. ფ. მახარაძის** მოხსენება
8. **საკავშირო კ. პ. ც. და ც. საკ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმის რეზოლიუციები (29 ივლისი —9 აგვისტო).**

ნ. 1571

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი

გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 18 აგვისტოს 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 9 ნეკრასოვის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. დავით მამულოვის მოძრავ ქონებას; სარკეს მაგიდით, საყინულეს, ბუფეტის შკაფს, ნოხებს, კამოდს, ტანისამოსის შკაფს, სასადილოს მაგიდას და სხვ. შეფასებულს 236 მანეთად, მიხო ხატიაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 4 ივნისს 1927 წ. თარიღით, № 1848 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1569

მანგლისის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

თ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ხელმეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დ. მანგლისში მოვაჭრე იაკობ ზიზოვის 2 სასწორს ადგ. დ. მანგლისში, სავაჭრო მოედანზე, ა. წ. 18 აგვისტოს დილის 10 საათიდან. გასაყიდი ქონება შეფასებულია 73 მან., და იყიდება მანგლისის სახ. სასამართლოს მიერ გაცემული აღმას. ფურც. № 454-ის ძალით, ამავე თემის აღმასკომის სარჩელის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1576

მუშათა ახალი კლუბი (ყოფ. ქართ. კლუბი)

დღეს, 14 აგვისტოს

— იუმორისა და სატირის საღამო —

მონაწილეობენ: **მარმელადოვი, არკადინი და გრიდოვი, ვერშინი, ველიამს და დელიარი** და საზოგადოების თხოვნით **იუდინა.**

დასაწყისი 9 საათზე **გამგეობა** ნ. 1568.

ამიერ-კავკ. სახელმწიფო დაზღვევის

სამმართველო

(აღმასკომის ქუჩა, № 8)

აცხადებს, რომ ა. წ. 18 აგვისტოს, დღის 12 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

საიჯარო სამუშაოთა გაცემაზე

ორსართულიან საცხოვრებელ 12 ოთახისაგან შემდგარ ქვის სახლის აშენებაზე, ღირებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით 35.296 მან.

ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა ყოველგვარ ცნობების მისაღებად და პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის გასაცნობათ უნდა მიმართონ სამმართველოს ყოველდღე 10—12 საათ.

2—1 ნ. 1552 **ამ.-კავ. სახელმ. დაზღვევის სამმართველო**

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატო-ოდონტოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის

ტექნიკოსთა კურსებზე მსმენელების

მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება კურსების გამგის სახელზე (პლეხანოვის გამზ. № 126) შემდეგი საბუთების თანდართვით:

1) განათლების მოწმობა არა ნაკლებ 7 წლედისა.
2) წლოვანობის მოწმობა, (მიიღება არა ნაკლებ 17 წ.)
3) ნახევარი წლის სწავლის ფული.

მიღება იწარმოებს უგამოცდოთ.

კურსები ორწლიანია და მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. 13—9 ნ. 3478

სიღნაღის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

მავზაროვი

ამით აცხადებს რომ 16 აგვისტოს 1927 წ. ქალ. სიღნაღში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** უძრავი ქონებისა ტიგრან სიმონისძე ოთაროვისა, რომელიც აღწერილია საქობის საკრედიტო ამხან. ვალში, თანახმად სიღნაღის უბნის სახალხო მოსამართლის აღმასრულებელ ფურცლისა 4 მაისის 1927 წ. № 547 და 2 აგვისტოს 1927 წ. № 1011. სია გასაყიდი ქონებისა: 1. ერთი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლი დახურული კრამიტით და თუნუქით, მაღლა სამი საცხოვრებელი ოთახი და ერთი სამზარეულო, დაბლა სავაჭრო ბინა რვა თვალით; 2. ერთი ერთსართულიანი სახლი ქვიტკირისა დახურული კრამიტით და თუნუქით სამი საცხოვრებელ ოთახით, ერთი სამზარეულო, ერთი საკუჭნაო და სახლის ქვეშ სარდაფი, ეს შენობები გასასყიდათ შეფასებულია 3.000 მანეთათ. ნ. 1572

ქ. თბ. დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა

საყურადღებოთ

პენსია-დახმარებათა მიღების დროს დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რიგების მოსპობის მიზნით, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტის დადგენილებით, გარდა ამჟამად არსებულ სადგურის, ორთაჭალის და ვერის დახმარებათა გასაცემ პუნქტებისა

დაარსებულ იქნა ცენტრალური პუნქტი

რომელიც მოთავსებულია ვოლოდარის (ყოფ. მადათოვის) ქუჩა № 3.

ყველა დასახელებულ პუნქტებში **ა. წ. 16 აგვისტოდან**

პენსია დახმარებათა გაცემა

(გარდა დასამარხ დახმარებისა, რომელიც დაზღვეულს მიმართვის დღესვე მიეცემა) **იწარმოებს ერთი დღის გასვლის შემდეგ დღიდან საბუთების წარდგენისა, დილის 10 საათიდან—4 ნახ. საათამდე.**

სრ. საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტი

2—1 ნ. 1566

სია

იმ პირთა, რომლებიც არ ღებულობენ გაზ. „კომუნისტს“, სწორი მისამართების მოუწოდებლობის გამო.

№ რიგზე	ხელის მომწერის სახელი და გვარი	ქვითრის №	ხელის მომწერის მოცემული მისამართი
1	კებიაშვილი	1049	ვისერის ქუჩა № 5
2	ასათიანი	1059	სემიონოვის შესახვ. №—ს.მ.უ.ს.
3	ქათამაძე	1025	პოლტორის მე-2 შეს. № 6 პანოვი
4	კასრაძე თამარა	8052	პეტროვია ქუჩა № 23
5	კალანდაძე ზაქრო	7982	დუნდუკო-კორსაკოვის № 2
6	გაჩეჩილაძე აქვსენტი	1091	აჭარის შეს. სახლი გაჩეჩილაძის

სულ 6 ხელის მომწერი.

ზემოდ აღნიშნულ პირებს სთხოვენ წარმოადგინონ თავიანთი სწორი მისამართი, რომ საშუალება მოგვეცეს გაზეთის მიწოდებისა.

გაზეთ „კომუნისტის“ ექსპედიცია— მისამართი: კამოს (ყ. დიდი მთავრის) ქ. № 68. ტელ. 5—43. 0—2

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

დაჰკარგა პირადობის მოწმობა მოცემული პიათურის მილიციის მიერ და ჩემი შვილის ქანისას მეტრიკული ამონაწერი რაჟდენ ცოტაძის სახელზე ჩ. გ. ნ. 1577

დაჰკარგა პირადობის მოწმობა გაცემული გინეკ. ინსტიტუტის მიერ საელექციო წიგ აკი და პასპორტი ელისაბედ პეტროსიანის სახელზე, ჩ. გ. 3563

დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა № 1204 და შვიდწლედის მოწმობა თამარა რუხაძის სახელზე, ჩ. გ. 3566

დაჰკარგა თამასუქები გაცემული ქ. სევასტოპოლში ამხ აა „პროგრესისაგან“ ღირებული 1250 მ. 75 კ. რკინის გზის დუბლიკატი № 17009 950 გიორგი მიხეილის-ძე თორთქლაძეს სახელზე ჩ. გ. ნ. 1570

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.